

შრომითი დავები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2026, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2026, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2026, №4

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2026, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საძიებელი

- 1. სამსახურიდან გათავისუფლება ასაკის გამო**
სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის საფუძველით
მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება 4
- 2. სამსახურიდან გათავისუფლება პირადი
განცხადების საფუძველზე**
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ
ბრძანების კანონიერება 43
სამსახურიდან გათავისუფლება
პირადი პატაკის საფუძველზე 58
- 3. სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძველი**
სამსახურიდან გათავისუფლების ღონისძიების
თანაზომიერად მიჩნევა 84
- 4. სახელფასო დავალიანების და იძულებითი განაცდურის
ანაზღაურება**
იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება 145; 181

1. სამსახურიდან გათავისუფლება ასაკის გამო

სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის საფუძვლით მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1353(კ-22)

15 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2016 წლის 25 მაისს ჯ. ც-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ.

2. მოსარჩელის განმარტებით იგი კონკურსის გავლის შედეგად, 2014 წლის 10 აპრილიდან დაინიშნა სასამართლო ...ის თანამდებობაზე, ხოლო 2016 წლის 3 მაისს ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა კონტროლის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რამაც, მოსარჩელის მოსაზრებით, ხელყო მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები.

3. მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების ბათილად ცნობა, ასევე მოპასუხისთვის ჯ. ც-ეის თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე აღდგენის დავალება და 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე, თვეში 900 ლარის ოდენობით იძულებითი მოცდენის დროს მიუღებელი შრომის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

4. მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი, საქმის განხილვის შეჩერების შესახებ შუამდგომლობაზე თანდართული მასალის შესაბამისად იკვეთება, რომ ჯ. ც-ემ 2016 წლის 6 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №767) მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად 2016 წლის 6 ივნისს გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიაში.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2016 წლის 18 ნოემბრის №2-3/8/767 განჩინებით კონსტიტუციური სარჩელი №767 („საქართველოს მოქალაქე ჯიმშერ ცხადაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) განსახილველად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 21 დეკემბერს გამართულ სხდომაზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოებს შეჩერების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლით გათვალისწინებულ, საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 21 დეკემბერს გამართულ სხდომაზე ასევე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის დანაწესი წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციას და საფუძველიანად არ მიიჩნია შუამდგომლობა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვის თაობაზე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის, ა. ჩ-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ც-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 აპრილის განჩინებით ჯ. ც-ეის კერძო საჩივა-

რი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის განჩინება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ც-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ც-ე 2014 წლის 10 აპრილიდან 2016 წლის 3 მაისამდე მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ად. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 აპრილის №35-პ ბრძანებით, ჯ. ც-ე, 2014 წლის 10 აპრილიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე. ჯ. ც-ეის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 895 ლარის ოდენობით.

13. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ... – ჯ. ც-ე 2016 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ზღვრული, ანუ 50 წლის მიღწევის გამო.

14. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელები №767 და №1272 („საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ვადანწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

15. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-14 და 29-ე მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, 59-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-4 პუნქტებზე, ასევე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სადავო პერიოდში

მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტსა და ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს და შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი და მისი ნაწილი ძალას კარგავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება.

16. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება არ იწვევდა არაკონსტიტუციურად ცნობამდე აღნიშნული აქტის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების ბათილად ცნობას.

17. ამასთან, სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტებზე მითითებით აღნიშნა, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებს მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელე ჯ. ც-ვის სამსახურში აღდგენისა და მიუღებელი შრომის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ც-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ც-ვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ც-ვის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი „თბილისის საქალაქო სასამართლოს საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ... ჯ. ც-ვის დავებულები თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე“ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016

ნლის 3 მაისის №58-პ ბრძანება. მოპასუხეს – თბილისის საქალაქო სასამართლოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ჯ. ც-ე აღდგენილი იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს დაეკისრა ჯ. ც-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდში, თვეში 895 (რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განაცდურის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი თანხა – 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე, თვეში 900 ლარის ოდენობით, მოსარჩელე მხარემ დააზუსტა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე და მოითხოვა 895 ლარის ანაზღაურება, ანუ იმ თანხისა, რაც მას ერიცხებოდა დარიცხული ხელფასის სახით სამსახურიდან განთავისუფლების დღისათვის.

21. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ სახეზე იყო ვითარება, რომლის თანახმად, ნორმა, რის საფუძველზეც მოხდა პირის სამსახურიდან განთავისუფლება, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. ამდენად, პალატას უნდა შეეფასებინა, რამდენად შესაძლებელი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის გავრცელება მანამდე წარმოშობილ – ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დასრულებულ, თუმცა სამართალწარმოების ეტაპზე დაუსრულებელ, მიმდინარე საკითხზე.

22. პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან, თუმცა, საჭიროა ნორმის იმგვარი განმარტება, რომლის თანახმადაც მოხდება გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტის დიფერენცირება, ანუ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედების შეწყვეტის დიფერენცირება პირთა წრის მიხედვით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ამგვარ პირთა წრე შესაძლოა დაყოფილიყო ორ ძირითად ჯგუფად, კერძოდ, პირი, ვისი უფლებაც შელახა არაკონსტიტუციურად გამოცხადებულმა ნორმამ და ვისაც მიმართული ჰქონდა კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, ხოლო სარჩელით – საერთო სასამართლოსათვის და მეორე ჯგუფი – სხვა დანარჩენი პირები, რომელთა უფლებაც ასევე შეილახა ძალადაკარგული ნორმით, თუმცა აღნიშნულის თაობაზე არ უდავიათ. მოცემულ შემთხვევაში კი, პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინ-

სტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მოსარჩელეს არა მხოლოდ მიმართული ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის იმ ნორმის არაკონსტიტუციურობის მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც იგი განთავისუფლდა სამსახურიდან, არამედ საკითხი მის სასარგებლოდ იყო კიდევც გადაწყვეტილი. ამდენად, პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, ზოგადი წესის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, თუმცა საერთო სასამართლოში მიმდინარე (დაუსრულებელი) სამართალწარმოების პირობებში, შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულად ამოქმედება აღნიშნული პირის მიმართ.

23. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ამოქმედების მომენტთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი სასამართლო აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება, ეს გულისხმობს ასევე იმას, რომ საერთო სასამართლოს მოსამართლეს უფლება არ აქვს მოცემული საკითხი გადაწყვიტოს საკონსტიტუციო სასამართლოსაგან განსხვავებულად.

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, გამოიწვია ადმინისტრაციული აქტი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და თავად მოსარჩელის საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე (და არა მოსამართლის წარდგინებით), პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე მოხდა იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელსაც განთავისუფლების აქტი დაეფუძნა. პალატამ განმარტა, რომ ამგვარ ვითარებაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინ უსწრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლისთვისაც უკვე ცნობილია ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე, გაუგებარია, რატომ უნდა ცვლიდეს ვითარებას საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიუმართაობის ფაქტი და რატომ არ უნდა მოქმედებდეს რეტროაქტიულად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ურთიერთობაზე, რომელზეც სამართალწარმოება ჯერ არ დასრულებულა. პალატის მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში ამოქმედების საკითხი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ წარდგინების არარსებობამ მოსარჩელისათვის საუარესოდ არ უნდა იმოქმედოს, მაშინ, როდესაც სახეზეა მოსარჩელის კონსტიტუციური სარჩელი და მით უფრო მისი დაკ-

მაყოფილების ფაქტი.

25. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსამართლის წარდგინებისა და პირის კონსტიტუციური სარჩელის საერთო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისათვის იდენტურ მნიშვნელობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ განსახილველი შრომითი დავა, რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში მცირე ვადაში უნდა დასრულებულიყო, დასრულდა თითქმის 5 წლის შემდეგ. აღნიშნული ფაქტი და პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმების შინაარსი კი, სააპელაციო პალატის შეფასებით, იმაზე მეტყველებდა, რომ სასამართლო დაელოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას აინტერესებდა და სურდა გაეზიარებინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა ამავდროულად, გაუგებარი იყო, რატომ არ გაითვალისწინა პირველი ინსტანციის სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ფაქტი.

26. სააპელაციო პალატამ მიუთითა სისხლის სამართლის კანონმდებლობაზეც და მიუთითა, რომ აღნიშნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი. ამდენად, სასამართლო გაუგებრად მიიჩნევს, რატომ არ არსებობს ამგვარი მექანიზმი სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საქმეებთან მიმართებით და დამატებით აღნიშნავს, რომ თუკი არსებობს ნორმის განმარტების საჭიროება და საშუალება, საერთო სასამართლოს მოსამართლე ვალდებულია განმარტოს ასეთი ნორმა.

27. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხე მხარის მიერ წარდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და შიდა კონტროლის სამსახურის უფროსის ცნობის თანახმად დადგენილად მიიჩნია, რომ 2022 წლის 12 ივლისის მდგომარეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ...ის სამსახურში ვაკანტური იყო სამსახურის უფროსის – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის – 1 საშტატო ერთეული, სამსახურის უფროსის მოადგილის – პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულიდან – 1 საშტატო ერთეული და ...ის – ...ის 64 საშტატო ერთეულიდან – 12 საშტატო ერთეული. ამდენად, სასამართლომ 2022 წლის 12 ივლისის წერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ვინაიდან ჯ. ც-ე დანიშნული იყო ...ის თანამდებობაზე, ვაკანტური იყო ზემოაღნიშნული თანამდებობის ტოლფასი 12 საშტატო ერთეული და განმარ-

ტა, რომ მოპასუხეს უნდა გამოეცა ჯ. ც-ის თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

28. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ შრომითი გასამრჯელოს იძულებით განაცდური წარმოადგენს ზიანის ერთ-ერთ სახეს, რომლის ანაზღაურებაც გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის კი სახეზე უნდა იყოს ზიანი, იგი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებით ზიანის მიყენების საკითხის განხილვისას, ასევე, უნდა დადგინდეს, რომ ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანი გამოიწვია, გამომდინარეობდა მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დადასტურებული იყო მოპასუხე თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომლის გამოც მოსარჩელემ ვერ მიიღო თანამდებობრივი ანაზღაურება, შესაბამისად, განვიღო პერიოდზე მას მიუღებელი თანხის ოდენობით მიადგა მატერიალური ზიანი.

29. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

30. კასატორი არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჯ. ც-ის მიმართ რეტროაქტიულად ამოქმედების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის დასრულებული იყო. ამდენად, კასატორმა აღნიშნა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ჯ. ც-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების კანონიერების საკითხი.

30.1. კასატორმა აღნიშნა, რომ დროში გავრცელების მიხედვით არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამი სახის ეფექტი. პირველი („ex nunc“) გულისხმობს, რომ ნორმა ძალადაკარგუ-

ლად ცხადდება გადანყვეტილების გამოცხადებიდან/გამოქვეყნებიდან და მანამდე არსებული ურთიერთობები ან ნორმის საფუძველზე ინარჩუნებენ ძალას. მეორე არის „ex tunc“, რომელიც გულისხმობს, რომ სასამართლოს გადანყვეტილებას აქვს რეტროაქტიული ეფექტი და ამ დროს ფაქტობრივად ხდება ნორმის არარად აღიარება, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გაუქმდეს ყველა ის ურთიერთობა და ქმედება, რაც აღნიშნული ნორმის საფუძველზე შეიქმნა. მესამე – „pro future“ კი მიმართულია მომავალზე და გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილება ნორმის გაუქმების შესახებ მოქმედებას იწყებს მომავალში, კონკრეტულ დროს.

31. კასატორმა მიუთითა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტსა და 23-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნა, რომ საქართველოში მოქმედებს „ex nunc“ მოდელი. ამასთან კასატორი მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადანყვეტილებასა („ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მაისის №ას-1004-2020, 2015 წლის 24 სექტემბრის №ას-653-620-2014, 2014 წლის 25 მარტის №ას-495-471-2013, 2015 წლის 9 თებერვლის №ას-1186-1128-2014, 2022 წლის 18 ოქტომბრის №ბს-376(კ-22) განჩინებებში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე და განმარტა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ სცდება აბსტრაქტული ნორმათკონტროლის ფარგლებს, ვინაიდან ფაქტობრივად არსებული მოდელი არ მოიცავს უკვე დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს და შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი და მისი ნაწილი ძალას კარგავს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რაც გულისხმობს, რომ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება, ვინაიდან აქტის არაკონსტიტუციურობა არ ვრცელდება არაკონსტიტუციურად გამოცხადებამდე აქტით მონესრიგებულ სამართალურთიერთობაზე. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას არ უნდა მიენიჭოს უკუძალა.

32. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლომ განსახილველ საქმეზე მოსამართლის წარდგინებასა და პირის კონსტიტუციურ სარჩელს არასწორად მიანიჭა იდენტიური მნიშვნელობა, ვინაიდან ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელისა და საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე მიმდინარე საკონსტიტუციო სამართალწარმოება და მათი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავდება.

33. თბილისის საქალაქო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებში საქმის განხილვისას ან მანამდე დარღვეულ უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის საფუძველით, საერთო სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სასამართლო მხოლოდ მაშინ შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას იგი თავად დაასკვნის, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს, შეიძლება იქნეს მიჩნეული მთლიანად ან ნაწილობრივ კონსტიტუციის შეუსაბამოდ. ამდენად, კასატორი აღნიშნავს, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი შეფასება იმის თაობაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო დაელოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას.

34. რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებულ ანალოგიას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან, კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ პოზიციას და აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე გადაიხინჯოს განაჩენი – წარმოადგენს საერთაშორისო, კონვენციურ და კონსტიტუციურ პრინციპს. კასატორი მიიჩნევს, რომ მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კანონმდებლის მიზანი, არ დაუშვას პირის მსჯავრდება იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნება მიჩნეული. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები კი ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებებისთვის უკუძალის მინიჭება შესაძლოა არ იყოს თანხვედრაში საპროცესო სამართლის ისეთ პრინციპებთან, როგორებიცაა თანასწორობა, შეჯიბრებითობა, სასამართლოსთვის მიმართვის გზით მოპოვებული უფლების სტაბილურობა და სამართლებრივი უსაფრთხოება.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი.

35.1. 2023 წლის 6 ივნისს ჯ. ც-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას, 2017 წლის 4 დეკემბერს, დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და შეჩერდა საქმის განხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ მისი სარჩელის გადაწყვეტამდე. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სასამართლო საქმის შეჩერებით დაეთანხმა პოზიციას, რომ სადავო საკითხი ვერ გადაწყდებოდა მანამ, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში განახლდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისა და მოსარჩელის მიერ საქმის განახლების თაობაზე არაერთი განცხადების წარდგენის შემდგომ.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

38. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ... წლის ...ს დაბადებული ჯ. ც-ე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 აპრილის №35-პ ბრძანებით, 2014 წლის 10 აპრილიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ის თანამდებობაზე და თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 895 ლარის ოდენობით.

39. ასევე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ი – ჯ. ც-ე 2016 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ზღვრული, ანუ 50 წლის

მიღწევის გამო.

40. საქმეზე დადგენილია, რომ ჯ. ც-ემ 2016 წლის 6 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №767) მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, 2016 წლის 6 ივნისს გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას, რომლის 2016 წლის 18 ნოემბრის №2-3/8/767 განჩინებით კონსტიტუციური სარჩელი №767 („საქართველოს მოქალაქე ჯ. ც-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) განსახილველად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელები №767 და № 1272 („საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

42. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანების გამოცემის დროს მოქმედებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლითაც სასამართლო ...ის სამსახურის ზღვრულ ასაკს შეადგენდა 50 წელი. აღნიშნული ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2018 წლის 14 დეკემბერს.

43. ... წლის ...ს დაბადებულ ჯ. ც-ეს 50 წელი შეუსრულდა ... წლის ...ს, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის საერთო განყოფილების ...ის სამსახურის ...ი – ჯ. ც-ე 2016 წლის 3 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ორგანული კანონით დადგენილი სამსახურის ზღვრული ასაკის ანუ 50 წლის მიღწევის გამო.

44. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველი საკითხი

ეხება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული, კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესაძლებლობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის (ნორმის) არაკონსტიტუციურად ცნობის გამო და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიულად გავრცელებას, გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.

45. საკასაციო პალატის მითითებით, იმისათვის რომ ადამიანმა შეძლოს საკუთარი ქმედების ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც შედეგს მომავალში წარმოშობს, აუცილებელია ნორმა იყოს ცხადი და კონკრეტული შედეგის დამდგენი, რაც განამტკიცებს მოქალაქეთა ნდობას ზოგადად სამართლის მიმართ. მოქალაქის ნდობას შეიძლება გამოეცალოს საფუძველი, როდესაც წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებში ნორმის არსებითად შეცვლა ხდება. ეს პრობლემა წარმოიშობა როგორც კანონის უკუძალით გამოყენებისას, ასევე განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით გამოყენების შესაძლებლობას სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე.

45.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებაზე საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 26-27) და განმარტა, რომ „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუზღუდავად გასაჩივრების შესაძლებლობა შექმნიდა მოდავე მხარეთა ურთიერთობებში მუდმივ გაურკვევლობას და იმის საშიშროებას, რომ დავა და კონფლიქტი ვერასდროს პოვებდა საბოლოო გადაწყვეტას. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იმ პრეზუმფციის მატარებელია, რომ საკითხი მხარეთა შორის გადაწყდა სწორად და რომ ისინი ამ საკითხთან, უფლებასთან, სიკეთესთან, ქონებასთან დაკავშირებით შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს გააგრძელებენ გადაწყვეტილებით დადგენილი სინამდვილის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით ან მისგან გამომდინარე. ამიტომ პოტენციური მოპასუხე დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ კვლავ დადგეს ძველი სარჩელის წინაშე, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილი იყო სასამართლოს მიერ, ამასთან, დაცული იყოს იმისგან, რომ საექვო, სათუო გახდეს მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები.

საბოლოო ჯამში, დაუსრულებელი დავის შესაძლებლობა დააფრთხობს პირებს, გაართულებს სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას – უფლების მუდმივი საეჭვოობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად“. მოცემულ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამართლებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს მხრიდან მის უზრუნველყოფაზე. სამართლებრივი უსაფრთხოება წარმოადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის აკრძალვის ლეგიტიმურ საფუძველს.

45.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას პოვებს ყოველი კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების ადეკვატურ საკანონმდებლო განსაზღვრაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). „ვიინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიზნის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება № 1/2/411 საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“). ამდენად, კანონმდებელმა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელის შერჩევასა უნდა დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, ინდივიდუალური უფლების დაცვის საშუალებასა და მეორე მხრივ, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს შორის. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ძალის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებს კი საერთო სასამართლოები ვერ გასცდებიან, ვინაიდან სხვადასხვა სისტემებს შორის, რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება არ შედის საერთო სასამართლოების უფლებამოსილების სფეროში.

როში და წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების გადასაწყვეტ საკითხს.

46. სადავო საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით ძირითადად განასხვავებენ სამ მოდელს – Ex tunc, Ex nunc და Pro futuro.

46.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex tunc ეფექტი ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელებას მის გამოქვეყნებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურ კანონს Ex tunc ე.ი. რეტროაქტიული ეფექტით აცხადებს ძალადაკარგულად, იქმნება ისეთი ვითარება, რომ ნორმა საერთოდ არ არსებობდა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს რეტროაქტიული ეფექტი, რაც ნიშნავს იმას, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა აღარ გამოიყენება იმ სამართალურ-ურთიერთობის თუ ფაქტების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე.

46.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc მოდელი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს კანონის განსაზღვრულობის და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებს, ადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავო ნორმა, სამართლებრივ შედეგს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, ხოლო ძალადაკარგული არაკონსტიტუციური ნორმა მოქმედებს იმ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშვა სადავო ნორმის მოქმედების პერიოდში ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე ე.ი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ან გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გვიანდელ თარიღამდე. არაკონსტიტუციური ნორმა ვრცელდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე წარმოიშვა. ე.ი. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა გამოიყენება ნორმის გაუქმებამდე წარმოშობილი სამართალურ-ურთიერთობის მიმართ. Ex Nunc სისტემის მოქმედების პირობებში გამონაკლისის სახით ასევე შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ძალით გავრცელება სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე, მაგ. საერთო სასამართლოებში მიმდინარე საქმეებზე, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილებით კანონმდებელმა უნდა აღჭურვოს საკონსტიტუციო სასამართლო და პირდაპირ მინიჭოს საამისო უფლებამოსილება მას. ასეთი საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობის პირობებში (იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის

მე-5 პუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი) სასამართლოები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას თვითნებურად აღიჭურვონ მსგავსი უფლებამოსილებით. საკასაციო სასამართლოს მსჯელობას ამყარებს ის გარემოება, რომ კანონმდებელმა თავად განსაზღვრა გამონაკლისი შემთხვევები, რაც მოცემულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლში, რომელიც ეხება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების (განაჩენების) აღსრულების შეჩერებას, სხვა შემთხვევას (გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მიმართ მოხმობილი ნორმა არ ითვალისწინებს. მაგალითისათვის საკასაციო პალატა მიუთითებს ავსტრიის ფედერალური საკონსტიტუციო კანონის 140-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლითაც დეტალურად არის დარეგულირებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი, ასევე თავად კანონმდებელი მიუთითებს მიმდინარე საქმეზე, რომელზეც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და რომელმაც ბიძგი მისცა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, როგორც გამონაკლის შემთხვევაზე, რომელზეც ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი შედეგი. კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს დამატებით ანიჭებს უფლებამოსილებას თავად განსაზღვროს საკუთარი გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის §35 ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლოს, თავად განსაზღვროს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების წესი. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტით კი არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ან გვიანდელი თარიღიდან, რაც არ იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიული ეფექტით გამოყენების შესაძლებლობას და არ იწვევს გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე (სამოქალაქო/ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზე) მის გავრცელებას. ასევე, არც მიმდინარე საქმეს ასახელებს კანონმდებელი როგორც გამონაკლის შემთხვევას და არც საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას თავად დაადგინოს საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების წესი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc ფუნქციის მოქმედების ვითარებაში ნორმატიული აქტის არაკონსტი-

ტუციურად აღიარება არ ინვესტის მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების შეცვლას. აღნიშნული ნორმა განსხვავებულად ვერ განიმარტება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ადმინისტრაციულ დავაში ვერტიკალური ურთიერთობებია მოცემული, ხოლო სამოქალაქო ურთიერთობისას – ჰორიზონტალური, რადგან ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, კონსტიტუციით განსაზღვრულისგან განსხვავებულად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლების განმარტება, კანონმდებლობის ცვლილების გარეშე, საერთო სასამართლოების უფლებამოსილებების ფარგლებს სცდება.

46.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro futuro ეფექტისას, საკონსტიტუციო სასამართლო ძალადაკარგულად აცხადებს ნორმას მომავალში კონკრეტული თარიღიდან და ადგენს სადავო ნორმის გამოყენებას გადაწყვეტილებაში მითითებულ თარიღამდე. საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას Pro futuro სამართლებრივ ძალას ანიჭებს იმ შემთხვევაში თუ დაადგენს, რომ კანონმდებელს სჭირდება დრო, რათა ცვლილება შეიტანოს არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ ნორმაში. აღნიშნული უფლებამოსილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლიდან, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე.

47. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიული ეფექტი მიანიჭა იმ დასაბუთებით, რომ დავა წარმოადგენდა მიმდინარე დავას, მოსარჩელე კი – საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს და აღნიშნული საქმეები სინქრონულად განიხილებოდა საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში. თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ მითითებია კონკრეტული ნორმა, რომელიც ასეთი უფლებამოსილებით აღჭურავდა საერთო სასამართლოს. მიმდინარე დავაზე გამონაკლისის სახით რეტროაქტიული ეფექტის დადგენა, საქართველოში არსებული კონსტიტუციური მოდელის პირობებში, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და დაუსაბუთებელია იმ მხრივაც, რომ ტერმინი – მიმდინარე დავა სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას იძლევა, მაგალითად, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დაცვით, ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, რთულია იმის თქმა, რომ ასეთი დავა არ იქნება მიმდინარე დავა, რამდენადაც ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ერთთვია-

ნი ვადა არ იქნება გასული, ხოლო ამგვარი განმარტების დაშვება სხვა არაფერია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილები-სათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭება. იგივე ითქმის საკონსტი-ტუციო სასამართლოში დავის დასრულების შემდეგ კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მიერ სარჩელით საერთო სასამართლოსათვის მი-მართვის შემთხვევაში, რამეთუ ტერმინის ფართო გაგებით მიმდინარე დავა შესაძლოა, ასევე ერთი მთლიანი დავის ორ ნაწილად წარმოსდგეს ჯერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარ-დგენის და შემდეგ, დავის დასრულების შემთხვევაში, საერთო სასა-მართლოებში სარჩელის აღძვრის გზით, რაც ასევე წარმოადგენს სა-კონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიუ-ლი ეფექტის მინიჭებას. სხვადასხვა შემთხვევებზე საკასაციო პალა-ტამ ყურადღება გაამახვილა იმ მიზნით, რომ წარმოეჩინა ის სირთულე, რის წინაშეც აღმოჩნდებიან საერთო სასამართლოები, მყარად განსაზ-ღვრული ნორმისა და კანონში ასახული კანონმდებლის ნების სანინა-აღმდეგო განმარტების შედეგად. საკონსტიტუციო სასამართლოს გა-დაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის თვითნებურად მინი-ჭების შემთხვევაში, ფაქტობრივად ხდება კანონმდებლის მიერ არსე-ბული *Ex nunc* მოდელის თვითნებურად ანულირება საერთო სასამარ-თლოების მიერ და კანონით გაუთვალისწინებელი *Ex Tunc* მოდელით მისი ჩანაცვლება სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის და-ვებზე, რისი უფლებამოსილებაც, როგორც უკვე აღინიშნა, საერთო სა-სამართლოებს, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდი-ნარე, არ გააჩნიათ.

48. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის სამართლებრივი ეფექტის ფარგლები შეაფასა ადამიანის უფლება-თა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „აპოსტილი საქართველოს წი-ნაღმდეგ“ (საჩივარი 40765/02, §42-§44), სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტი-ტუციო სამართალწარმოება ასევე განსხვავდება მაგალითად გერმანი-ის, ესპანეთისა და ჩეხეთის პრაქტიკისგან. ამ ქვეყნებში არსებობს მი-მართვის „სპეციფიკური“ კონსტიტუციური საშუალებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოას-ნოროს ოფიციალურ უწყებათა მიერ უფლებათა დარღვევები ან კიდევ, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევა წარ-მოადგენს არა გადაწყვეტილების, არამედ სხვაგვარი ჩარევის შედეგს, აუკრძალოს შესაბამის უწყებას, განაგრძოს აღნიშნული უფლების დარ-ღვევა და მიუთითოს მას, რომ თუკი ეს შესაძლებელია, აღადგინოს დარ-ღვევამდე არსებული მდგომარეობა – *statu quo ante* (Hartman c. République tchèque, no 53341/99, §49, CEDH 2003-VIII, et *Sürmeli c. Allemagne* [GC], no

75529/01, §62, CEDH 2006-VII)". აღნიშნული მიმართვის საშუალება ასევე იძლევა იმ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობას, რომელთა მყისიერი და პირდაპირი საფუძველი სასამართლო ორგანოს ქმედებაში ან უმოქმედობაში მდგომარეობს იმ ფაქტებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოებას; არაკონსტიტუციური კანონის გაუქმება იწვევს სასამართლოების ან სახელმწიფო უწყებების მიერ, აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებული ყველა საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებას (იხ. *Riera Blume et autres c. Espagne (déc.)*, n o 37680/97, CEDH 1999-II, et *Voggenreiter c. Allemagne*, no 47169/99, §23, CEDH 2004-I). ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას. მსგავს ფორმულირებას შესაბამის ნორმასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტაც კი არ შეუძლია, ის მხოლოდ მისი აღსრულების შეჩერებას იწვევს. სასამართლომ უკვე აღნიშნა – იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას (იხ. *Merit*, ხსენებული ზემოთ, §59 და *Deweert c. Belgique*, 27 février 1980, §29, série A no 35)". ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჯერ კიდევ 2006 წელს მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელებზე ეფექტურად ვერ აღადგენს თავდაპირველ უფლებრივ მდგომარეობას და ვერ დაეძვება საფუძვლად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული აქტების გაუქმებას. ამავ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ გამოსავლის სახით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რეტროაქტიული ეფექტი უნდა გაძლიერდეს ან სასამართლოს რეალური საკონსტიტუციო კონტროლის უფლება უნდა ჰქონდეს, რაც მიღწევადია მხოლოდ კანონმდებლობის ცვლილების შედეგად და არა ნორმის განმარტების გზით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამავე საქმეში (აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი 40765/02, §30) ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს მითითებაზე, რომ 1999 წლის 19 აპრილის ვენეციის კომისიის დასკვნით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონებში შესატან საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტზე კომისიამ აღნიშნა: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები ხასიათდება გაურკვევლობით მათი აღსრულების თვალსაზრისით. აღნიშნული სირთულის გადასაწყვეტად, ქართველ კანონმდებელს შეეძლო, გამოეყენებინა გერმანიის კანონი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, რომლის 35-ე მუხლის თანახმად: „ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, თავის გადანყვეტილებაში, განსაზღვროს, თუ ვინ უნდა აღასრულოს ის. მას ასევე შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, განსაზღვროს აღსრულების მეთოდი.“ საკასაციო პალატამ უკვე მიუთითა, რომ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გერმანიის კანონის 35-ე პარაგრაფის მსგავსი რეგულირების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ექნებოდა უფლებამოსილება, თავად გადაეწყვიტა გადანყვეტილების აღსრულების მეთოდი (ფარგლები), თუმცა მსგავს უფლებამოსილებას კანონმდებელი საქართველოს საკონსტიტუციო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სასამართლო ორგანოს, რომელიც არ შედის საერთო სასამართლოების სისტემაში) ან/და საერთო სასამართლოებს არ ანიჭებს.

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამჟამად საქართველოში მოქმედი მოდელის პირობებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე მატერიალურ სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას და მის ძალადაკარგულად გამოცხადებას არ მოჰყვება ნორმის არაკონსტიტუციურობით გამოწვეული შედეგების აღდგენა. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლოა მიენიჭოს დისკრეტია, გადანყვეტოს თავისი გადანყვეტილების სამართლებრივი ძალა დროში, ანუ დაადგინოს რეტროაქტიულობა, ისე როგორც ზოგიერთ შემთხვევაში, უფლებამოსილია ნორმის გაუქმება მომავალში კონკრეტულ თარიღს დაუკავშიროს (მაგ. ადმინისტრაციული კატეგორიის დავის – საგადასახადო დავის დროს გადასახადის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია ქვეყნის ფინანსებსა და ეკონომიკურ მდგრადობასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებამ შესაძლოა სახელმწიფოში ეკონომიკური კრიზისი წარმოქმნას). ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით დარეგულირდეს ის მოქმედებები, რომელიც უნდა განხორციელდეს არაკონსტიტუციური ნორმის შედეგების აღმოსაფხვრელად, ეს შესაძლოა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გახდეს კანონმდებლის მსჯელობის საგანი ან ზოგადად

დარეგულირდეს კანონმდებლობით სამართალწარმოების სპეციალური სახე, რომელიც მიმართული იქნება არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მოქმედებით დაზარალებულთა უფლებების აღსადგენად იმ ფარგლებში, რომელსაც ასეთი შემთხვევებისთვის განსაზღვრავს კანონმდებელი. ასევე შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, ძალადაკარგულად ცნოს არაკონსტიტუციური ნორმა *Ex tunc* ეფექტით მისი მიღების თარიღიდან, რაც დაინტერესებულ პირს მისცემდა უფლებებში სრულად აღდგენის შესაძლებლობას.

49.1. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა საკონსტიტუციო სარჩელის ავტორისათვის, რომლის სარჩელის შედეგად გამოვლინდა არაკონსტიტუციური ნორმა, არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭებას და გამონაკლისის სახით, მის უკეთეს უფლებრივ მდგომარეობაში ჩაყენებას, იმ ადამიანებისაგან განსხვავებით, რომლებსაც არ მიუმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოში დავის მოგების შემდგომ, საკონსტიტუციო სარჩელის ავტორი ვერ სარგებლობს რაიმე უპირატესობით სხვა პირებთან შედარებით, რომ სარჩელი აღძრას საერთო სასამართლოებში და მხოლოდ მის სარჩელზე მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების რეტროაქტიული ეფექტით გავრცელება და სარჩელის დაკმაყოფილება, რამეთუ საქართველოში მოქმედებს მკაცრი *Ex Nunc* მოდელი, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ნიშნავს იმას, რომ ნორმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების გამოქვეყნების დღიდან ან უფრო გვიანდელი თარიღიდან. საკასაციო პალატა კვლავ აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი ფაქტობრივად კრძალავს *Ex tunc* ეფექტით საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების გავრცელებას/მოქმედებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. თუ არ შეიცვლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების დროში მოქმედების დღევანდელი მოდელი, შესაძლოა, თავად საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვოს იმ უფლებამოსილებით, რომ განსაზღვროს იმ პირთა წრე, ვისაც შეეძლება გადანყვეტილების რეტროაქტიული სამართლებრივი ძალით უპირატესობის მიღება და იმ ეტაპის განსაზღვრაც კი, რომელ ეტაპზე უნდა მოხდეს ეს – დასრულებული თუ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების, სამოქალაქო/ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის თუ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ან სხვა რომელიმე ეტაპიდან თუ თარიღიდან. სამართლებრივი ურთიერთობებისა და დავის მრავალფეროვ-

ნების გათვალისწინებით ყველა შესაძლო პრაქტიკულ შემთხვევას საკასაციო პალატა არ ჩამოთვლის, რამეთუ აღნიშნული პრობლემატიკის ყველა ასპექტის განსაზღვრა უფრო მეტად თეორიული კვლევის საგანს წარმოადგენს.

50. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადება, რომელიც სასამართლოს ...ად სამსახურის ზღვრულ ასაკად 50 წელს ადგენდა, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილებით. ჯ. ც-ეის სამსახურიდან გათავისუფლებისა და სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-3 ბრძანების გამოცემის მომენტი მოქმედი იყო საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადება. აღნიშნული ნორმის არაკონსტიტუციურობა დადგინდა ჯ. ც-ეის სამსახურიდან გათავისუფლებიდან ორ წელზე მეტი პერიოდის გავლის შემდეგ და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითა, რომ ნორმა ძალას კარგავდა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/2/767, 1272 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში მითითებულია არაკონსტიტუციური ნორმის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადების ძალადაკარგულად ცნობის მომენტი, კერძოდ, აღნიშნული ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2018 წლის 14 დეკემბერს. ძალადაკარგულად ცნობა ბათილად ცნობისა და არარად აღიარებისგან განსხვავებით წარსულში, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობამდე არსებული შედეგების შენარჩუნებას ნიშნავს. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მასზე გავრცელება, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენის დავალება და 2016 წლის 3 მაისიდან სამსახურში აღდგენამდე, თვეში 895 ლარის ოდენობით იძულებითი მოცდენის დროს მიუღებელი შრომის ანაზღაურების დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე სარჩელის დაკმაყოფილება ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭებას, რაც დასაშვებია მხოლოდ

იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავს შესაძლებლობას კანონი ითვალისწინებს.

50.1. საკასაციო პალატა ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ შეუძლებელია იმპერატიულად ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისათვის რეტროაქტიული ეფექტის მინიჭება სამოქალაქო დავებზე დაუშვებელია, ხოლო ადმინისტრაციული კატეგორიების დავებზე დასაშვებია, რადგან, ერთი მხრივ, ნორმის განმარტება ვერ დაეფუძნება მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარის სტატუსს (დავის საგანს), მეორე მხრივ კი, სახელმწიფო გამოდის რა როგორც კერძო სამართლის სუბიექტი სამოქალაქო დავებში, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო დავა განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭება მხოლოდ დავის კატეგორიის მიხედვით, არ გამოირიცხავს კერძო სამართლის სუბიექტის საწინააღმდეგო და სახელმწიფოს სასარგებლო შედეგის მიღების შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და მხოლოდ დავის საჯარო სამართლებრივი ხასიათი არ ახდენს გავლენას ნორმის განმარტებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას, რისი უფლებამოსილებაც კანონმდებლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიენიჭოს, რომელიც თავად განსაზღვრავს მიღებული გადაწყვეტილების რეტროაქტიულად გავრცელების მასშტაბს, რამეთუ თავად იკვლევს და აფასებს ნორმით დარეგულირებულ ურთიერთობებს და კონსტიტუციური პრინციპის, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესთა შორის პროპორციული ბალანსის მიღწევას. აღნიშნული ფუნქციის საერთო სასამართლოების მიერ განხორციელება გარდა იმისა რომ არ გამომდინარეობს დღეს მოქმედი კანონმდებლობიდან, რომელიც არ იძლევა სხვადასხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას, ასევე შექმნიდა იმის პრეცედენტს, რომ საერთო სასამართლოები, საკანონმდებლო რეგულირების გარეშე, საკონსტიტუციო სასამართლოს ნაცვლად მიანიჭებენ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიულ ძალას.

50.2. საკასაციო პალატა, სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ თუ კონსტიტუციის ნორმა საერთო სასამართლოს აძლევს იმის უფლებამოსილებას (რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს), რომ მიანიჭოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რეტროაქტიული ეფექტი, მით უფრო საკონსტიტუციო სასამართლოს ექნებოდა უფლებამოსილება მი-

სი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმა გამოეყენებინა და ნორმის განმარტების გზით თავად უზრუნველყო და დაედგინა გადაწყვეტილების გავრცელების ფარგლები (როგორც ამას აკეთებს კიდეც იმ დროს, როდესაც ნორმას ძალადაკარგულად აცხადებს მომავალში კონკრეტული თარიღიდან), თუნდაც მიმდინარე დავებზე ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ასეთი არჩევანის წინაშე საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას სისხლის სამართლის დავებზე, რადგან აღნიშნული შემთხვევები წყდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რა დროსაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობა ასეთ რეგულაციას არ შეიცავს.

51. საკასაციო პალატა მოიხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებას, რომ ხელისუფლების დანაწილებისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს შეესაბამება ის, რომ კანონი შეიცავს ზოგად და სპეციალურ ნორმებს, რომელთაც მართლმსაჯულები-სა და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სავალდებულო ძალა აქვს. ამიტომ, როგორც წესი, ამ ნორმების არსი ინტერპრეტაციის წესების მიხედვით უნდა იქნეს დადგენილი, რათა მოხდეს მათი დაცვა. მართალია, კოდიფიცირებულ სამართლებრივ სისტემებს აქვთ სამოსამართლეო სამართლის კომპონენტი, რა დროსაც მოსამართლე ავითარებს და აზუსტებს სამართლის ნორმას ან ნორმის იმ ნაწილს, სადაც ინტერპრეტაციის რამდენიმე ალტერნატივისათვის ღია სივრცე არსებობს, თუმცა ეს შესაძლებელია იქ, სადაც კანონი შეიცავს ხარვეზს ან იგი განვრცობას საჭიროებს, ხოლო იქ, სადაც კანონმდებელმა სამართლებრივი საკითხები გადაწყვიტა და შესაძლებელია კანონმდებლის მიერ კანონში ასახული ნების დადგენა, სამართლის შემფარდებისათვის ნორმის მოცემული კრიტერიუმების შესრულება სავალდებულოა. შესაძლებელია სიტყვების არაზუსტი მნიშვნელობები ინტერპრეტაციით დაკონკრეტდეს, მაგრამ ზუსტი მნიშვნელობისათვის იმ შინაარსის მიცემა, რომელიც მისი შექმნის არსს ეწინააღმდეგება, დაუშვებელია, რამეთუ კანონის გაგება ნიშნავს, რომ კანონის სიტყვებს ის ზოგადი წარმოდგენითი შინაარსი მიუსადაგო, რომლებიც ამ სიტყვებით უნდა იქნეს აღნიშნული (სუსგ №ბს-674(კ-21), 28.09.2023წ.).

51.1. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელისათვის სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა ვერც ნორმის *contra legem* ან *Praeter legem* განმარტების გზით. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძა-

ლას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ (საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები), „ე“ (საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი) და „ლ“ (ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე იმავე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტითა (საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი) და მე-2 პუნქტით (თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ) გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესა-

ხებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მიმართ რეტროაქტიული ეფექტის გამოყენებას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლით კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადანყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა საჯარო სამართალურთიერთობათა რიგს განეკუთვნება, პრინციპი – „ნებადართულია ის, რაც აკრძალული არ არის“ – კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს, საჯარო სფეროში კი მოქმედებს უკუპრინციპი – „აკრძალულია ის, რაც დაშვებული არ არის“. ამდენად, დასახელებული ნორმები ადგენენ, რომ არაკონსტიტუციური ნორმა ძალას დაკარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების გამოქვეყნების დღეს, ან მომავალში კონკრეტული თარიღიდან და გადანყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს გადანყვეტილებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე.

51.2. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება ამახვილოს ნორმის განმარტების ფარგლებზე და მიუთითებს, რომ *contra legem* განმარტება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როდესაც ამორალური და თვითნებური კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება მართლწესრიგთან არ არის თავსებადი და ადგენს უსამართლო შედეგს, ასეთ დროს ნორმა შეიძლება განიმარტოს *contra legem* ანუ ტექსტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ, რამეთუ განმარტება *contra legem* უპირატესობას ანიჭებს სამართალს, ამ ტერმინის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, რაც მოიცავს არა მხოლოდ კონსტიტუციით პირდაპირ განმტკიცებულ მართლწესრიგს (მოქმედი კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა, საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა, დოქტრინა და ა.შ.), არამედ ასევე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა უზრუნველყოს კონკრეტული შემთხვევის სამართლიანი გადანყვეტა, რამდენადაც სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური მართლწესრიგი უნდა იყოს სამართლიანი. სამართლის მიგნება და გადასაწყვეტი შემთხვევისადმი მისი მისადაგება მართლმსაჯულების ერთ-ერთი ფუნქციათაგანია, რაც მხოლოდ მოსამართლეს აღჭურავს უფლებამოსილებით, ნორმა განმარ-

ტოს *contra legem*. თუმცა ამ ფუნქციის განხორციელების დროს, იმისათვის, რომ მოსამართლემ არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაადგინოს სუბიექტური სამართლიანობა, იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს იმ ღირებულებებით, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედი სამართლის სისტემის საფუძველია, ხოლო სამართლიანობა წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ და არა ერთადერთ კომპონენტს. ეს საკითხი განსაკუთრებით მგრძობიარეა სოციალური დავებისას, რადგან სოციალური სამართლიანობის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, რამეთუ სოციალური სამართლიანობის გარეშე საზოგადოების წევრებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა შეუძლებელია, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სახელმწიფოს, რომელიც არსებობს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. დასახელებული მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში, რომლითაც აღიარებულია, რომ სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. მითითებული პრინციპების განმტკიცების ერთ-ერთი საწინდარია ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის არსებობის გზით დაინტერესებულ პირთათვის რეალური შესაძლებლობის შექმნა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დასაცავად.

51.3. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ლეგიტიმური მოლოდინები, რომელთა მიმართაც ინდივიდებს ნდობა გააჩნიათ. კანონით მინიჭებული უფლებების მიმართ მაღალია ინდივიდების ნდობის ხარისხი. აღნიშნული ნდობის გაუმართლებელი შერყევა უარყოფითად აისახება სამართლის მიმართ ნდობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე. ყოველგვარი თვითნებური გადახვევა ამ წესიდან ეწინააღმდეგება სამართლის ამოცანას – უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება. ეს მიზანი ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის განმარტებისა და განვრცობისას. დავის სამართლიანი გადაწყვეტა სამართლის ერთ-ერთი ფუნქციაა, რაც კანონის განმარტების გზითაც ხორციელდება, რა დროსაც იმავდროულად მოწმდება კანონის განვრცობის საჭიროება. *contra legem* განმარტების დროს არსებობს წინააღმდეგობა ნორმის რამდენიმე მიზანს შორის. *contra legem* კი უპირატესობას ანიჭებს კონსტიტუციური მართლწესრიგიდან გამომდინარე სამართალს, რომელიც უზრუნველყოფს განსახილველი შემთხვევის ყველაზე სამართლიან გადაწყვეტას და სხვა არაერთ მიზანთან ერთად, სოციალური სამართლიანობის განმტკიცებას. თუმცა კა-

ნონის სანინაალმდეგო განმარტება, სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებს არ სცდება, რადგან *contra legem* განმარტება გამოიყენება მოქმედი კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებში.

51.4. წინამდებარე შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ განმარტავს ნორმას მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის სანინაალმდეგოდ და ვერ დაადგენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას (თუნდაც მხოლოდ „მიმდინარე დავებზე“) აქვს რეტროაქტიული ეფექტი ადმინისტრაციულ საქმეებზე, რადგან ასეთი განმარტება შეენინაალმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ მართლწესრიგს და ამგვარი განმარტებით, როგორც უკვე მიეთითა, არ გამოირიცხება კერძო სამართლის სუბიექტის სანინაალმდეგო გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობა (პუნქტი 50.1.).

51.5. საკასაციო სასამართლო ვერ დაეყრდნობა ვერც *Praeter legem* განმარტებას, რა დროსაც ნორმის განმარტება არ შეესაბამება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, თუმცა არ ენინაალმდეგება მას. საკასაციო პალატა ითვალისწინებს რა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების დროში მოქმედების მოდელს, აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი არ დუმს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების უკუძალის საკითხზე, რაც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ნორმის შინაარსის განახლებისა და სადავო ურთიერთობისადმი ნორმის მისადაგების გზით განეწო ნორმის მოქმედების ფარგლები და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებისათვის მიენიჭებინა რეტროაქტიული ეფექტი. იმ დროს როდესაც კანონი ცალსახად მიუთითებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მოქმედების ფარგლებზე, მისი გავრცელება გადანყვეტილების მიღებამდე არსებულ ურთიერთობაზე გამოიწვევს არა ნორმის შევსებას, რასაც მიზნად ისახავს *Praeter legem* განმარტება, არამედ ნორმის სანინაალმდეგო განმარტებას, რაც შეუთავსებელია *Praeter legem* განმარტებისათვის.

52. საკასაციო პალატა აცნობიერებს, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა შესაძლოა ამა თუ იმ მხარისათვის არ აღმოჩნდეს რეალური მექანიზმი უფლებების დასაცავად, თუმცა საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ იძლევა ნორმაში მოცემული დანაწესისაგან სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას. საქართველოში დამკვიდრებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების დროში მოქმედების მოდელი რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ

იძლევა უფლებებში აღდგენის შესაძლებლობას, განმარტებული აქვს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადანყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღების შემდეგ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადანყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 32).

52.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებელს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებისაგან განსხვავებული მიდგომა აქვს სისხლის სამართლის საქმეების მიმართ, რადგან განსხვავებულია დაპირისპირებული ინტერესი და, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისათვის.

52.2. სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების რეტროაქტიულ ძალაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი შეიძლება გაუქმდეს (შეიცვალოს) თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა საფუძვლად უდევს განაჩენს, რაც წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების რეტროაქტიულად გამოყენების მაგალითს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის მსგავსად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი ჩამოთვლის სამოქალაქო სამართალწარმოებისას მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების გასაჩივრების საფუძვლებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თუმცა ჩამონათვალში არ არის მოცემული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება. ამდენად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში საკონსტიტუციო სასამართლოს რეტროაქტიული ძალა არ აქვს. იგივე ნების ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, რაზედაც მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის

დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი ე.ი. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისას ასევე გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი. როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს მონაწილეობით წარმოებული საქმეები ყოველთვის ვერტიკალური ურთიერთობით არ განსხვავდება სხვა საქმეებისაგან, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მითითება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავებზე, რომლებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, დავის ამა თუ იმ კატეგორიისადმი კუთვნილების ან საქმეში მონაწილე სუბიექტთა მიხედვით სამართლის ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტება შეუძლებელს გახდის ნორმის განმარტებას.

52.3. შესაბამისად, საკასაციო პალატა განმარტების ფარგლების დარღვევით ვერ გააფართოებს ნორმის მოქმედების არეალს და ვერ მიაწიჭებს მას ამ ნორმით განსაზღვრულისაგან საწინააღმდეგო შინაარსს. თუ კანონმდებელი მიზნად დაისახავდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულობას/ბათილობას, იგი დაადგენდა აღნიშნულ რეგულაციას და მიაწიჭებდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას რეტროაქტიულ ძალას, ისე როგორც ამას აქვს ადგილი (საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებას) რამდენიმე გამონაკლის შემთხვევაში, კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება ინვევს დანიშნული არჩევნების (რეფერენდუმის) გაუქმებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს; ამავე ორგანული კანონის 23-ე მუხლის 4¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება ინვევს ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა

არსებითი და გადამწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი; ამავე ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით (საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადანაცვლოს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი) გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს საქართველოს პარლამენტის: ა) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების აღდგენას, თუ პარლამენტმა მას ვადამდე შეუნწყვიტა უფლებამოსილება; ბ) შესაბამისი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობას მისი ძალაში შესვლის მომენტიდან და მოქალაქის, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების ცნობას, თუ პარლამენტმა არ ცნო მისი უფლებამოსილება. მოხმობილი ნორმები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, როდესაც კანონმდებელი მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანწყვეტილებისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებას, ამას პირდაპირ მიუთითებს ორგანულ კანონში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესი.

53. ვინაიდან კასატორის მოთხოვნას წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კანონის უკუქცევით ძალასა და კანონიერი ადმინისტრაციული აქტის, შეცვლილი/გაუქმებული ნორმის საფუძველზე ბათილად ცნობის საკანონმდებლო შესაძლებლობაზე.

53.1. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლითაც არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლით კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

53.2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დასახელებული ნორმებიდან მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ზოგადად იმ გარემოებას, რომ კანონს და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს უკუქცევით ძალა არ აქვთ. ეს არის ზოგადი წესი, რომლიდანაც გამონაკლისი არის ის შემთხვევები, როდესაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს კანონის უკუძალით გავრცელების შესაძლებლობას (თუ იგი არ არის ზიანის მომტანი ან არ აუარესებს პირის მდგომარეობას) ან თუ კანონი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას. საკასაციო პალატა კვლავ მიუთითებს კანონმდებლის მიერ კანონში გადმოცემულ ნებაზე, რაც ცხადად იკითხება მითითებულ ნორმებში (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი; საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმები არ იძლევიან საჯარო და კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ამ ნორმების განსხვავებულად განმარტების შესაძლებლობას, რამეთუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ როგორც სახელმწიფო, ასევე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეები იმოქმედებენ სამართლით დადგენილ ფარგლებში და მათ მიერ განხორციელებული ქმედება შეფასდება არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში. გამონაკლისი მოქმედებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილში, როდესაც ახალი ნორმატიული სინამდვილე იკავებს ძველის ადგილს და აძლიერებს პასუხისმგებაში მიცემული პირის უფლებების დაცვის გარანტიებს. დანაშაულის ჩადენის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება, რის გამოც ჩადენილი ქმედების გამო პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ერთ მხარეს ყოველთვის წარმოადგენს სახელმწიფო. ამდენად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ ან პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ნორმატიულ აქტს უკუძალა არა აქვს. ამრიგად, კანონი იმ შემთხვევაში დაარღვევს დასახელებულ დანაშაულს, თუ მას მიენიჭება უკუქცევითი ძალა და ამავე დროს ის აწესებს ან ამკაცრებს პასუხისმგებლობას. კანონისათვის უკუძალის პირდაპირ მინიჭების გარეშე, მხოლოდ კანონის მიღებით ან კანონის ცვლილებით კანონის მიღებამდე არსებული ნორმატიული სინამდვილე არ იცვლება. ამ საკითხზე საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმდენად, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება თავისი შინაარსით ნორმატიული ხასიათის არის და გარკვეულწილად უტოლდება კანონის მოქმე-

დებას არა ახალი კანონის მიღების მხრივ, არამედ მოქმედი ნორმის ძალდაკარგულად გამოცხადების, მისი გაუქმების გზით, რაც ცვლის ნორმატიულ სინამდვილეს და წარმოშობს საკითხს ამ ცვლილებამ უნდა მოახდინოს თუ არა გავლენა ე.ი. უნდა შეცვალოს თუ არა კანონის გაუქმებამდე არსებული ნორმატიული სინამდვილე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას კი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა იძლევა, რომლითაც მკვეთრად არის გამოიჯნული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო/ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი.

53.3. ასევე აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ - კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება (სსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტები). დასახელებული საფუძვლებით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შეიძლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სსკ-ის 423.1 მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები). აქვე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს 2010 წლის 4 მაისის №3046 – I ს კანონით დამატებული 34² მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენებოდა. აღნიშნული მუხლი გაუქმდა 2022 წლის 18 ოქტომბრის №1920 კანონით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რამაც შესაძლებელი გახადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე საქმის წარმოების განახლება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზეც. საკასაციო პალატის მიერ მოხმობილი ნორმები

კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებელს იდენტიფიცირებული აქვს როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების, ისე საერთაშორისო სასამართლოების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადანყვეტილებების დროში მოქმედების სამართლებრივი შედეგის მნიშვნელობა, თუმცა განსხვავებულ რეგულაციებს ანესებდა/ანესებს სამართალწარმოების განახლების (გადაწყვეტილებისათვის უკუძალის მინიჭების) შესაძლებლობების მხრივ.

53.4. სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი, რომელიც კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს მხოლოდ კანონით ან ნორმატიული აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს უკუძალა, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ყოველი კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე კანონმდებლის გადასაწყვეტია, რომელ კანონს (ნორმატიულ აქტს) მიანიჭებს უკუძალას (პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ნორმის მიღების გარდა). კანონმდებლის უფლებამოსილება შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით, რამეთუ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით გამოყოფილია ის შემთხვევა, რასაც კანონმდებელი ვერ შეცვლის თავისი ნორმატიული ნებით, კერძოდ, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალას ვერ მიანიჭებს. ამ დებულებების უარყოფელ ნორმას კანონმდებელი ვერ მიიღებს. სწორედ ამით არის განპირობებული განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა სამართალწარმოების მიმართ, ისევე როგორც კანონის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ კანონს აქვს უკუძალა და ცვლის დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობას, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო საქმეზე გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, გავლენას ახდენს არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ სისხლის სამართლის დასრულებულ საქმეებზეც, ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის საქმეები უკავშირდება ადამიანისათვის ჩადენილი ქმედების გამო სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრებას. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს, სადაც არ დგება ჩადენილი ქმედების გამო „პასუხისმგებლობის დაკისრების“ საკითხი, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 21 ივნისის №ბს-21-21(კ-07) გადანყვეტილებაზე, სადაც დიდმა პალატამ განმარტა, რომ კანონის უკუძალის პრინციპი ორგანულადაა დაკავშირებული იურიდიულ პასუხისმგებლობასთან, გამოიყენება მასთან ერ-

თობლიობაში და არ მოიცავს სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის საკითხს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის ნორმაც იმპერატიულად გამორიცხავს კანონისათვის მხოლოდ ნამდვილი უკუძალის მინიჭებას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. აღნიშნული ნორმაც უშუალოდ შეეხება იურიდიულ პასუხისმგებლობას. დიდი პალატა ასევე განმარტავს, რომ კანონის მოქმედება, როგორც წესი, ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა კანონის იურიდიულ ძალაში შესვლის შემდგომ. იგივე უნდა ითქვას წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგებთან დაკავშირებით, დღეს მოქმედი კონსტიტუციური მოდელის პირობებში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე, სადაც ადამიანისათვის ჩადენილი ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი არ დგას, დამდგარი შედეგი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ვერ შეიცვლება, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე შეიძლება გამოიწვიოს უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით.

54. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი (ასევე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი) წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის ამკრძალავ ნორმას. აღნიშნული ნორმის მიზანია არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან დაეკარგოს ძალა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ გავრცელდება იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანამდეა წარმოშობილი და ამაზე მიუთითებს კანონმდებლის მიერ ზოგადი წესიდან გამონაკლისის დადგენა (თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას), როდესაც კანონმდებელს შეეძლო მიემართა ისეთი ფორმულირებისათვის, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის დრო არ დაეკავშირებინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტისათვის და ასევე ნორმაში მხოლოდ სიტყვა „გვიანდელი“ არ მიეთითებინა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემდა უფლებამოსილებას, თავად განესაზღვრა გადაწყვეტილების ამოქმედებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მათ შორ-

რის, უკუძალის საკითხი. დღევანდელი ფორმულირებით კი, კანონმდებელმა შეგნებულად შეზღუდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების მოქმედების ფარგლები და ფაქტობრივად აკრძალა (სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე) გადანყვეტილების მიღება მდე, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების გავრცელების შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს დისკრეცია გადანყვიტოს როდიდან შევა ძალაში მის მიერ მიღებული გადანყვეტილება – გამოქვეყნების მომენტიდან, თუ მომავალში გარკვეულ დროს.

55. რაც შეეხება უშუალოდ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, საკასაციო პალატა, განსახილველი საქმისათვის დამახასიათებელი ფაქტობრივი გარემოებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით შეაფასებს ადმინისტრაციული აქტის გაუქმების სხვადასხვა საფუძვლებს, რაც მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60-61-ე მუხლებში და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში. საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება გულისხმობს მატერიალურ-სამართლებრივ და ფორმალურ-სამართლებრივ კანონიერებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში ყურადღება ექცევა აქტის დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის ფაქტობრივი და სამართლებრივი ნაწინამძღვრები, რომელთა საფუძველზე გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაუდო თავის გადანყვეტილებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება კი დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან. როგორც აღინიშნა, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მეორე წინადადება, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავდა სასამართლოს მანდატურად სამსახურის ზღვრულ ასაკს (50 წელი), და ავალდებულებდა მანდატურის დამსაქმებელ ადმინისტრაციულ ორგანოს

50 წელს მიღწეული მანდატური უპირობოდ გაეთავისუფლებინა სამსახურიდან. ამდენად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოცემის დროს, გამომდინარეობდა და ეყრდნობოდა საქართველოს ორგანულ კანონს, რომელიც, თავის მხრივ, არ ეწინააღმდეგებოდა იერარქიით ზემდგომ სამართლებრივ ნორმებს. ამდენად, გამოცემის დროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 3 მაისის №58-პ ბრძანება აკმაყოფილებდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მატერიალურ-სამართლებრივ და ფორმალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს. რაც შეეხება უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ცვლილება (კანონის გაუქმება, ნორმის ძალადაკარგულად ცნობა) არ არის ადმინისტრაციული აქტის არარად ან ბათილად ცნობის საფუძველი (ზაკ-ის 60-60¹ მუხლები). ზაკ-ის 60¹ მუხლის 1-ელი ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რასაც წინამდებარე შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება კი გათვალისწინებულია ზაკ-ის 61-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ ნორმატიული აქტის გაუქმება ან შეცვლა, თანმდევი შედეგის სახით არ იწვევს (არ ავალდებულებს აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს) გაუქმებული/შეცვლილი ნორმის საფუძველზე გამოცემული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, არამედ აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. ასეთი დასკვნა ეფუძნება ზაკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებლის მიერ მოცემულ მითითებას ადმინისტრაციული ორგანოს „უფლებამოსილებაზე“ და არა „ვალდებულებაზე“ და ასევე ზაკ-ის 61.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში „შესაძლო მნიშვნელოვანი ზიანის“ შეფასებაზე. იგივე ითქმის ზაკ-ის 61.2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საქმის წარმოების განახლების საფუძველს. ანალოგიური რეგულაციაა მოცემული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში, რომელიც ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველად უპირველესად სადავო აქტის კანონსაწინააღმდეგობაზე მიუთითებს.

55.1. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართალია ბათილად ცნო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი, თუმცა კონკრეტულად ვერ მიუთითა ზაკ-ის მე-60 (ასკ-ის 32-ე) მუხლის რომელი ნაწილის და ქვეპუნქტის საფუძველზე ცნო ბათილად სადავო აქტი და ვერც მიუთითებდა, რადგან კანონის ცვლილება/გაუქმება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი არ არის, სასამართლოს კი არ გააჩნია უფლებამოსილება ადმინისტრაციული აქტის ბათილობის სამართლებრივი საფუძველების არარსებობის ვითარებაში თვითნებურად ბათილად ცნოს კანონიერი ადმინისტრაციული აქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში (კანონით გაუთვალისწინებელი საფუძველით ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობით) ფაქტობრივად სასამართლო შეითავსებს კანონმდებლის ფუნქციას და მიიღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, რომლის სამართლებრივი საფუძველიც არ გააჩნია, რისი უფლებამოსილებაც კანონმდებელს სასამართლოსთვის არ მიუნიჭებია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად ცნობილი ნორმა (ნორმატიული აქტი) არ წარმოადგენს ამ ნორმის (ნორმატიული აქტის) საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასამართლოს მხრიდან არარად, ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის საფუძველს, ასეთ სამართლებრივ საფუძველს ზაკ-ის მე-60-61-ე და ასკ-ის 32-ე მუხლები არ ითვალისწინებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება დაკავშირებულია აქტში ასახულ დასაბუთებასთან, ადმინისტრაციულ აქტში მოცემული უნდა იყოს კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს აქტის გამოცემის სამართლებრივ საფუძველსა და საკანონმდებლო აქტებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერია, რამდენადაც იგი გამოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვამდე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე, ხოლო არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმამ წინა პერიოდზე შეინარჩუნა იურიდიული ძალა. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაშია სასამართლო უფლებამოსილი ბათილად ცნოს სადავო აქტი, რის შედეგადაც უკანონოდ გათავისუფლებული პირი ხდება უფლებამოსილი, მოითხოვოს სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რამეთუ გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რასაც განსახილველ შემთხვევაში არ აქვს ადგილი, რის გამოც ასევე არ არსებობს სარჩელის სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის

ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

55.2. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ც-ეის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით, და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჯ. ც-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამსახურიდან გათავისუფლება პირადი ბანცხადების საფუძველზე

სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-73(კ-24)

18 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 14 სექტემბერს ა. ტ-იმას სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ. სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შემდგომ მოსარჩელემ მოითხოვა: ა. ტ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს № 17792 ბრძანების ბათილად ცნობა; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც ა. ტ-ი აღდგება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ...ის, ...ის პოზიციაზე ან ტოლფას თანამდებობაზე; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის ა. ტ-ისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება 2022 წლის 15 აგვისტოდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 1 430 (ათას ოთხას ოცდაათი) ლარის ოდენობით (დარიცხული); დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

ნისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოსარჩელე ა. ტ-ის მიმართ; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის მოსარჩელე ა. ტ-ისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ა. ტ-ი 2021 წლის 27 ოქტომბრიდან დასაქმებული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში, ...ის პოზიციაზე, კერძოდ, ...ად, ქალთა მე-5 დანესებულებაში. 2022 წლის მაისში ა. ტ-ის დაუდასტურდა ორსულობა, რასაც თან ახლდა საავადმყოფო ფურცლის გახსნა. მოსარჩელის განმარტებით, ამის შემდგომ მის მიმართ დაიწყო დისკრიმინაციული მოპყრობა და შევიწროვება. პირველი ამკარა და დაუფარავი უთანხმოება კი გამოიწვია მოსარჩელის მიერ მის ხელთ არსებული ინფორმაციის, კანონის შესაბამისად ორსული ქალის ღამის ცვლაში დასაქმების აკრძალვის შესხენებამ. აღნიშნულის გამო, იგი დაიბარეს სამინისტროში, სადაც ჯგუფის ხელმძღვანელის ზემდგომის მხრიდან მოუწია დისკრიმინაციული ფრაზების მოსმენა და ა. ტ-ი ქალთა მე-5 დანესებულებიდან გადაიყვანეს ... დანესებულებაში. მოსარჩელე მიუთითებს, რომ აღნიშნული მისთვის დიდი სტრესი იყო, ვინაიდან ეს ორი დანესებულება აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკით მუშაობს. ... დანესებულებაში გადაყვანიდან მალევე, სტრესისა და ნერვიულობის ფონზე ა. ტ-ის დაენყო მუცლის საშინელი ტკივილები, რის გამოც კვლავ მოუწია გაეხსნა საავადმყოფო ფურცელი. აღნიშნულის შემდგომ, იგი ისევ იქნა დაბარებული სამინისტროში, სადაც კვლავ მოუწია შეურაცხმყოფელი ფრაზების მოსმენა, მას 10 დღე შევებულებაც კი მისცეს (რომელიც არ მოუთხოვია) მოსაფიქრებლად, თუ როგორ აპირებდა გაგრძელებას და პარალელურად უწევდა იმის მოსმენა, რომ აჯობებდა თავისით დაენერა განცხადება და წასულიყო. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სამინისტროში ერთ-ერთი ასეთი ვიზიტისას მას ჯგუფის ხელმძღვანელის ზემდგომმა პირმა უთხრა, რომ მისი მდგომარეობის მიუხედავად, კვლავ გადაიყვანდა ღამის ცვლაში, ღამის ცვლაში მუშაობის ალტერნატივა კი სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკის დაწერა და წასვლა იყო. მოსარჩელის განმარტებით, მძიმე ემოციური ფონის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეურაცხყოფის, სტრესისა და ნერვიულობის ფონზე, იმის გათვალისწინებით, რომ კვლავ ღამით მორიგეობა მოუწევდა, შეშინებულმა დაწერა განცხადება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას სურდა სამსახურიდან წასვლის მიზეზის მითითება, თუმცა უთხრეს, რომ პატაკში აღნიშნულის მითითება არ შეიძლებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ა. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სპეციალური პე-

ნიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს № 17792 ბრძანება, ა. ტ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ; სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ა. ტ-ი აღდგება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ...ის, ...ის პოზიციაზე ან ტოლფას თანამდებობაზე; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაეკისრა ა. ტ-ისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2022 წლის 15 აგვისტოდან გადანყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 1 430 (ათას ოთხას ოცდაათი) ლარის ოდენობით (დარიცხული); დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-4 მუხლებზე, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 31-ე, 32-ე მუხლებზე, პატიმრობის კოდექსის 7¹ მუხლზე, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №635 ბრძანების მე-8, მე-9 მუხლებზე, საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარის განმარტებით, მართალია მან დაწერა პატაკი სამსახურიდან წასვლის თაობაზე, თუმცა მის მიერ გამოხატული ნება არ შეესაბამებოდა ნამდვილ ნებას, ვინაიდან ამ ნებაზე ზეგავლენა მოახდინა პენიტენციურმა სამსახურმა. კერძოდ, ა. ტ-ი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მას ორსულობა დაუდასტურდა და ცდილობდნენ ის მიეყვანათ ამ გადანყვეტილებამდე. ბიულეტენის გახსნასთან დაკავშირებით პრეტენზიების მოსმენა, ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება, უარი გრაფიკების ცვლილებაზე, გადაყვანა სხვა დანესებულებაში, ამას დამატებული მუდმივი დაბარებები სამინისტროში, ყველაფერი იმას მიუთითებდა, რომ მოსარჩელეს უნდა დაეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადანყვეტილებაზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამსახურიდან დათხოვნის დროისათვის მოსარჩელე იყო დაახლოებით 16 კვირის ორსული, როდესაც მან დაწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე. მოსარჩელის ფსიქოემოციური ფონი ძლიერ იყო შეცვლილი ორსულობის პერიოდში, მით უმეტეს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მას საკმაოდ გართულებული ორსულობა ჰქონდა. მიუხე-

დავად ამისა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ პენიტენციურმა დაწესებულებამ არ გამოიკვლია ა. ტ-ის მიერ დაწერილ განცხადებას რა ედო საფუძვლად, რისი დასტურიც არის თუნდაც იმავე დღესვე განცხადების დაკმაყოფილება. საქალაქო სასამართლოს მითითებით, სადავოს არც ის გარემოება წარმოდგენს, რომ მოსარჩელის მიმართ არ ყოფილა არცერთი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაწესებული, იგი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამასთან, მოსარჩელე ქალთა მე-5 დაწესებულებიდან გადაყვანილ იქნა ... დაწესებულებაში, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ორსული ქალის ფსიქოემოციური ფონი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მხარემ ისე მიიღო გადაწყვეტილება ორსული ქალის გათავისუფლების შესახებ, რომ არ ჩაუტარებია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური აქტის გამოსაცემად; არ დაინტერესებულა რამ განაპირობა მის მიერ განცხადების დაწერის სურვილი სამსახურიდან წასვლის თაობაზე; რატომ არ იყენებდა კანონით მინიჭებულ უფლებას დეკრეტული შვებულების აღებაზე; არ გამოიკვლია, არ შეაფასა და არ შეაფერა ისეთი გარემოებები, როგორიცაა ნების ნამდვილობა; ასევე, რა შედეგების მომტანი იქნებოდა ეს მისთვის, ბავშვის ინტერესებისათვის; სრულად აცნობიერებდა თუ არა ნების გამოვლენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებს და ა.შ. ყოველივე აღნიშნულს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო აქტის გამოცემისთვის. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის, მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალების საფუძველი. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული მოთხოვნები დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გასაჩივრდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განჩინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სპეციალური პენიტენ-

ციური სამსახურის (მოპასუხე) სააპელაციო საჩივრის პირობებში, სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანს სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში მოთხოვნის საფუძვლიანობა წარმოადგენს, რამდენადაც გადანყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში მოსარჩელის – ა. ტ-ის მიერ არ გასაჩივრებულა. შესაბამისად, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს №17792 ბრძანების ბათილად ცნობის, ა. ტ-ის სამსახურში აღდგენის და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოპასუხისთვის დავალების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, 31-ე, 32-ე მუხლებზე და სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. ტ-ის სამსახურიდან დათხოვნისას არ გამოიკვლია მის მიერ დაწერილ განცხადებას რა დაედო საფუძველად. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიდან დათხოვნის დროისათვის (სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერისას) მოსარჩელე იყო დაახლოებით 16 კვირის ორსული და მისი ფსიქოემოციური ფონი ძლიერ იყო შეცვლილი ორსულობის პერიოდში (საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მას საკმაოდ გართულებული ორსულობა ჰქონდა. 16.05.2022-დან 25.05.2022-ის ჩათვლით, ასევე 02.06.2022-დან 23.06.2022-ის ჩათვლით ა. ტ-ი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე მისი ორსულობიდან გამომდინარე შექმნილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო), ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. ტ-ის განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე, იმავე დღესვე დააკმაყოფილა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა 16 კვირის ორსული ა. ტ-ი, რომლის მიმართ არ ყოფილა არც ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობა დაწესებული და რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, პატაკის საფუძველზე ისე გაათავისუფლა, რომ არც დაინტერესებულა რა გარემოებებით იყო გამოწვეული სურვილი სამსახურიდან გაათავისუფლების თაობაზე, რა შედეგების მომტანი იყო ეს მისთვის, ბავშვის ინტერესებისთვის, სრულად აცნობიერებდა თუ არა ნების გამოვლენის შედეგად მიღებულ გადანყვეტილებას და ა.შ.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადანყვეტილებაზე და აღ-

ნიშნა, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ განცხადება სამსახურიდან წასვლის თაობაზე, მართალია, არის მისი ნების გამოვლენა, თუმცა ნება გამოვლენილი უნდა იყოს თავისუფლად, შეუზღუდავად, არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებისგან და ზენოლისგან დაცულად. ამდენად, ნების თავისუფალი გამოვლენის საკითხი გამოკვლევას და შეფასებას ექვემდებარება, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელებულა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, ვერ დგინდება, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება (პატაკი) წარმოადგენდა მისი ნამდვილი ნების გამოხატვას.

ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებს, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, 109-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3 პუნქტებზე და განმარტა, რომ ა. ტ-ის მიერ პატაკით მიმართვის ფაქტი ვერ ჩაითვლება ერთადერთ პირობად მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების უპირობოდ გამოსაცემად, რადგან მოსარჩელის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლი პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია და ავტომატურად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე არ განაპირობებს. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. ტ-ი იმავე დღიდან გაათავისუფლა თანამდებობიდან, როდესაც მან პატაკით მიმართა უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. ტ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის არ დაიცვა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება არ შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს №17792 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე კი არსებობდა

მოპასუხისთვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ.

კასატორი მიუთითებს პატიმრობის კოდექსის 7¹ მუხლზე, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 სექტემბრის №635 ბრძანების მე-8, მე-9 მუხლებზე, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლზე, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 3 ივლისის №52 ბრძანების 48-ე მუხლზე, საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, ა. ტ-ი სამსახურიდან გათავისუფლებას ითხოვდა განცხადების დაწერის დღიდანვე – 2022 წლის 15 აგვისტოდან. შესაბამისად, სამსახურს კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადა არ დაურღვევია. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სამსახურს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა ეჭვი შეეტანა სამსახურიდან წასვლის შესახებ ა. ტ-ის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობაში, მით უფრო, რომ მოსარჩელეს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მუშაობის მთელი დროის მანძილზე არცერთხელ არ დაუფიქსირებია პრეტენზია და არ მიუმართავს ხელმძღვანელობისთვის ან სხვა რომელიმე ორგანოსთვის, არ დაუწერია განცხადება სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში და არ განუხორციელებია რაიმე სახის ქმედება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა სამსახურიდან წასვლის შესახებ მის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 2 თებერვლის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 19 აპრილის განჩინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განჩინებაზე, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე მისი განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის №16585 ბრძანებით, ა. ტ-ი დაინიშნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად 6 (ექვსი) თვის ვადით, ხოლო 2021 წლის 29 ოქტომბრის №16635 ბრძანებით, ა. ტ-ის მიენიჭა უმცროსი სახელმწიფო სპეციალური ნოდება – „...ი“.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 2 ნოემბრის №16843 ბრძანებით, ა. ტ-ის, მისივე თანხმობით, სამუშაო ადგილად განესაზღვრა №5 პენიტენციური დაწესებულება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 19 აპრილის №7405 ბრძანებით, ა. ტ-ი დაინიშნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ...ის თანამდებობაზე (სპეციალური ნოდება – „...ი“) 6 (ექვსი) თვის გამოსაცდელი ვადით.

2022 წლის 16 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით ა. ტ-ი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობაში მითითებულია, რომ იგი იყო ორსულად.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 27 მაისის №10158 ბრძანებით, ა. ტ-ის, მისივე თანხმობით, სამუშაო ადგილად განესაზღვრა №8 პენიტენციური დაწესებულება.

2022 წლის 2 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით ა. ტ-ი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 22 ივნისის №12214 ბრძანებით, ა. ტ-ის მიეცა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 6 ივლისის ჩათვლით.

ა. ტ-ის 2022 წლის 15 აგვისტოს პატაკის საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს №17792 ბრძანებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ...ი, „...ი“ ა. ტ-ი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან 2022 წლის 15

აგვისტოდან.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის სწორედ ა. ტ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს № 17792 ბრძანების კანონიერებას. ამასთან, მის თანმდევ მოთხოვნებს წარმოადგენს მოპასუხისთვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე. სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ადგენდა, რომ სამსახურის სპეციალური და სამოქალაქო დანაყოფების მოსამსახურე შეიძლება სამსახურიდან დათხოვნილ/გათავისუფლებულ იქნეს პირადი პატაკის საფუძველზე. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს პირადი განცხადების საფუძველზე. თავის მხრივ, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების წესებს განსაზღვრავს ამავე კანონის 109-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება სამსახურიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. ტ-იმა პირადი პატაკის საფუძველზე მოითხოვა სამსახურიდან დათხოვნა, 2022 წლის 15 აგვისტოდან. შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ადგილი არ ჰქონია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვე-

ვას, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, ვინაიდან ა. ტ-ის პატაკი შეიცავდა სამსახურიდან გათავისუფლების კონკრეტულ თარიღს. შესაბამისად, გასაჩივრებული ბრძანების თანახმად, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა სწორედ მის მიერ მითითებული თარიღიდან – 2022 წლის 15 აგვისტოდან. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხის მხრიდან ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლობის შესახებ მითითებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს მმართველობის სფეროს ზოგად მოწესრიგებას, სპეციალური ნორმის არსებობის შემთხვევაში კი მოქმედებს სპეციალური მოწესრიგება. ამდენად, სზაკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე მითითება არ ადასტურებს გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო აქვე ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მართალია ადასტურებს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პირადი პატაკის მის მიერ დაწერის ფაქტს, თუმცა მიუთითებს, რომ აღნიშნული განახორციელა მძიმე ემოციური ფონის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სტრესისა და ნერვიულობის ფონზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოები მიუთითებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო პალატამ იმსჯელა ორსული პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების თაობაზე და განმარტა, რომ ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფსიქოემოციური სფეროს ცვლილებების გამო, აუცილებელია მისი ნების ნამდვილობის გამოკვლევა არა სტანდარტულ, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ შეფასებას დაექვემდებაროს. ამასთან, აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა ჩატარებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოება ინდივიდუალური აქტის გამოსაცემად, რა დროსაც იგი ვალდებული იყო მიუკერძოებლად გამოეკვლია ყველა ფაქტობრივი გარემოება კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის არ იყო მიღებული ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის კანონი და არ არსებობდა მითითებული კანონის 109-ე მუხლით დადგენილი რეგულაცია, 14-დღიანი ვადის გამოყენებისა და გამონაკლისის სახით, მოხელის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლების თაობაზე. მითი-

თებულ პერიოდში მოქმედებდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის კანონი, რომლის 95-ე მუხლი ადგენდა, რომ პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დანესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლობის ცვლილების პირობებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 18 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილებით დადგენილი განმარტებების უპირობოდ გამოყენება და სადავო შემთხვევაზე გავრცელება, არასწორია.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დანესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. მითითებული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ 14-დღიანი ვადა დანესებულია დამცავ მექანიზმად, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურიდან წასვლის პროცესის გონივრულად წარმართვას, თუმცა იგი შეიძლება გამოირიცხოს იმ პირობებში, როდესაც მოხელის განცხადება შეიცავს დაუყოვნებლივ გათავისუფლების მკაფიო მოთხოვნას და მოცემული გარემოება არ ქმნის საფრთხეს უწყების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, გაათავისუფლოს მოხელე მის მიერ მითითებულ თარიღში, ყოველგვარი დამატებითი გამოკვლევის გარეშე. შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც განცხადებაში მითითებულია კონკრეტული თარიღი, ადმინისტრაციულ ორგანო არ ელოდება 14 სამუშაო დღის გასვლას, თუკი ეს არ არღვევს დანესებულების საქმიანობის უწყვეტობას. ამდენად, მითითებული ნორმის მიზანი არა მხოლოდ საჯარო სამსახურის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების დაცვაა, არამედ ამავდროულად ემსახურება დასაქმებული პირის შრომის თავისუფლების პრინციპის უზრუნველყოფას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კანონმდებლობით განაწირებულია ყოველი პირის უფლება თავისი თავისუფალი და ნამდვილი ნების საფუძველზე გააგრძელოს დაკავებულ თანამდებობაზე სამსახური ან დატოვოს კონკრეტული თანამდებობა. მოსამსახურის სურვილი, აღარ იყოს საჯარო მოსამსახურე, გამომდინარეობს კონსტიტუ-

ციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია, რაც მოიცავს პირის უფლებას თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს ან პირიქით უარი თქვას შრომაზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენა ემსახურება ნების გამოხატვის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, კონკრეტული ქმედება, არჩევანი, გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს პირის ნამდვილ ნებას, იგი არ უნდა იყოს პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირების და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული (სუსგ 11.01.2018წ. №ბს-663-659(კ-17)). ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან. შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყლება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამოორიცხავს, მაგალითად, პირის იძულება, მოტყუება, და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები, კერძოდ, როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში, ნების გამომვლენი, რაღა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანმდევი შედეგებისაგან (სუსგ 05.11.2014წ. №ას-649-616-2014). ამრიგად, მხოლოდ ნამდვილი და თავისუფალი ნების გამოხატვამ უნდა გამოიწვიოს პირის სამსახურიდან დათხოვნა.

საკაცაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებების ერთობლიობას, რომლებიც მიუთითებს მოსარჩელის მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების ნებაყოფლობით და რეალურ ხასიათზე. იყო თუ არა განცხადება გაკეთებული ისეთი ფსიქოემოციური მდგომარეობის ფონზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონია მოსარჩელის ნებაზე, ან იკვეთება თუ არა მტკიცებულებებით იძულების ან ზეწოლის ფაქტი.

განსახილველ შემთხვევაში, ორსული პირის ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისი ნების ნამდვილობის შეფასების სა-

კითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად, ა. ტ-ის ორსულობა დაუდასტურდა 2022 წლის მაისში. აღნიშნულის შემდგომ, იგი ორჯერ იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, ასევე, ისარგებლა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვეებულებით და 2022 წლის აგვისტოში წარადგინა პირადი პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ცალსახაა, რომ შვეებულების პერიოდში მას ჰქონდა დროებითი დისტანცირება სამსახურებრივ გარემოსთან, რაც ამცირებს ალბათობას, რომ განცხადება გაკეთდა მყისიერად ან სტრესული ფაქტორების უშუალო ზეგავლენით. მნიშვნელოვანია, რომ განცხადება შვეებულებიდან დაბრუნების შემდეგ, 2022 წლის 15 აგვისტოს, კეთდება კონკრეტული თარიღის მითითებით, სწორედ აღნიშნული თარიღიდან ითხოვს იგი გათავისუფლებას. საქმის მასალებში არ მოიპოვება იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მოსარჩელემ მისი ორსულობის დადასტურებიდან სამსახურიდან გათავისუფლებაზე პერიოდში რაიმე პრეტენზია წარადგინა ხელმძღვანელ პირთან, სხვა უფლებამოსილ პირთან ან სხვა ორგანოში, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა სამსახურიდან წასვლის შესახებ მის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობას. ამდენად, არ დასტურდება სტრესის ზეგავლენის, განსაკუთრებული ფსიქოემოციური ფონის არსებობის ან ხელმძღვანელი პირების ზეწოლის გამო მოსარჩელის მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ გადამწყვეტილების მიღება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 27 მაისის №10158 ბრძანებით, ა. ტ-ის, მისივე თანხმობით, განესაზღვრა სამუშაო ადგილად №8 პენიტენციური დაწესებულება და მას ამის თაობაზე არანაირი პრეტენზია, არც ერთ ეტაპზე არ დაუფიქსირებია. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტიც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 დეკემბრის გადამწყვეტილებით, ა. ტ-ის სასარჩელო მოთხოვნები სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების

ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2020 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბს-620(კ-19)) განმარტა, რომ „მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეთა შორის. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მტკიცების ტვირთი მოიცავს აგრეთვე ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოების არსებობა. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ანუ მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნულის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ვალდებული, ამტკიცოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება. მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ უნდა განიმარტოს არასწორად, ისე როგორც მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის – მოსარჩელის გათავისუფლება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან. სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს.“

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ უზრუნველყო იმ გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებზეც იგი ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ სარჩელში დაფიქსირებული მოსარჩელის განმარტებები, სამსახურიდან წასვლის შესახებ მის ნებაზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის ზეგავლენასთან დაკავშირებით, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობისა და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების გათვალისწინებით, ვერ გახ-

დება მოსარჩელის პოზიციის გაზიარების საფუძველი. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელე იყო ორსულად, მოპასუხეს უპირობოდ არ ანიჭებდა ვალდებულებას ეჭვი შეეცანა ორსული მოხელის მიერ გამოსატულ ნებაში სამსახურიდან კონკრეტული თარიღიდან წასვლის თაობაზე და ეწარმოებინა დამატებითი კვლევა ორსულის ნების ნამდვილობის დასადგენად. მოცემულ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებები ამგვარ საფუძველს არ ქმნიდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების ფაქტის არარსებობა, არარელევანტურია პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ საკითხის განხილვის ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს № 17792 ბრძანება ა. ტ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, არ არსებობს მოპასუხისთვის მოსარჩელის სამსახურის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება პირადი პატაკის საფუძველზე

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-493 (2კ-23)

20 თებერვალი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაც-დურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-ემ 21.01.2021წ. სარჩელით, ხოლო 18.02.2021წ. დაზუსტებულ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მ. გ-ეის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 06.04.2020წ. №MIA 8 20 008 199 13 ბრძანების ბათილად ცნობა, კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. №MIA 9 20 0 1807808 ბრძანების ბათილად ცნობა, მ. გ-ეის სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ...ი განყოფილების ...ის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოპა-

სუხისათვის დავალდებულება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თარიღიდან, მ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე, მ. გ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ის მუშაობდა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ... განყოფილებაში ...ად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც ზრდიდა ძიძა. ვინაიდან ძიძა მათთან მისვლას და ბავშვის დატოვებას ვერ ახერხებდა პანდემიის გამო, მ. გ-ემ 15.03.2020წ. უშუალო ხელმძღვანელს – შ. გ-ეს სთხოვა სამსახურიდან ერთი დღით 2020 წლის 16 მარტისათვის განთავისუფლება. უშუალო ხელმძღვანელს უთხრა, რომ ბავშვი ან ქოზულეთში უნდა წაეყვანა ოჯახის წევრებთან ან ისინი ქ. თბილისში დაიტოვებდნენ ბავშვს, რისთვისაც სჭირდებოდა ორშაბათი დღის (16 მარტი) გათავისუფლება სამსახურიდან. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 17.03.2020წ. სამსახურში მისულს მას განუცხადეს, რომ აკადემიის რექტორის მოსაზრებით მას უნდა დაენერა პატაკი სამსახურიდან წასვლის შესახებ, რადგან დატოვა ქალაქი და წავიდა ქოზულეთში. მას მისცეს შვებულების გამოყენების უფლება, ხოლო შვებულების ამონურვისთანავე მოსთხოვეს სამსახურიდან წასვლის თაობაზე პატაკის დაწერა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ის ორშაბათ დღეს ოფიციალურად იყო განთავისუფლებული უშუალო ხელმძღვანელისგან, თუმცა აღნიშნული ფაქტით არავინ არ დაინტერესებულა, ასევე უცნობია თუ რის საფუძველზე არ უნდა დაეტოვებინა ქალაქი, რადგან აღნიშნული პერიოდისათვის ქალაქის დატოვებასთან დაკავშირებით არანაირი შეზღუდვა და მითითება არ არსებობდა. მოსარჩელე თვლის, რომ იგი აიძულებს წასულიყო სამსახურიდან, აკადემიას არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია რამდენად შეესაბამებოდა მისი განცხადება ნების გამოვლენის თავისუფლების და კეთილსინდისიერი მართლწესრიგის სტანდარტს, ამასთან, მოსარჩელე ისე გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ ორგანოს არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი თანამდებობრივი სარგო აკადემიაში მუშაობის პერიოდში შეადგენდა 1150 ლარს, ხოლო სპეციალური დანამატი – 135 ლარს. ამასთანავე, მოსარჩელის მიერ დაკავებულ პოზიციაზე 2020 წლის 1 ივლისიდან თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შეიცვალა და შეადგენს 1300 ლარს. „შს სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტზე და ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-9 ნაწილზე მითითებით მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დასაქმებულს უფლება აქვს მოითხოვოს იძულებითი გა-

ნაცდურის ანაზღაურება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადანყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულების თარიღამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.06.2021წ. სხდომის ოქმით საქმეში სას.კ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.12.2021წ. გადანყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 06.04.2020წ. №MIA 8 20 008 19913 ბრძანება მ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ, ასევე ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. №MIA 9 20 01807808 ბრძანება კადრების განკარგულებაში მყოფი მოსამსახურის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ, მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. გ-ეს გათავისუფლებამდე ეკავა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ...ი განყოფილების ...ის თანამდებობა, შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და მასზე ვრცელდებოდა „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ კანონი. სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანების 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილი იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე. ამავდროულად მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კადრების განკარგულებაში აყვანილი პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა ნიშნავს სამინისტროს მოსამ-

სახურის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას და მასთან სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებული იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების თანახმად, 04.04.2020წ. მ. გ-ემ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორს მიმართა პატაკით და ითხოვა 2020 წლის 4 აპრილიდან კადრების განკარგულებაში აყვანა. აღნიშნული პატაკის საფუძველზე სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 06.04.2020წ. №MIA 8 20 00819913 ბრძანებით სსიპ საქართველოს შსს აკადემიის ... განყოფილების ...ი მ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2020 წლის 4 აპრილიდან, ხოლო სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. №MIA 9 20 01807808 ბრძანებით კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2020 წლის 5 აგვისტოდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე დაითხოვა მოსარჩელე, რომ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, კერძოდ, მოსარჩელის მიერ წარდგენილი პატაკი. კადრების განკარგულებაში მ. გ-ეის ყოფნის პერიოდში, უშუალო ხელმძღვანელი ან/და გათავისუფლებაზე ბრძანების მიმღები ვალდებული იყო გამოერკვია წლების განმავლობაში უწყებაში მომუშავე მოხელის სამსახურიდან წასვლის მიზეზი. სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ რექტორის დავალებით, მ. გ-ეის უშუალო ხელმძღვანელმა მას მიუთითა სხვა სამსახურის მოძებნისა და სამსახურიდან წასვლის თაობაზე. ამ ჯაჭვში მნიშვნელოვანია საქმეში მესამე პირად ჩაბმული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი, რომელსაც უნდა შეეცნავლა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში არსებული, მ. გ-ეის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები. სასამართლოს მოსაზრებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონით მინიჭებული შესაძლებლობის გამოყენებით, სრულყოფილად უნდა დაედგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება უნდა მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. ადმინისტრაციულ ორგანოს აქტის გამოცემამდე უნდა გამოერკვია ხომ არ ჰქონდა ადგილი მოსარჩელის მიმართ რაიმე სახის იძულებას, რამაც გამოიწვია მის მიერ პატაკის დანერგა კადრების განკარგულებაში გადაყვანასთან დაკავშირებით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო დღითიდღე კლდე-

ბულობდა სამუშაო ადგილები.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხემ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოსცა მ. გ-ის მიერ შესაბამისი მოთხოვნით წარდგენილი პატაკის საფუძველზე, თუმცა არ გამოუკვლევიან სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შესაბამისი წარმოების ჩატარებისა და დასაბუთებული გადანყვეტილების მიღების ვალდებულების მიმართ მოპასუხე მხარეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გააჩნდა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და მხოლოდ ამის შემდეგ დასაბუთებული გადანყვეტილების გამოცემა. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევიან, თუ რატომ გადანყვიტა მ. გ-ემ, მცირეწლოვანი შვილის დედამ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკის დაწერა შვებულების ამონურვისთანავე, პანდემიისა და სამუშაო ადგილების დეფიციტის ფონზე, აღნიშნული წარმოადგენდა მისი ნამდვილი ნების გამოხატვას, თუ იგი გამონეგული იყო რაიმე გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით. მ. გ-ის განმარტებით, პატაკის დაწერის საფუძველი გახდა რექტორის მითითება მოექტბნა სხვა სამსახური და წასულიყო დასაქმების ადგილიდან, რაც მოსარჩელის სურვილს არ წარმოადგენდა. აღნიშნული ფაქტი იკვეთება მოსარჩელესა და მის უშუალო ხელმძღვანელს – შ. გ-ეს შორის მიმონერით, რომლის ამონანერიც ერთვის საქმეს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მ. გ-ე სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში დასაქმებული იყო 2015 წლიდან, ამ ხნის მანძილზე მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული არანაირი სახის სახდელი, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. სასამართლომ მიუთითა, რომ ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პატაკის ნამდვილობასთან ერთად მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა მ. გ-ის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობა და ქალაქიდან გასვლა რამდენად წარმოადგენდა დისციპლინურ გადაცდომას, ასევე შეეფასებას საჭიროებდა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, ხარისხი და მხარის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ღონისძიების – სამსახურიდან დათხოვნის პროპორციულობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.12.2021წ. გადანყვეტილება სააპელაციო ნუსით გასაჩივრდა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.12.2022წ. განჩინებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

ნისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.12.2021წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 06.04.2020წ. №MIA 8 20 00819913 ბრძანებით სსიპ საქართველოს შსს აკადემიის ...ი განყოფილების ...ი მ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2020 წლის 4 აპრილიდან, საფუძვლად მიეთითა მ. გ-ის 04.04.2020წ. №815011 პატაკი. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. №MIA 9 20 01807808 ბრძანების თანახმად კადრების განკარგულებაში მყოფი, სსიპ საქართველოს შსს აკადემიის ...ი განყოფილების ყოფილი ...ი მ. გ-ე დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2020 წლის 5 აგვისტოდან. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებაზე, რომელიც განსაზღვრავს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებსა და მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სამსახურის გავლის წესსა და პირობებს. ამავე წესის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, საჯარო მოხელე და სამოქალაქო პირი უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილი იქნეს კადრების განკარგულებაში არა უმეტეს 4 თვის ვადით პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე. სამინისტროს მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა ნიშნავს სამინისტროს მოსამსახურის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას და მასთან სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტას (წესის 35.1 მუხ.). სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილი ან თანამდებობიდან გათავისუფლებული იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო (წესის 35.2 მუხლის „დ“ ქვ.პ.). სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მ. გ-ის სამსახურიდან დათხოვნისას არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, კერძოდ, მის მიერ წარდგენილი პატაკი. კადრების განკარგულებაში მ. გ-ის ყოფნის პერიოდში, უშუალო ხელმძღვანელი ან/და გათავისუფლებაზე ბრძანების მიმღები ვალდებული იყო გამოერკვია წლების განმავლობაში უწყებაში მომუშავე მოხელის სამსახურიდან წასვლის მიზეზი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე აქტის გამოცემის თაობა-

ზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოთ მითითებული იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს თუ რატომ და რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო თავის მხრივ, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების წესებს განსაზღვრავს ამავე კანონის 109-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება სამსახურიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დანებს უზღუდველ ნორმალურ ფუნქციონირებას. სააპელაციო პალატის შეფასებით, მ. გ-ეის მიერ პატაკით მიმართვის ფაქტი ვერ ჩაითვლება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების უპირობოდ გამოცემის ერთადერთ საფუძველად, რადგან მოსარჩელის განცხადება სზაკ-ის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დანების საფუძველია და ავტომატურად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე არ განაპირობებს. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მ. გ-ე იმავე დღიდან გაათავისუფლა თანამდებობიდან და აიყვანა კადრების განყოფილებაში, როდესაც მან პატაკით მიმართა უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მ. გ-ეის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის არ დაიცვა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს საჯარო სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ იმგვარი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომ გამოირიცხოს საჯარო მოსამსახურეთა ნების ფორმირებაზე ვინმეს, განსაკუთრებით უშუალო დაქვემდებარების ვერტიკალის წარმომადგენელთა მხრიდან არაკეთილსინდისიერი, შესაბამისად, კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედება. განსახილველ შემთხვევაში საგულისხმოა ის, რომ მ. გ-ემ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკი მცირეწლოვანი შვილის დედამ დაწერა შვებულების ამონურვისთანავე, პანდემიისა და სამუშაო ადგილების დეფიციტის ფონზე, რაც ქმნიდა მისი ნამდვილი ნების დადგენის საჭიროებას. სააპელაციო პალატამ მიუთითა მ. გ-ის განმარტებაზე, რომლის თანახმად პატაკის დაწერის საფუძველი გახდა რექტორის მითითება იმის თაობაზე, რომ მ. გ-ეს მოეძებნა სხვა სამსახური და წასულიყო დასაქმების ადგილიდან. სააპელაციო პალატის მოსაზრებით აღნიშნული ფაქტი იკვეთებოდა ასევე მოსარჩელესა და მის უშუალო ხელმძღვანელს შორის მიმონერით, რომლის ამონაწერიც ერთვის საქმეს.

რაც შეეხება მ. გ-ის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის და ქალაქიდან გასვლის ფაქტს, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული აქტების გამოცემის საფუძველს მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა. ამასთან, მ. გ-ე სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში დასაქმებული იყო 2015 წლიდან და ამ ხნის განმავლობაში მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული არანაირი სახის სახდელი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და აღნიშნა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს პატაკის ნამდვილობის საკითხთან ერთად ასევე უნდა შეეფასებინა მ. გ-ის მიერ სამსახურში გამოუცხადებლობა და ქალაქიდან გასვლა რამდენად წარმოადგენდა დისციპლინურ გადაცდომას, ასევე შეეფასებას საჭიროებდა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, ხარისხი და მხარის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ღონისძიების – სამსახურიდან დათხოვნის პროპორციულობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.12.2022წ. განჩინება საკასაციო ნუსით გასაჩივრდა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

კასატორმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ მ. გ-ე შვებულებაში იმყოფებოდა 2020 წლის 17 მარტიდან 4 აპრილამდე. შვებულების ვადის გასვლის შემდგომ, 4 აპრილიდან მ. გ-ემ პირადი პატაკით ითხოვა მისი კადრების განკარგულებაში აყვანა, რაც დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე 6 აპრილს გამოიცა ბრძანება. კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო მოსარ-

ჩელე 2020 წლის 5 აგვისტოდან დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. კასატორის მოსაზრებით ყველაფერი განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა მოსარჩელის მითითებით მის მიმართ განხორციელდა იძულება. კასატორი თვლის, რომ მოსარჩელეს იძულების ფაქტის განხორციელების შესახებ მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია. კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელის მითითებით სამსახურეობრივი მოვალეობების შეუსრულებლობის გამო მას 2020 წლის 17 მარტს მოსთხოვეს სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკის დაწერა, თუმცა მას არ დაუწერია სამსახურიდან წასვლის შესახებ პატაკი, არამედ გავიდა შვებულებაში 17 მარტიდან. კასატორის მოსაზრებით მოსარჩელეს დარღვეული უფლებების შესახებ შეეძლო უფლებამოსილი ორგანოსათვის მიემართა შვებულების აღებამდე, შვებულების დროს ან თუნდაც კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში, რაც მას არ განუხორციელებია. აღნიშნული ბაძებს ეჭვს მის მიმართ იძულების ფაქტის ნამდვილად არსებობის თაობაზე. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა შეესწავლა მ. გ-ეის საჩივარში მითითებული გარემოებები. კასატორმა მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულებაზე და აღნიშნა, რომ აკადემიას აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა, იგი საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ამდენად, აკადემიას შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება თანამდებობიდან მოხელეთა გათავისუფლების შესახებ, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნდა მის გადაწყვეტილებაში ჩარევის ვალდებულება. კასატორმა აღნიშნა, რომ მოსამსახურის სურვილი აღარ იყოს საჯარო მოსამსახურე გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელეს კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში არ მიუმართავს უფლებამოსილი ორგანოსათვის მის მიმართ ძალადობის განხორციელების თაობაზე, მან გენერალურ ინსპექციას მიმართა 04.09.2020წ. ანუ მაშინ, როდესაც სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება უკვე გამოცემული იყო.

კასატორმა მიუთითა, რომ მ. გ-ე არ დაემორჩილა აკადემიის რექტორის 08.01.2014წ. ბრძანებით დამტკიცებული შინაგანანენის 6.2 მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმად ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებულია წინასწარ წერილობითი პატაკით მოახსენოს კურატორ პრორექტორს არგამოცხადების პერიოდი, მიზეზები და შესაბამისი აუცილებლობა. მ. გ-ემ იცოდა, რომ ქალაქგარეთ გასვლი-

სას უნდა დაენერა პატაკი და აეხსნა ამის მიზეზი. მ. გ-ემ გამოავლინა გულგრილი დამოკიდებულება სამსახურის მიმართ, არ გაითვალისწინა კანონით დადგენილი მოთხოვნები, ხელმძღვანელის მითითება და პრიორიტეტად არ ჩათვალა მისი მოვალეობების განხორციელება. მოსარჩელის მიერ დარღვეულია სადავო ბრძანებების გასაჩივრების ერთთვიანი ვადები. კასატორი უზენაესი სასამართლოს 13.12.2018წ. №ბს-708-708(კ-18) განჩინებაზე მითითებით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ფორმალურად არ არის მიბმული მხოლოდ აღნიშნული ბრძანების ადრესატისათვის ჩაბარებისა და გაცნობის საკითხზე. ყურადღება არ უნდა გამახვილდეს მხოლოდ ოფიციალურ გაცნობაზე მაშინ, როდესაც პირს უნდა სცოდნოდა ამ აქტის არსებობის შესახებ. კასატორმა მიუთითა, რომ სამინისტრომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით საინფორმაციო წერილი მოსარჩელეს 16.11.2020წ. გაუგზავნა, ასევე, ამავე თარიღში გაეგზავნა მ. გ-ეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკი, კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება და შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბრძანება. კასატორმა მიუთითა, რომ მ. გ-ემ 16 ნოემბერს იცოდა დათხოვნის შესახებ ბრძანების სასამართლოში გასაჩივრების თაობაზე, თუმცა სარჩელი ერთი თვის ვადის გაშვებით წარადგინა. ამდენად, მ. გ-ემ გაუშვა როგორც ადმინისტრაციული საჩივრის, ისე სარჩელის შეტანის ვადა, რაც სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში და არ დაასაბუთა სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობების არსებობა.

კასატორმა – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ აღნიშნა, რომ მოსამსახურის სურვილი აღარ იყოს საჯარო მოსამსახურე გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია, რაც მოიცავს პირის უფლებას თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს ან უარი თქვას შრომაზე. განსახილველ შემთხვევაში დასაქმებულმა თავად ითხოვა შვებულება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად, შვებულებით ისარგებლა 18 კალენდარული დღე, რაც გონივრული განსჯის შედეგად სავსებით საკმარისია თავისუფალი ნების გამოვლენისათვის. მოსარჩელემ ქობულეთის ერთ-ერთი განყოფილებიდან აკადემიას გადმოუგზავნა პატაკი კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ. მოსარჩელე კადრების განკარგულებაში იმყოფებოდა 4 თვის განმავლობაში. მას ამ პერიოდის მანძილზე არ მიუმართავს და არ უცნობებია აკადემიის რექტორისათვის ან ზემდგომისათვის იმის შესახებ, რომ კადრების განკარგულებაში აყვა-

ნის თაობაზე მის მიერ დაწერილ პატაკში გამოვლენილი არ იყო მისი ნამდვილი ნება. არსებული მოცემულობა მოსარჩელესთან მიმართებით არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დასაქმებულის ნების ნამდვილობის შემონმების საფუძველს. ამდენად, უმართებულოა სასამართლოს მითითება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლობაზე. კასატორმა აღნიშნა, რომ მ. გ-ემ პატაკი 04.04.2020წ. დაწერა და ამავე თარიღიდან ითხოვა კადრების განკარგულებაში აყვანა, ხოლო პატაკის იძულებით დაწერის თაობაზე არც აკადემიისათვის და არც შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის არ უცნობებია 2020 წლის 28 სექტემბრამდე.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მ. გ-ემ უხეშად დაარღვია აკადემიის რექტორის 08.01.2014წ. ბრძანებით დამტკიცებული შინაგანანქნის 6.2 მუხლის მოთხოვნა. მ. გ-ემ ასევე დაარღვია აკადემიის ხელმძღვანელის მითითება სამუშაო დღეებში ქალაქიდან გაუსვლელი შესახებ, რომელიც განპირობებული იყო კორონა ვირუსით გამოწვეული ფორს-მაჟორული გარემოებებით. კასატორმა შს მინისტრის 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „შსს მოსამსახურეთა დისციპლინურ წესდებაზე“ მითითებით აღნიშნა, რომ შინაგანანქნის დარღვევა წარმოადგენს შრომის დისციპლინის დარღვევას, რომელიც ითვლება დისციპლინურ გადაცდომად, თუმცა მასზე რეაგირებისა და გადწყვეტილების მიღების უფლება აქვს აკადემიის რექტორს მხოლოდ კომპეტენციის ფარგლებში. სამსახურიდან გათავისუფლების, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება არ წარმოადგენს რექტორის ცალსახა უფლებამოსილებას, ამიტომაც რექტორის პოზიცია „მოსარჩელეს მოქებნა სხვა სამსახური“ ვერ იქნებოდა რეალური საფრთხის მატარებელი და ეს უნდა სცოდნოდა მოსარჩელეს. ამასთან, კასატორმა მიუთითა, რომ მოსარჩელეს მიმართული ჰქონდა გენერალური ინსპექციისათვის, რომელსაც ვინმეს პასუხისმგებლობის საფუძველი არ გამოუკვეთავს.

კასატორი აღნიშნავს, რომ 06.04.2020წ. ბრძანება აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მოსამსახურის მიერ მოსარჩელეს გაეგზავნა ელ. ფოსტაზე. აღნიშნული ფოსტის უკან დაბრუნების შეტყობინება გამგზავნს არ მიუღია, თუმცა იგივე ბრძანება იმავე მოსამსახურის მიერ მოსარჩელეს მიენოდა ფეისბუქ გვერდის მესენჯერის საშუალებითაც, სადაც მოსარჩელემ გაგზავნილი ფაილი გახსნა. ამდენად, აკადემიამ უზრუნველყო 06.04.2020წ. ბრძანების მხარისათვის გაცნობა, თუმცა მოსარჩელეს 1 თვის ვადაში არ გაუსაჩივრებია იგი. კასატორმა მიუთითა, რომ შს მინისტრის №995 ბრძანების 34.4 მუხლის თანახმად, კადრების განკარგულებაში აყვანილი სამოქალაქო პირი კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება შესაძლო დათხოვნის

შესახებ გაფრთხილებულად, ე.ი. მოსარჩელე 06.04.2020წ. ინფორმირებული იყო კადრების განკარგულებაში ყოფნის 4 თვის გასვლისთანავე მისი შს სამინისტროდან მოსალოდნელი დათხოვნის შესახებ. ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ 16.11.2020წ. აკადემიის კანცელარიამ მ. გ-ეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუგზავნა მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკი, კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება და შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ ბრძანება. მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით 2 თვის შემდეგ მიმართა. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო იმ მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც მის მიმართ 2020 წლის 6 აპრილიდან დღემდე მაიძულებელი ხასიათის გარემოებების არსებობას დაადასტურებდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 17.03.2020წ. №MIA 0 20 00698299 შვებულების განცხადებით, სსიპ საქართველოს შსს აკადემიის...ი განყოფილების ...მ.მ. გ-ემ 2020 წლის 17 მარტიდან 2020 წლის 4 აპრილამდე 18 სამუშაო დღის ოდენობით ისარგებლა კუთვნილი შვებულებით. 04.04.2020წ. მ. გ-ემ პატაკით მიმართა სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორს და ითხოვა 2020 წლის 4 აპრილიდან კადრების განკარგულებაში აყვანა. თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ სსიპ საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 06.04.2020წ. № MIA 8 20 008199 13 ბრძანებით სსიპ საქართველოს შსს აკადემიის ...ი განყოფილების ...მ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილი იქნა კადრების განკარგულებაში 2020 წლის 4 აპრილიდან, საფუძვლად მიეთითა მ. გ-ეის 04.04.2020წ. №815011 პატაკი. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. №MIA 9 20 01807808 ბრძანებით კადრების განკარგულებაში მყოფი სსიპ საქართველოს შსს აკადემიის ...ი განყოფილების ...მ. გ-ე დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2020 წლის 5 აგვისტოდან. მ. გ-ემ 30.09.20წ. მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას საჩივრით და აღნიშნა, რომ 2015 წლიდან დასაქმებული იყო სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ... განყოფილებაში ...-...ად, მუშაობის პერიოდში მის მიმართ არცერთი უშუალო ან/და ზემდგომი ხელმძღვანელის მხრიდან არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სახის სანქცია, მათ შორის არც სიტყვიერი შენიშვნა. Covid-19-დან გამომდინარე ქვეყანაში ყოველდღიურად იცვლებოდა და რთულდებოდა ვირუსით გამოწვეული ფონი. მ. გ-ის 2 წლის შვილს ზრდიდა ძიძა, რომელმაც მ. გ-ეს სთხოვა, რომ უსაფრთხოებისათვის გარკვეული პერიოდი დროებით აღარ ემუშავა, ვინაიდან უნევდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა და ასევე შედიოდა რისკ ჯგუფში. მ. გ-ე საჩივარში აღნიშნავდა, რომ მისი ოჯახის ყველა წევრი ცხოვრობდა ქობულეთში და არავინ არ ჰყავდა თბილისში, ვინც ბავშვის დატოვებას შეძლებდა, ამიტომ მან გადაწყვიტა ბავშვი ქობულეთში დაეტოვებინა მშობლებთან, რათა ძიძისთვის არ შეექმნა პრობლემა, ხოლო თავად უპრობლემოდ ევლო სამსახურში. ამასთან, რადგან ბავშვი ოჯახის წევრებს იშვიათად ნახულობდა, მ. გ-ეს სჭირდებოდა რამდენიმე დღე, რომ მათთვის ბავშვი შეეგუებინა. საჩივარში მ. გ-ე მიუთითებდა, რომ აღნიშნულის თაობაზე ჰქონდა კომუნიკაცია უშუალო ხელმძღვანელთან, რომელსაც სთხოვა ორშაბათი დღისათვის – 2020 წლის 16 მარტისთვის გათავისუფლება, ხელმძღვანელი გაგებით მოეკიდა ყოველივეს და უთხრა, რომ შეეძლო ორშაბათს სამსახურში არ მისულიყო, თუმცა არავისგან არ ყოფილა არანაირი მითითება იმაზე, რომ არ ნასულიყო ქობულეთში, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ ვარიანტად ქობულეთში ნასვლაც ჰქონდა ნათქვამი ხელმძღვანელისათვის. ამის შემდეგ, სამშაბათს სამსახურში მისულს, უფროსმა განუცხადა, რომ რექტორის აზრით უნდა დაენერა პატაკი და ნასულიყო სამსახურიდან, რადგან დატოვა ქალაქი და წავიდა ქობულეთში. მოსარჩელემ ითხოვა აკადემიის რექტორთან შეხვედრა, რაზეც უარი მიიღო. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე აიძულეს დაენერა პატაკი სამსახურიდან ნასვლის შესახებ. ერთადერთი, რისი უფლებაც მისცეს, იყო დარჩენილი კუთვნილი შვებულების გამოყენება. მ. გ-ე საჩივარში მიუთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა მის მიმართ უკანონო ქმედებებს და ითხოვდა ამ საკითხების შესწავლას, ვინაიდან სამსახურის დაკარგვის გამო აღმოჩნდა როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში. აღნიშნულ საჩივარზე, რომელიც შეეხებოდა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატაკის იძულების ნესით დანერას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 16.11.2020წ. № MIA 4 20 02684485 წერილით მ. გ-ეს ეცნობა, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად და უფლებების დასაცავად

უნდა მიემართა სასამართლოსათვის.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ე გათავისუფლებამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე, რომელზეც ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმები, უკეთეს სპეციალური კანონმდებლობით აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ იყო მონესრიგებული („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 4.3 მუხლის „ა“ ქვ.პ.). „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს პირადი განცხადების საფუძველზე, თავის მხრივ პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების წესებს განსაზღვრავს ამავე კანონის 109-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება სამსახურიდან. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ხსენებული ნორმა მოხელეს აძლევს შესაძლებლობას, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, მოითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. კანონი განმცხადებელს გარემოებათა ობიექტური თუ სუბიექტური ცვლილებების გათვალისწინებით თავისივე ნების უარყოფის და ჩვეულ რეჟიმში დაბრუნების შესაძლებლობას სთავაზობს (109.3 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ემ პირადი პატაკით მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა 2020 წლის 4 აპრილიდან. ხსენებული ნორმის თანახმად, გათავისუფლების შესახებ აქტი გამოიცემა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება ხსენებული ნორმის (109-ე მუხ.) დარღვევის შესახებ არ დასტურდება, ვინაიდან მ. გ-ის განცხადება შეიცავდა სამსახურიდან გათავისუფლების კონკრეტულ თარიღს, მ. გ-ემ პირადი პატაკით (04.04.2020წ.) სამსახურიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა ითხოვა 2020 წლის 4 აპრილიდან. განცხადების დამაკმაყოფილებელი ბრძა-

ნება გამოიცა 06 აპრილს, ბრძანებით დადგინდა მ. გ-ეის სამსახურიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა 2020 წლის 4 აპრილიდან. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება სზაკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად განცხადება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სზაკ-ი ადგენს მმართველობის სფეროს ზოგად მოწესრიგებას, სპეციალური ნორმის არსებობის შემთხვევაში მოქმედებს სპეციალური მოწესრიგება. ამდენად, სზაკ-ის 76.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე მითითება არ ადასტურებს გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას. ამასთანავე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებზე. საქართველოს შს მინისტრის 31.12.13წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შს სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 1.3¹ მუხლის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის მოქმედება სამინისტროს მოსამსახურეზე, როგორც სპეციალური ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობის სუბიექტზე, ვრცელდება მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 51-ე, 64-ე, 66-ე და 103-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის სხვა საკითხები წესრიგდება ამ წესით დადგენილი სპეციალური ნორმებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე აკადემიის ადმინისტრაციის ...ი განყოფილების შტაბით გათვალისწინებული ...ის პოზიციაზე მუშაობდა 2017 წლის 1 თებერვლიდან (აკადემიის რექტორის 31.01.2017წ. №243521 ბრძანება) 2020 წლის 6 აპრილამდე. მ. გ-ემ 17.03.2020წ. მოითხოვა შვებულება (17.03.2020წ. №069819 შვებულების განცხადება), მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მ. გ-ე დარჩენილ კუთვნილ შვებულებაში იმყოფებოდა 04 აპრილამდე. შვებულებაში ყოფნის დროს მ. გ-ემ 04.04.2020წ. №815011 პატაკით მიმართა აკადემიას კადრების განკარგულებაში აყვანის მოთხოვნით, აკადემიის რექტორის 06.04.2020წ. №819913 ბრძანებით მ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში 2020 წლის 04 აპრილიდან. შს მინისტრის 31.12.13წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებო-

ბიდან გათავისუფლებულ იქნეს კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო, ამავე „ნესის“ 37-ე მუხლის მიხედვით კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის მეორე დღიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხდება სამინისტროს პოლიციელის, სამხედრო მოსამსახურის, საჯარო მოხელისა და სამოქალაქო პირის დათხოვნა სამინისტროდან. აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. №180780 ბრძანებით, მ. გ-ე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან 2020 წლის 5 აგვისტოდან კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. მ. გ-ეს განცხადება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ არ დაუწერია, მან პატაკით მიმართა აკადემიას შვებულებაში გასვლის, ხოლო შემდგომ კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ. ამდენად, არ დასტურდება უკიდურესი აღგრძნების, სტრესის ზეგავლენა, ძალადობის ან მოტყუების გამო სამსახურის დატოვება. საქმეზე არც მუქარის გამო სამსახურიდან წამოსვლის მოტივი არის დასაბუთებული. მოსარჩელე ვერ ასახელებს და არც სასამართლოს არ დაუდგენია აკადემიის ხელმძღვანელი პირების მხრიდან მოსარჩელის მიმართ ძალადობის ან მუქარის რაიმე მოტივი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელეს აქვს შესაძლებლობა ბრძანების გამოცემამდე დასაბუთების გარეშე უარყო თავისი განცხადება, ბრძანების გამოცემის შემდეგ პირმა უნდა დაასაბუთოს იძულება ან მუქარა, შეცდომაში შეყვანა. შვებულებაში ყოფნის დროს, აგრეთვე კადრების განკარგულებაში ოთხი თვის განმავლობაში ყოფნის დროს მოსარჩელეს არ მიუმართავს კომპეტენტური ორგანოსათვის და არ უცნობებია დანერგულ პატაკში იძულებით გამოვლენილი ნების შესახებ ან გამოვლენილი ნების შეცვლის შესახებ. მოსარჩელემ მსს გენერალურ ინსპექციას განცხადებით მიმართა სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ 2020 წლის სექტემბრის თვეში. საქართველოს შს მინისტრის 23.02.2015წ. №123 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გენერალური ინსპექციის კომპეტენციას განეკუთვნება სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობის (მათ შორის, ოპერატიულ სამძებრო და კონტრდაზვერვითი) შემონიშნება არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში განცხადებაში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გენერალურ ინსპექციას ვინმეს პასუხისმგებლობის საფუძველი არ გამოუკვეთავს. „პოლიციის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე. პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე პოლიციელის თანამდებობიდან გათავისუფლება, საამისოდ უფლებამოსილი პი-

რის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შს ორგანოს თანამშრომლის ინიციატივა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ არის მისი გათავისუფლების საფუძველი, კერძოდ, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 35.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამინისტროს მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს პირადი განცხადების (პატაკის) საფუძველზე. პირს უფლება აქვს თავისი თავისუფალი და ნამდვილი ნების საფუძველზე გააგრძელოს ან დატოვოს კონკრეტული თანამდებობა. ადმინისტრაციული ორგანო და შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებულია პატივი სცეს საჯარო მოსამსახურის ამ უფლებას. მოსამსახურის სურვილი აღარ იყოს საჯარო მოსამსახურე გამომდინარეობს კონსტიტუციური დათქმიდან – შრომა თავისუფალია, რაც მოიცავს პირის უფლებას თავად გადაწყვიტოს იყოს თუ არა დასაქმებული. არავის აქვს უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულოს პირი იშრომოს ან პირიქით უარი თქვას შრომაზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენა ემსახურება ნების გამოხატვის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, კონკრეტული ქმედება, არჩევანი, გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს პირის ნამდვილ ნებას, იგი არ უნდა იყოს პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირების და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული (იხ. სუსგ 11.01.2018წ. №ბს-663-659(კ-17)). ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან. შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული პრეზუმფცია ქარწყდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს, მაგალითად, პირის იძულება, მოტყუება, და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები, კერძოდ, როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში, ნების გამომვლენი, რალა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანმდევი შედე-

გებისაგან (იხ. სუსგ 05.11.2014წ. №ას-649-616-2014). ამრიგად, მხოლოდ ნამდვილი და თავისუფალი ნების გამოხატვამ უნდა გამოიწვიოს პირის სამსახურიდან დათხოვნა. მოსარჩელე აცხადებს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან იძულება გამონვეული იყო აკადემიის ხელმძღვანელის მოსაზრებით მ. გ-ის მიერ შინაგანანესის უხეშად დარღვევის შესახებ (აკადემიის რექტორის 08.01.04წ. №9 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანანესის 6.2 მუხლის თანახმად ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში მოსამსახურე ვალდებული იყო წინასწარ წერილობითი პატაკით მოეხსენებინა კურატორი პრორექტორისათვის არგამოცხადების პერიოდი, მიზეზი. ადმინისტრაციის მოსაზრებით, მ. გ-ემ დაარღვია აგრეთვე აკადემიის მითითება სამუშაო დღეებში ქალაქიდან გაუსვლელიობის შესახებ, რომელიც განპირობებული იყო კორონავირუსით გამონვეული ფორს-მაჟორული გარემოებებით). ვინაიდან შინაგანანესის დარღვევა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად არ დასდებია, საკასაციო პალატა არ თვლის საჭიროდ ამ მიმართებით მსჯელობის განვითარებას, რაც შეეხება შინაგანანესის დარღვევის გამო სამსახურიდან წასვლის იძულების ფაქტორის არსებობას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შინაგანანესის დარღვევა არის შრომის დისციპლინის დარღვევა, რომელიც დისციპლინურ გადაცდომად ითვლება (შს მინისტრის 31.12.13წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „შსს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ 2.2 მუხ. „თ“ ქვ. პ.). ამავე წესდების (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (შრომის დისციპლინის წესის დარღვევა) გათვალისწინებული გადაცდომის გამოვლენისას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების ხელმძღვანელი პირები უფლებამოსილი არიან შეადგინონ დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასკვნა და განიხილონ დისციპლინური სახდელის დადების საკითხი განყოფილების უფროსის მოადგილისა და უფრო დაბალი რანგის მოსამსახურის მიმართ (4.4 მუხ.), ამასთან, მათ უფლება არ აქვთ დისციპლინური სახდელის დადებისას გამოიყენონ ამ წესის მე-3 მუხლის „დ-ზ“ ქვეპუნქტებით («ზ» ქვეპუნქტში დისციპლინური სახდელის სახედ გათვალისწინებულია სამსახურიდან დათხოვნა) გათვალისწინებული სახდელი, კერძოდ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირებს უფლება არა აქვთ, მათ მიერ დისციპლინური სახდელის დადებისას გამოიყენონ ამ წესის მე-3 მუხლის „დ-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახდელი. ამდენად, აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე, აკადემიის რექტორი არ არის უფლებამოსილი შრომის დისციპლინის დარღვევის დროს მოსამსახურის მიმართ სახდელის სახით გა-

მოიყენოს სამსახურიდან დათხოვნა. ხსენებული გარემოება მ. გ-ვისათვის, როგორც ... სამსახურის ...სათვის, ცნობილი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შინაგანაწესის დარღვევის გამო სხვა სამსახურის მოძებნასთან დაკავშირებით რექტორის მოსაზრება არ შეიძლებოდა დასაქმებულის მიერ აღქმულიყო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ რეალურ მუქარად. საჯარო მოსამსახურე, იურიდიული თვალსაზრისით, უფლებრივ დონეზე დაცულია კანონით, თუმცა მის რეალიზაციასა და დაცვაზე ზრუნვა ასევე წარმოადგენს მისივე უფლებას. საჯარო მოსამსახურე არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, არამედ, ამავდროულად, მაღალი პიროვნული და მორალური პრინციპების, ღირებულებების მატარებელი პირია (იხ. სუსგ 18.02.14წ. №ბს-463-451(კ-13)). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალურთიერთობებში მოქმედი კანონის ცოდნის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ პირი იცნობს მოქმედ კანონმდებლობას. ამასთანავე, სათანადო წესით გამოქვეყნებული, მოქმედი ნორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული. იგულისხმება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეთათვის ცნობილია, აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს (სუს 13.09.2018წ. №ბს-858-850(კ-16)). ამდენად, მ. გ-ვის მიმართ მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმფცია, მით უფრო, რომ იგი დასაქმებული იყო აკადემიის ... განყოფილებაში. კომპეტენტურობის მოთხოვნა მოხელის არა უფლება, არამედ ვალდებულებაა, ნორმატიული მასალის ცოდნა (ყოველ შემთხვევაში იმ ნორმატიული აქტის მაინც, რომლითაც უშუალოდ წესრიგდება პირის საქმიანობა, პრინციპები, სამართლებრივი დაცვის გარანტიები) მუშაკის ვალდებულებას შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია მ. გ-ვის მიერ 03.08.2021წ. საქალაქო სასამართლოში წარდგენილი განცხადება, სადაც მ. გ-ე მიუთითებდა, რომ აკადემიის რექტორი არ იყო უფლებამოსილი შრომის დისციპლინის დარღვევის დროს აკადემიის თანამშრომლისთვის შეეფარდებინა ყველაზე მძიმე სახდელის ფორმა და დაეთხოვა სამსახურიდან. ამდენად, მოსარჩელის მიერ სხვა სამსახურის მოძებნასთან დაკავშირებით რექტორის მოსაზრების რეალური საფრთხის მატარებლად, აღნიშნულის იძულების ფაქტორად მიჩნევა არ არის საკმარისად დასაბუთებული.

კასატორი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე მიუთითებს, რომ მ. გ-ემ გამოიჩინა გულგრილი დამოკიდებულება სამსახურის მიმართ. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წესდების მე-

4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისათვის (2.2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.) დისციპლინური გადაცდომის დასკვნას ადგენს გენინსპექცია (4.3 მუხ.), ხოლო დისციპლინური გადაცდომის ამ სახეობისათვის (სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) სახდელის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მინისტრს ან მოსამსახურის დანიშვნა-გათავისუფლებაზე უფლებამოსილ პირს, კერძოდ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დისციპლინური სახდელის შეფარდების და მოხსნის უფლება აქვს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელ პირებს. ამასთანავე, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 74.1 მუხლის მიხედვით სსიპ-ის მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნას, თანამდებობიდან გათავისუფლებას, კადრების განკარგულებაში აყვანასა და კადრების განკარგულებიდან დათხოვნას ახორციელებს სსიპ-ის ხელმძღვანელი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი. ამდენად, სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გენინსპექციის დასკვნით დადასტურების შემთხვევაში აკადემიის რექტორი უფლებამოსილია მოსამსახურეს შეუფარდოს დისციპლინური სახდელი, მათ შორის, შესაძლებელია მოსამსახურის მიმართ სახდელის სახით გამოყენებულ იქნეს სამსახურიდან დათხოვნა. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიმართ დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადასტურების თაობაზე გენინსპექციის დასკვნის არსებობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენას საჭიროებს აკადემიის ხელმძღვანელი პირების მხრიდან იძულებისა და მუქარის ფაქტის არსებობა, მისი მოტივი, რამეთუ დასაბუთებული არ არის რეალური საფრთხის მატარებლად რამდენად შეიძლებოდა მიჩნეულიყო აკადემიის რექტორის მოსაზრება მ. გ-ეის მიერ სამსახურის დატოვებისა და სხვა სამსახურის მოძებნის შესახებ, ერთ შემთხვევაში შინაგანაწესის დარღვევის გამო, მაშინ როდესაც შრომის დისციპლინის დარღვევის გამო აკადემიის რექტორს არ აქვს მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, მაშინ როდესაც არ არსებობს გენინსპექციის დასკვნა მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. ამასთანავე, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას უშუალო უფროსისგან მიღებული ჰქონდა ნებართვა იმაზე, რომ ორშაბათ დღეს – 16.03.2021წ. გაცდინა სამსახური, „სსიპ შს სამინისტროს აკადემიის შინაგანაწესის“ 6.3 მუხლის მიხედვით წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსამსახურე ვალ-

დებულება შეძლებისდაგვარად სამსახურში გამოცხადებამდე აცნობოს უშუალო უფროსს გამოუცხადებლობის მიზეზი და სავარაუდო პერიოდი. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ნორმის შესაბამისად მოქმედებდა და აცნობა უშუალო უფროსს ოჯახში შექმნილი მდგომარეობის გამო სამსახურის ერთი დღით გაცდენის შესახებ. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მან წარადგინა მტკიცებულება, კერძოდ, სატელეფონო პირადი მიმოწერის ამონაწერი, უშუალო უფროსის მიერ სამსახურიდან 16.03.2016 წლის საპატიო ოჯახური მიზეზის გამო ოფიციალური გათავისუფლების შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. კომუნიკაციის თავისუფლება გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კომუნიკაცია არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია (იხ. სუსგ. 04.05.2015 წ. საქმე №ას-1155-1101-2014). ამდენად, მოსარჩელის მსჯელობა, საქმეში დაცული მტკიცებულებები ერთობლიობაში არ ადასტურებენ და ეჭვქვეშ აყენებენ სამსახურის დატოვების და სხვა სამსახურის მოძებნის შესახებ მუქარის რეალურობას, ასეთად სხვა სამსახურის მოძებნის თაობაზე რექტორის მოსაზრების მიჩნევას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ღრმად იყო დარწმუნებული თავისი ქცევის მართებულობაში, მისი ქცევის კანონიერებაში, რექტორის მიერ მისი სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების რაიმე საფუძვლის არარსებობაში. აღნიშნული მოსაზრებები გაურკვეველს ხდის მ. გ-ეის მიერ მუქარის რეალობად მიჩნევის პირობას. მართალია, საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები თავისი არსითა და ფორმით სუბორდინაციულ სამართალურთიერთობათა კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა მ. გ-ეის მიერ სხვა სამსახურის მოძებნის შესახებ რექტორის მიერ მოსარჩელის უშუალო უფროსისათვის გამოთქმული მოსაზრების მოსარჩელის მიერ რეალურ მუქარად აღქმა საჭიროებს დასაბუთებას.

სარჩელის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად არ უნდა იქნეს მიჩნეული ის, რომ სამსახურიდან გათავისუფლებისა და კადრების გან-

კარგულებაში აყვანის შესახებ ბრძანება ერთვიან ვადაში არ გასაჩივრებულა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის შრომითი უფლების დარღვევას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც იგი დაითხოვეს სამინისტროდან. მოცემული კატეგორიის დავათა განხილვისას არსებითად ერთობლიობაში უნდა შემოწმდეს როგორც თანამდებობიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ, ასევე სამსახურიდან დათხოვნის შესახებ აქტების კანონიერება. ამასთან, სარჩელის ხანდაზმულობა უნდა შეფასდეს ბოლოს გამოცემული აქტის ჩაბარების გათვალისწინებით (იხ. 04.07.2019წ. №ბს-564(2კ-19), 13.05.21წ. №ბს-724(2კ-20), 28.01.20წ. №ბს-1150(კ-19)). საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში დაცული მასალებით ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის 05.08.2020წ. ბრძანების მხარისათვის ჩაბარების თარიღი, ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაძლია მხარისათვის ჩაბარების მტკიცების ტვირთი. ამასთან, სამსახურიდან გათავისუფლების და კადრების განკარგულებაში აყვანის ბრძანებაში (06.04.20წ.), აგრეთვე დათხოვნის შესახებ (05.08.20წ.) ბრძანებაში მიეთითა ბრძანებების გაცნობიდან 1 თვის ვადაში შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაჩივრების შესაძლებლობა. მ. გ-ემ 30.09.20წ. განცხადებით მიმართა შს სამინისტროს და მოითხოვა საკითხის შესწავლა და შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ აკადემიის რექტორის 05.08.20წ. №1807808 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნული განცხადება შსს გენერალური ინსპექციის მიერ, შემდგომი რეაგირებისათვის, გადაეგზავნა შსს ... დეპარტამენტს, 16.11.2020წ. № MIA 4 20 02684485 დეპარტამენტის პასუხით განმცხადებელს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა მიემართა სასამართლოსათვის. ამდენად, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამინისტროში გასაჩივრების უმართებულო მითითების, აგრეთვე სამინისტროს ...ი დეპარტამენტის პასუხში სასამართლოში მომართვის ვადის მიუთითებლობის გამო სახეზეა სასკ-ის 12.2 მუხლით დადგენილი გასაჩივრების ვადის სადავო შემთხვევაზე გავრცელების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია არსებითად იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნაზე. მართალია, სასამართლოს მიერ სადავო აქტი ბათილად იქნა ცნობილი სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავდა იძულებითი განაცდურის მოთხოვნის თაობაზე დამატებით გამოსაკვლევ და შესაფასებელ გარემოებებზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მითითებების მიცემის შესაძლებლობას. ამასთან, კასატორების მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სრულადაა გასაჩივ-

რებული. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდის განმავლობაში კუთვნილი იძულებითი განაცდურის მოსარჩელისათვის ანაზღაურება. იძულებითი განაცდურის ოდენობა განისაზღვრა იმ ხელფასით, რომელსაც მ. გ-ე იღებდა სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიში. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დასაქმებულის უფლებაა, ეს უკანასკნელი რეალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უკანონოდ ცნობს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებას და მას სამსახურში აღადგენს. ასეთ შემთხვევაში დასაქმებულს იძულებითი განაცდური აუნაზღაურდება სრულად იძულებითი მოცდენის მთელი პერიოდისათვის, შრომითი ურთიერთობების უკანონოდ შეწყვეტის მომენტიდან სამსახურში აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებამდე (სუსგ №ას-392-2019, 27.11.2020წ.). განაცდური ის შემოსავალია, რომელიც უკანონოდ დათხოვნილმა პირმა დათხოვნიდან აღდგენამდე პერიოდში ვერ მიიღო და უნდა მიიღოს, შეწყვეტის შესახებ აქტის ბათილად ცნობის გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობა შეწყვეტის მომენტიდან გაგრძელებულად მიიჩნევა, შესაბამისად განაცდურის ანაზღაურება დამსაქმებლის მხრიდან მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაა. მოცდენა არის იმგვარი ვითარება, როდესაც სამსახურიდან არამართლზომიერად გათავისუფლების შედეგად, დასაქმებულს მისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა ესპობა. ამდენად, იძულებითი განაცდურის პერიოდი მოიცავს პირის გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდს. სამსახურიდან გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა ინვევს სადავო აქტის გამოცემამდე მდგომარეობის აღდგენას. სამსახურში აღდგენაც და განაცდურიც არის ის სამართლებრივი შედეგი, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან. განაცდური განგრძობადია და მისი შეწყვეტა დამოკიდებულია სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღზე. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე განაცდურის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას ითხოვს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამსახურიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მ. გ-ეს მიეცა ორი თვის ხელფასი („შს სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 34.2 მუხ.), აღნიშნულის მიუხედავად მოსარჩელე მოითხოვს გათავისუფლების მომენტიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ მოსარჩელის განცხადებით სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მოსარჩელე დასაქმდა სხვა სამსახურში, სადაც

ჰქონდა შესაბამისი შრომითი ანაზღაურება. უკანონოდ გათავისუფლების თანმდევი სამართლებრივი შედეგია პირვანდელი უფლებრივი რესტიტუცია, თუკი ეს შესაძლებელია, რომელსაც სამუშაოზე აღდგენასთან ერთად იძულებითი განაცდურის გაცემაც უკავშირდება. ამასთანავე, მოსარჩელე იმაზე უკეთეს მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდეს ვიდრე იქნებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. განაცდურის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგის ჯამს, ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ორგანომ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც პირი იქნებოდა, ორგანო არ არის ვალდებული პირი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. როდესაც გათავისუფლებული პირი სასარჩელო წესით იცავს თავის უფლებას და იმავდროულად სხვაგან იწყებს მუშაობას, აღნიშნული იმთავითვე არ გამოორიცხავს ასეთი პირისათვის იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით მიკუთვნებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, რომ იძულებითი მოცდენის პერიოდში მის მიერ სხვა დასაქმებულთან შესრულებული სამუშაოს ხასიათი და მოცულობა ისეთი არის ან იყო, რომ მისი შეთავსება ძირითად სამუშაოსთან შესაძლებელი იქნებოდა და არ დააბრკოლებდა იმ სამსახურში მოვალეობის შესრულებას, საიდანაც გათავისუფლების გამო მას მოესპო კუთვნილი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა (სუსგ 21.10.22წ., №ას-736-2022). საქმეში დაცული შემოსავლების სამსახურის 20.09.22წ. ცნობით დასტურდება, რომ რექტორის სადავო ბრძანების (05.08.2020წ. № 180780) გამოცემისთანავე, რომლითაც მ. გ-ე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან 2020 წლის 05 აგვისტოდან, მ. გ-ემ 2020 წლის აგვისტოდან სამსახური დაიწყო შპს „ა...ში“, შემდგომ შპს „ს...ში“, შპს „რ...ში“ (... სამსახურის უფროსი), სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ხსენებულ ორგანიზაციებში შრომითი საქმიანობის შედეგად მიღებული ანაზღაურების ოდენობა ზოგ პერიოდებში აღემატება სსიპ შს სამინისტროს აკადემიაში სამსახურის დროს დანიშნულ მის ანაზღაურებას. ახალ დამსაქმებელთან ხელფასის ოდენობის ნაკლებობის პერიოდებში ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა მოსარჩელის ძველ და ახალ დასაქმებაში დანიშნულ ხელფასს შორის. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შს მინისტრის 31.12.13წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა არის დისციპლინური გადაცდომის სახეობა. შს მინისტრის 31.12.2013წ. №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ მე-7 მუხლის მიხედ-

ვით, სამინისტროს სპეციალური და სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეს ეკრძალება იმავე ან სხვა დაწესებულებაში შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება ან/და სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება, სამინისტროს საჯარო მოხელესა და სსიპ-ის სამოქალაქო პირს უფლება აქვს შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს მხოლოდ იმავე დაწესებულებაში. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს იმავე დაწესებულებაში ან სხვაგან შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს, სსიპ-ის ხელმძღვანელთან წერილობითი შეთანხმებით (მე-7 მუხ. მე-5 პ., „ა“, „ბ“, „გ“ ქვ.პ.), თანამდებობრივი შეუთავსებლობის გამო „ნესის“ 43-ე, 45-ე მუხლები ითვალისწინებს სამინისტროს მოსამსახურის დათხოვნას/გათავისუფლებას სამსახურიდან. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე არ არის დადგენილი თუ რამდენად იქნებოდა შესაძლებელი, სამსახურებრივი სპეციფიკიდან და დატვირთვიდან გამომდინარე, ორივე სამუშაოს შესრულება მ. გ-ის აკადემიის შტატში დარჩენის შემთხვევაში, არ გამოკვლეულა ამ სამუშაოების შეთავსების შესაძლებლობა. ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში დადგენას საჭიროებს იძულებითი მოცდენის არსებობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ – დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. საკასაციო პალატა არ არის შუბოჭილი ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო სასამართლოს პროცესუალური როლის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო. მტკიცებულებების გამოკვლევასა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენაზე უფლებამოსილი სასამართლო – სააპელაციო სასამართლოა. სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და განკუთვნადობის პრინციპების დაცვით იღებს და შემდეგ აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას (სუსგ 02.06.2021წ. საქმე №ბზ-568(2კ-კს-20). საკასაციო სასამართლო თვლის,

რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გასაჩივრებულნი განჩინება არ შეიცავს სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსთვის მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხის შესწავლის დავალების საკმარის დასაბუთებას, აგრეთვე არ შეიცავს მითითებას დავის სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შეუძლებლობაზე. უკეთეს სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები არ გამოკვლეულა, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მას გააჩნია აღნიშნული გარემოების თავად გამოკვლევის და შეფასების უფლებამოსილება. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება და სასკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საქმის ხელახალი განხილვისას სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში ასახული მითითებების გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.12.2022წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძველი

სამსახურიდან გათავისუფლების ღონისძიების თანაზომიერად მიჩნევა

გადანყვებითიება საქართველოს სახელით

№ბს-1118(კ-23)

25 ივლისი, 2025 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ოქროპირიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ლ-ემ 21.07.2020წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ. 24.09.2021წ. სარჩელის დაზუსტების შედეგად საბოლოოდ მოითხოვა: ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000 124 ბრძანების ბათილად ცნობა; ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 000006 93 ბრძანების ბათილად ცნობა; გ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 02.07.2020წ. №2-555 ბრძანების ბათილად ცნობა; დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის კ. ლ-ეის სამსახურში აღდგენის დავალება იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე ან მოხელეთა რეზერვში ჩარიცხვა და მისთვის განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება მხოლოდ ფორმალურად ემსახურება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. გადაწყვეტილების (საქმე №33/612-18 – უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. განჩინებით) აღსრულებას, რეალურად სადავო აქტი პირდაპირ უგულებელყოფს ხსენებულ გადაწყვეტილებაში ასახულ დასაბუთებას, მოცემული შინაარსობრივად უთანაბრდება გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ რევიზიას. გასაჩივრებულ აქტებში არ ხდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილ კონკრეტულ საფუძვლებზე მითითება, აქტების გამოცემის საფუძვლად დასახელებულია სსკ-ის მე-10 მუხლი და სზაკ-ის 52-ე და 53-ე მუხლები, რაც არ წარმოადგენს აქტის გამოცემის საფუძველს. მოსარჩელის მოსაზრებით, უსაფუძვლოა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანება, რომლითაც კ. ლ-ე ფაქტობრივად გათავისუფლდა უკუქცევითი ძალით – 2016 წლის 02 დეკემბრიდან. მოსარჩელე ასევე აღნიშნავს, რომ მის მიერ ზემოაღნიშნული სადავო ბრძანებები გასაჩივრდა 01.06.2020წ. ადმინისტრაციული საჩივრით, საჩივარში დეტალურად მიეთითა იურიდიული არგუმენტაცია სადავო აქტების უკანონობის განმაპირობებელ ყველა გარემოებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, იგი მაინც არ დაკმაყოფილდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 02.07.2020წ. №2-555 ბრძანებით.

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. გასაჩივრებული აქტები ფორმალურად „აღსრულებს“ სააპელაციო პალატის 18.05.2018წ. გადაწყვეტილებას, შესაბამისად, რაც ეწინააღმდეგება სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობის პრინციპს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ იზიარებს ამავე დეპარტამენტის უფროსის 02.12.2016წ. №DES 2 16 00002067 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას, კერძოდ, სადავო ბრძანებაში აღნიშნულია შემდეგ: ა) „სასამართლოს პოზიცია სადავო აქტის დაუსაბუთებლობასა და კანონის დარღვევით გამოცემასთან მიმართებაში, მოკ-

ლებულია ყოველგვარ საფუძველს“; ბ) „დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა კ. ლ-ის პირდაპირ სამსახურიდან გათავისუფლება და არა სხვა დისციპლინური ზომის შეფარდება.“ მოსარჩელე მიუთითებს, რომ ზემოხსენებულ პრინციპთა საწინააღმდეგოდ, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უგულებელყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები: 1. კ. ლ-ე მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, არ დასტურდება განზრახი მოქმედება და მისი მრავალჯერადი ხასიათი (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №3ბ/612-18, გვ. 16-17; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.11.2019წ. განჩინება (№ბს-948(2კ-18); გვ.4.); 2. კ. ლ-ე ცდილობდა გამოეწინააღმდეგა დამდგარი შედეგი, ძალის ხმაზე ავტომობილი ანელებს სიჩქარეს, უკან მოძრაობს და ჩერდება (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №3ბ/612-18, გვ.16), მოხელე ითვალისწინებს დამსწრეთა მითითებებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.11.2019წ. განჩინება საქმე №ბს-948(2კ-18); გვ.4.); 3. არ დასტურდება მოხელის მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.11.2019წ. განჩინება საქმე №ბს-948(2კ-18); გვ.5.). მოსარჩელე დამატებით მიუთითებს, რომ ფაქტობრივი ნაწილის გარდა, ადმინისტრაციული ორგანო უგულებელყოფს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო სამართლებრივ სტანდარტებს: 1. დისციპლინური სახდელის გამოყენება უნდა იყოს მკაფიოდ დასაბუთებული, განმარტებას საჭიროებს უღირსი საქციელის ცნება (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №3ბ/612-18, გვ.19); 2. სამსახურიდან გათავისუფლება არის ultima ratio, ანუ უკანასკნელი ზომა, როცა დარღვევა იმდენად მძიმეა, რომ მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი ეკარგება (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №3ბ/612-18, გვ.19-20); 3. დარღვევა უნდა შეფასდეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმისა და შედეგობრივი თვალსაზრისით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №3ბ/612-18, გვ.20); 4. დისციპლინური სახდელი უნდა იყოს პროპორციული ანუ შესაბამისობაში გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს მისი ჩადენისას არსებულ გარემოებებს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.11.2019წ. განჩინება საქმე №ბს-948(2კ-18); გვ.5.); 5. უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ზომა, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულს გახდის უკეთესს, კვალიფიკაციას – აუმალლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №3ბ/612-18, გვ.20); 6. სამსახურიდან გათავი-

სუფლება უნდა დასაბუთდეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ კ. ლ-ის ქმედებაში განზრახ მოქმედების ფაქტი ვერ დაადგინა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, საქმე №33/612-18, გვ.20). ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების მიუხედავად (სზაკ-ის 53.4. მუხ.), გასაჩივრებული ბრძანებები არ შეიცავს წერილობით დასაბუთებას, ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ფაქტობრივ-სამართლებრივი თეზისების უგულებელყოფას. ერთი მხრივ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანება საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას, ხოლო მეორე მხრივ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება ეფუძნება იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებსა და არგუმენტებს, რომლებიც სათავეს იღებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი აქტიდან, ამდენად სახეზეა სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების დარღვევა. აღნიშნული თვალსაზრისით, სახეზეა აგრეთვე სზაკ-ის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილიც დარღვევაც, მოსარჩელის საკვანძო მოსაზრებებზე მსჯელობა არ მომხდარა. მოსარჩელე მიუთითებს აგრეთვე, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება არ შეიცავს ძალაში შესვლის თარიღს, ხოლო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანების მე-2 პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით, იგი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, რაც არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნათა დანაწესს. ხოლო აღნიშნული ბრძანების 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს კ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას უკანა რიცხვით, შესაბამისად, ბრძანებას უსაფუძვლოდ ენიჭება უკუძალა, რაც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

მოსარჩელე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 85-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ კ. ლ-ეს არ ჩაუდენია ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით („ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი ნესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ“) გათვალისწინებული დარღვევა. მოსარჩელის მოსაზრებით, კანონში მოხსენიებული ტერმინი „მიმართული“ გულისხმობს იმას, რომ მოქმედების მსაზღვრელ მიზანს სწორედ დისკრედიტაცია უნდა წარმოადგენდეს, ნორმა უთითებს მხოლოდ განზრახ და არა გაუფრთხილებლობით განხორციელებულ მოქმედებაზე, სხვა შემთხვევაში ნორმაში მოხსენიებული იქნებოდა ტერმინი „ინვეს“ – რაც არ გამორიცხავს გაუფრთხილებლობით

გადაცდომის ჩადენას. მოსარჩელის მოსაზრებით, კ. ლ-ის ქმედებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნების არსებობის შემთხვევაშიც, სადავო აქტები გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტისა (შემთხვევები, რომელთა დროსაც დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ) და ამავე კანონის 98-ე მუხლის (სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში) დარღვევით. განსახილველ შემთხვევაში, არ მომხდარა კ. ლ-ის საქმიანი რეპუტაციის შელახვა, მასში იგულისხმება საზოგადოების, სოციუმის მიერ პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს პირის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის მოცემულობაც, რომ სასამართლოს არ დაუდგენია კ. ლ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტი, შემთხვევის ადგილზე მყოფ რამდენიმე ადამიანის უკმაყოფილება, რომელიც ვერ გათანაბრდება საზოგადოებრივ უკმაყოფილებასთან, გამონვეული იყო ძაღლის დაზიანების ფაქტით და არა მოხელის ნაკლოვანი პროფესიული და საქმიანი თვისებებით, ამ უკანასკნელს არ მიუღწევია ისეთი ფორმისა თუ მასშტაბისთვის, რომ გამოერიცხა მოხელის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობების ჯეროვანი შესრულება. ამასთანავე, კ. ლ-ის თავშეკავებული რეაქცია ამჟღავნებდა პატივისცემას საკუთარი და საჯარო დაწესებულების რეპუტაციისადმი, რომლითაც დაცხრა შემთხვევის ადგილზე შეკრებილი ხალხის უკმაყოფილება და ცხოველის გამოყვანაც ერთობლივად მოხდა. შედეგად, კ. ლ-ეს არ დაუზიანებია საჯარო დაწესებულების რეპუტაცია, არ არსებობს რაიმე სარწმუნო ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემული ფაქტის შემდეგ, საზოგადოება ნეგატიურად განეწყობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ.

შეფარდებული ღონისძიების თანაზომიერებასთან დაკავშირებით, მოსარჩელე ასევე მიუთითებს, რომ სადავო აქტები გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განერილია მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას გასათვალისწინებელი გარემოებების ჩამონათვალი. სზაკ-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. მოსარჩელის

სამსახურიდან გათავისუფლება არ წარმოადგენს უფლებაში ჩარევის თანაზომიერ ღონისძიებას, არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, არ არის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული ამ მიზნის მისაღწევად. სააპელაციო პალატამ 18.05.2018წ. გადანყვეტილებაში (საქმე №33/612-18) მიუთითა დისციპლინურ დარღვევაზე რეაგირების თანაზომიერების დაცვის აუცილებლობაზე (გვ.20), აღნიშნული თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა მიღებულიყო გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ლ-ის ქმედებაში არ არსებობდა განზრახვა (გვ.20). მოცემული თვალსაზრისით, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო სხვა ნაკლებად მკაცრი დისციპლინური ზომის გამოყენებით. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შუქზე, მხედველობაში უნდა მიღებულიყო შემდეგი გარემოებები: ა) კ. ლ-ე მოქმედებდა არა განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით; ბ) შესაძლო დისციპლინური გადაცდომით დამდგარი შედეგი არ იყო ძძიმე; გ) კ. ლ-ის მიმართ არ მოქმედებდა დისციპლინური პასუხისმგებლობა; დ) ვიდეოჩანანერის გათვალისწინებით, კ. ლ-ე მოქმედებდა ზიანის შემცირების განზრახვით; ე) კ. ლ-ე არის კეთილსინდისიერი საჯარო მოხელე, რომელიც ჯეროვნად ასრულებდა თავის ფუნქციებს; ვ) კ. ლ-ე არის ორი არასრულწლოვანი შვილის მამა და ერთადერთი დასაქმებული პირი ოჯახში.

მოსარჩელე დამატებით აღნიშნავს, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება არღვევს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტის მოთხოვნებს. კერძოდ, სსკ-ის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდეს სამართლებრივი ურთიერთობის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სადღეისოდ მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ითვალისწინებს თანამდებობაზე აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების გაუქმების ყველა შემთხვევაში. სადღეისოდ უკვე ძალადაკარგული „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული იყო სპეციალური ნორმა იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საჯარო დაწესებულებას ევალებოდა გამოეცა ახალი აქტი სამსახურიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებული გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონის აღნიშნული რედაქცია ძალადაკარგულად გამოცხადდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. №4346-ს კანონის 127-ე მუხლით. 2017 წლის 01 ივლისის შემდეგ გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილების აღსრუ-

ლება ვერ მოხდება ძალადაკარგული კანონის ნორმების მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი შებოჭილია კანონის უზენაესობის პრინციპით, იგი ვალდებულია იმოქმედოს კანონით მკაცრად განერილი მოთხოვნების შესაბამისად. მართალია, სააპელაციო პალატის 18.05.2018წ. გადაწყვეტილებით (საქმე №33/612-18) არ განხორციელებულა კ. ლ-ეის სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს არ ათავისუფლებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების იმპერატიული მოთხოვნების შესრულების ვალდებულები-საგან, რაც მიემართება საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფ-ლებასთან დაკავშირებული ბრძანების გაუქმების სამართლებრივ შე-დეგებს. ამდენად, სააპელაციო პალატის 18.05.2018წ. გადაწყვეტილე-ბის (საქმე №33/612-18) კანონის შესაბამისად აღუსრულებლობა არ-ღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მოთ-ხოვნებს. ადმინისტრაციული აქტის ბათილობა გულისხმობს მისი იუ-რიდიული ძალის დაკარგვას გამოცემის მომენტიდან (ex tunc), აღნიშ-ნული მომენტიდან ითვლება ძალადაკარგულად ბრძანების სამართლებ-რივი შედეგიც – კ. ლ-ეის სამსახურიდან გათავისუფლება. ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მართებული განმარტება ითვა-ლისწინებს კ. ლ-ეის სამსახურში აღდგენას, ასევე განაცდურის ანაზ-ღაურებას გათავისუფლების საფუძვლად არსებული აქტების სას.კ-ის 32.4. მუხლის შესაბამისად ბათილობის პირობებშიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-ლეგიის 13.05.2022წ. გადაწყვეტილებით, კ. ლ-ეის სარჩელი არ დაკმა-ყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კ. ლ-ე სამსახურიდან გათავისუფლე-ბამდე იკავებდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დანესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტ-რალური სამსახურის ინსპექტირების განყოფილების ...ს თანამდებო-ბას, მასზე სრულად ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანო-ნის მოთხოვნები. ამავდროულად, სადავო აქტები სრულად აკმაყოფი-ლებს სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალის-წინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, შესაბამისად, შესამოწმე-ბელია ამ აქტების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლიანობა. სასა-მართლომ მოიხმო „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. № 1022-

ის კანონის (ძალადაკარგულად გამოცხადდა 27.10.2015წ. №4346-ის კანონით) 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, 99-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები, 73² მუხლი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 10.05.2013წ. №26 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების“ 1-ლი მუხლი და მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, სზაკ-ის 53-ე მუხლი, ამავე კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი და მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტები, სსკ-ის მე-10 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 17.05.2016წ. გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტებები საქმეზე Case of Karácsony and others v. Hungary (App. No. 42461/13 და 44357/13, § 152), მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.10.2007წ. გადაწყვეტილებაზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებებზე (სუსგ., №ბს-902(კ-20) 25.11.2021წ.). ზემოაღნიშნული ნორმატიული მოცემულობის საქმეში დაცულ ფაქტობრივ გარემოებებთან სუბსუმირების მიზნით, სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, ავტომანქანაში დამონტაჟებული ვიდეორეგისტრატორით გადაღებულ ვიდეომასალაზე და აღნიშნა, რომ კ. ლ-ემ მის მფლობელობაში არსებული ავტომანქანით მოძრაობა დაიწყო ავტომანქანების გადაადგილებისათვის დაუშვებელ ადგილას – ე.წ. „ტროტუარზე, გაზონზე“, გადავიდა ბორდიურზე გაზონის გავლით, სადაც ინვა ძალლი, ავტომანქანით ძალლს გადაუარა და რამდენჯერმე განახორციელა მოძრაობა წინ და უკუსვლით, ისმოდა ძალლის ხმა, ასევე, დაცვის თანამშრომლის ხმა, რომელმაც საძახისის („რაციის“) გამოყენებით გამოიძახა შესაბამისი სამსახური რეაგირებისთვის, ამ დროს ისმოდა ხალხის უკმაყოფილო და უარყოფითი შექაჩილები, კომენტარები და საყვედურები, როგორც ავტომანქანის მძღოლის ასევე დანესებულების (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის) მიმართ, აღნიშნულის შემდგომ, კ. ლ-ე გადმოვიდა მანქანიდან, დაიწყო ტელეფონზე საუბარი, მას არ გაუწევია დახმარება მისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანით დაზიანებული ძალლისთვის, შემდგომ იგი ისევ ჩაჯდა მანქანაში და დაძრა ადგილიდან, დაძვრის შემდეგ გამოჩნდა ძალლი, მოთეთრო ფერის შავი ლაქებით, რომელიც მოძრაობდა ბარბაცით, ძალლს ამ კარად უჭირდა წონასწორობის შენარჩუნება და ერთი ფეხი, დაზიანების გამო მაღლა ჰქონდა აწეული, ადგილზე მყოფმა ერთ-ერთ-

თმა პირმა ძალლი გადაიყვანა ტროტუარზე, რომლის შედეგადაც ძალლი აღმოჩნდა დამჯდარ მდგომარეობაში, ამის შემდეგ, კ. ლ-ემ დაძრა ავტომანქანა, გააგრძელა გზა და დატოვა ძალლი, ამასთანავე მასთან ტელეფონით განხორციელებულ ზარზე უპასუხა შემდეგნაირად: „ძალლი ინვა ძირს, ფეხზე გადავუარე და ატყდა ერთი ვაი-ვიში“. საქმეში წარმოდგენილი აუდიო ფაილით ასევე დასტურდება ძალლის ვეტექიმთან წაყვანის ფაქტი, რომელიც მიყენებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩინა, რომ კ. ლ-ემ, რომელიც ვალდებული იყო ჯეროვნად განეხორციელებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები, არ გააცნობიერა იქ არსებული სიტუაცია, ყურადღება არ გამოიჩინა და მიატოვა დაზიანებული ცხოველი და არც შემდგომში მოუკითხავს მისი მდგომარეობა. კ. ლ-ის ქმედებაში არ იკვეთება გაუფრთხილებლობა, ვინაიდან იგი ავტომობილით გადაადგილდება სკვერში, რითაც განზრახ და შეგნებულად დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, ამდენად, უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობანი და ჩაიღინა დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი. ამ ძირითადი პრინციპის დარღვევა იწვევს მოქალაქეთა უნდობლობას, გარემოს დაცვის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციის დისკრედიტაციას. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს, რომელიც საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლად აღიქმებოდა, ვალდებული იყო მიეღო ყველა ზომა, რათა თავიდან აეცილებინა ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებდა როგორც პირადად მას, ასევე მისი სამსახურის რეპუტაციას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.05.2022წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა კ. ლ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.05.2023წ. გადაწყვეტილებით, კ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.05.2022წ. გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ა) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება; ბ) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20

00000693 ბრძანება; გ) ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 02.07.2020წ. №2-555 ბრძანება; დ) მოპასუხეს – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კ. ლ-ის ...ის განყოფილების ...ს ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ; ე) მოპასუხეს – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაევალა კ. ლ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს განწყვეტილების აღსრულებამდე.

თავდაპირველად, სააპელაციო პალატამ მოიხმო სასკ-ის 28¹ მუხლი (სუსგ., №ბს-160(გ-21), 22.04.2021წ.) და მოსარჩელეს მიუთითა მე-4 სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების საჭიროებაზე, რომლის შედეგად აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კ. ლ-ის იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ.“ საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 03.09.2013წ. №07-16/224 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 53-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის, 26-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 35-ე მუხლის საფუძველზე კ. ლ-ე დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ-ცენტრალური სამსახურის ინსპექტირების განყოფილების ...ს (... კატეგორია) თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით, 2013 წლის 3 სექტემბრიდან 2013 წლის 3 დეკემბრამდე. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 02.12.2016წ. №DES 2 16 00002067 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 53-ე მუხლების, „საჯარ-

რო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის, 99-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შიდა სამსახურებრივი კონტროლის სამსახურის უფროსის 02.12.2016წ. №DES 0 16 001 1636627 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შიდა სამსახურებრივი კონტროლის სამსახურის №28 დასკვნის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ...ის განყოფილების ... – კ.ლ-ე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 2 დეკემბრიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.10.2017წ. გადაწყვეტილებით, კ.ლ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. გადაწყვეტილებით, კ.ლ-ეის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.10.2017წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ.ლ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 02.12.2016წ. №DES 2 1600002067 ბრძანება და დაევალა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ბრძანების გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით. დანარჩენ ნაწილში კ.ლ-ეის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. განჩინებით, კ.ლ-ეისა და გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.02.2020წ. DES 6 20 00000040 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა ადმინისტრაციული წარმოება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. №3ბ/612-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უზრუნველსაყოფად. ად-

მინისტრაციული წარმოების პროცესში, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე პირთა განმარტებების (მოსაზრებების) და გამოკვლევულ ფაქტებზე დაყრდნობით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც თავიდან უნდა გამოიცეს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კ. ლ-ის განთავისუფლების შესახებ. კერძოდ, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 02.12.2016წ. №DES 2 160002067 ბრძანების გამოცემის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ამავე დეპარტამენტის შიდა სამსახურებრივი კონტროლის სამსახურის 02.12.2016წ. №28 დასკვნა, რომელშიც კ. ლ-ის მიმართ მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით სრულად იქნა გამოკვლეული ის გარემოებები, მტკიცებულებები და ფაქტები, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეფასდა ფაქტობრივი გარემოებები. სახეზეა საჯარო მოხელის მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი ვალდებულებების, ქცევის ზოგადი წესების შეუსრულებლობა. მან ჩადენილი გადაცდომით ზიანი მიაყენა როგორც საკუთარ თავს, ასევე იმ დაწესებულებას, რომლის სახელითაც ის ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, კ. ლ-ემ შეურაცხყო საჯარო სამსახურის რეპუტაცია. იგი ვალდებული იყო, ჯეროვნად განეხორციელებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები, თუმცა განზრახ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რითაც ასევე უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა. აღნიშნულმა საბოლოოდ გამოიწვია ცხოველის დაზიარება, შემდგომში უმწეო მდგომარეობაში მისი მიტოვება, მან ადგილზე არ განახორციელა არც ერთი ისეთი მოქმედება, რითაც დაეხმარებოდა დაზარალებულ ცხოველს, რამაც ასევე გამოიწვია იქ მყოფი მოსახლეობის მხრიდან აგრესია. აღნიშნულმა საქციელმა ალამფოთა თვითმხილველი მოსახლეობა, მათ შორის, არასრულწლოვნებიც, რომლებიც პირდაპირ საყვედურს გამოხატავდნენ მისი და დეპარტამენტის მისამართით. აღნიშნულმა საქციელმა ერთობლიობაში მოახდინა დაწესებულების დისკრედიტაცია. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. №3ბ/612-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

ადმინისტრაციას დაევალა კ. ლ-ის განთავისუფლების შესახებ ახალი ბრძანების ხელმოსაწერად მომზადება. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანებით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ... კ. ლ-ე განყოფილების ... კ. ლ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 2 დეკემბრიდან. მოსარჩელის წარმომადგენელმა დ. ძ-ემ 02.06.2020წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანებისა და 07.05.2020წ. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის DES 0 20 00000693 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 02.07.2020წ. №2-555 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა დ. ძ-ის ადმინისტრაციული საჩივარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო აქტების, კერძოდ სადავო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანებების გამოცემის წინაპირობას, მათ საფუძველს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი (გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება) დაეფუძნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისა და გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დაუსაბუთებლობას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მართალია სააპელაციო სასამართლომ 18.05.2018წ. გადაწყვეტილებით გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს მითითება კ. ლ-ის მხრიდან უხეში გადაცდომის ჩადენასთან მიმართებით, თუმცა განმარტა, რომ სწორედ საჯარო მოხელის სტატუსიდან გამომდინარე, ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მოპასუხე ად-

მინისტრაციული ორგანოს მხრიდან, გამოყენებული დისციპლინური სახდელი – სამუშაოდან დათხოვნა უნდა ყოფილიყო დასაბუთებული, დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელის განმარტებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. გარდა ამისა, გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში არ არის დასაბუთებული დისციპლინური სასჯელის უმაღლესი ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება რატომ იყო იმ დარღვევის შესაბამისი, რაც კ. ლ-ის მიერ იქნა ჩადენილი. სააპელაციო პალატამ, სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო დაესაბუთებინა, რომ კ. ლ-ის ქმედებაში გაზრახი მოქმედების ფაქტის დაუდგენლობის პირობებში, რატომ იქნა დისციპლინური სასჯელის უმაღლესი ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებული მოსარჩელის მიმართ და რატომ იყო ეს უკანასკნელი კ. ლ-ის მიერ ჩადენილი დარღვევის თანაზომიერი. ამავდროულად, საკასაციო სასამართლოს 29.11.2019წ. განჩინებაში აღინიშნა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებითა და არგუმენტაციით არ დასტურდება კ. ლ-ის მიერ მასზე ნორმატიულად დაკისრებულ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადზნეობრივი ნორმების დარღვევა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული საქციელი იმთავითვე არ მოიაზრებს სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვან შესრულებას, ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა მოხელისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების დამოუკიდებელ საფუძველს ქმნის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივ-სამართლებრივი დასკვნების მიუხედავად, სადავო აქტის (06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება) შინაარსის ანალიზით დასტურდება, რომ რეალურად ადგილი არ ჰქონია სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აუცილებელი პირობების შესრულებას, სადავო აქტების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხებმა არსებითად იმავე ფაქტებზე და გარემოებებზე მიუთითეს და გაამახვილეს ყურადღება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია. კერძოდ, სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის კ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანება, სააპელაციო და საკასაციო პალატების მითითებების მიუხედავად, კვლავ იმ გარე-

მოებას ეფუძნება, რომ კ. ლ-ემ განზრახ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რომლითაც ასევე უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა, ხოლო აღნიშნულმა საბოლოოდ გამოიწვია ცხოველის დაზიანება, შემდგომში უმწეო მდომარეობაში მიტოვება, ხოლო შემთხვევის ადგილზე კ. ლ-ის მიერ არ განახორციელებულა არც ერთი ისეთი მოქმედება, რომლითაც დაეხმარებოდა დაზარალებულ ცხოველს, რამაც ასევე გამოიწვია იქ მყოფი მოსახლეობის მხრიდან აგრესია. ამდენად, სააპელაციო პალატამ მხარეთა პოზიციების მოსმენის, ასევე საქმეში დაცული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შეფასებისა და დასაბუთების გარეშე დატოვა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან პროპორციული – თანაზომიერი – დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების საკითხის გამოკვეთვა. სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. № 1022-III კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, 99-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების შინაარსის ანალიზის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ დასაბუთდა, რა ფორმით განხორციელდა დანესებულების დისკრედიტაცია (დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი) მოსარჩელე (აპელანტი) კ. ლ-ის დისციპლინური გადაცდომით, რომლის გაზრახ ჩადენის ფაქტი არ დგინდება. სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სრულად გაიზიარა აპელანტის პოზიცია და ჩათვალა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები და ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელთა მიერ გაჟღერებული დასაბუთება ვერ აღწევს სარწმუნოების იმ ზღვარს, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა პირის სამსახურიდან გათავისუფლებას და რაც აუცილებელია სადავო აქტების კანონიერად მიჩნევისათვის. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული შრომის უფლება, მათ შორის გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა მიმართ ისეთი ზომების გამოყენება, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდ-

ვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დისციპლინური ზომა გამოიყენოს მის მიმართ. საქართველოს კანონმდებლობა შრომითი უფლების შეზღუდვის მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს ადგენს და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ შესაბამის ფარგლებში, თავისი უფლებამოსილების კანონიერად, კეთილსინდისიერად განხორციელების გზით ანიჭებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ კ. ლ-ეის სამსახურიდან გათავისუფლებას არ ჰქონდა კანონისმიერი საფუძვლები, ასეთი საფუძვლების არარსებობის პირობებში, მოსარჩელე ექვემდებარება უფლებებში აღდგენას სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია, ასევე, მოსარჩელის ის მოთხოვნებიც, რომლებიც უკავშირდება სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებას. სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სადავო აქტების უკანონობა განაპირობებს სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით კ. ლ-ეის მოთხოვნის საფუძვლიანობას და ამდენად, ექვემდებარება დაკმაყოფილებას. ამავდროულად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით, განაცდური ხელფასი ანაზღაურებას ცალსახად უკავშირდება საჯარო მოხელის დათხოვნის/გათავისუფლების შესახებ აქტის უკანონობას, ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატის მიერ დადასტურებულია ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, და აღნიშნულის გამო კ. ლ-ემ ვერ მიიღო თანამდებობრივი ანაზღაურება, ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ განაცდური პერიოდის განმავლობაში მას მიუღებელი თანხის ოდენობით მიადგა მატერიალური ზიანი, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას, მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადანიშნულების აღსრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.05.2023წ. გადანიშნულება საკასაციო ნუსით გასაჩივრდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადანიშნულების გაუქმება და ახალი გადანიშნულებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის შეფასებით, სადავო აქტები – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000124 ბრძანება და საქართველოს გა-

რემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანება – სრულად შეესაბამება სზაკ-ით განსაზღვრული კანონიერების როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ მოთხოვნებს. კასატორი ყურადღებას ამახვილებს სადავო აქტის გამოცემისას მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-IX კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, 99-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ რეგულირებაზე, საკასაციო სასამართლოს 29.12.2021წ. გადაწყვეტილებაში (იხ. სუსგ., №ბს-483(კ-21)) დისკრეციულ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ განმარტებაზე და აღნიშნავს, რომ საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში შედის. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ინიცირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხელახალ გამოკვლევას დაექვემდებარა 27.10.2016წ. მომხდარი ფაქტი. ამავე დროულად, სააპელაციო პალატამ კ. ლ-ის ქმედება არ შეაფასა, როგორც განზრახ ჩადენილი, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს მიუთითა დისკრეციის ფარგლებში საკითხის ხელახლა შესწავლასა და ახალი აქტის გამოცემის აუცილებლობაზე. ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულად იქნა გამოკვლეული საქმეში არსებული გარემოებები, მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები (მათ შორის ვიდეოჩანაწერი), რომელთა ურთიერთმეჯერების საფუძველზე დასტურდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების არსებობა: კ. ლ-ის მიერ ჩადენილი ქმედებათა ერთობლიობა გამოიხატა ერთი მხრივ, სამსახურებრივი ავტომანქანით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაში, რასაც შემდგომ მოჰყვა ძალის გარდაცვალება, მეორე მხრივ, ამ ფაქტის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებასა და აგრეთვე მოსახლეობის მხრიდან როგორც კონკრეტულად კ. ლ-ის, აგრეთვე ზოგადად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მისამართით გამოთქმულ საყვედურებში. კასატორი აღნიშნავს, რომ დეტალურად იქნა შესწავლილი ქ. ქუთაისში 27.10.2016წ. მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ა) გამოკვლეულ იქნა სად და რა ავტომობილით გადაადგილდებოდა კ. ლ-ე საგზაო მოძრაობის წესების უხეში დარღვევით, რომელთან დაკავშირებითაც საპატრულო პოლიციის მიერ იგი დაჯარიმდა ადმინისტრაციული წესით; ბ) მოპირკეთებულ სკვერში როგორ დაარღვია მან მოძრაობის წესები დეპარტამენტზე მიმავრებული ავტომანქანით; გ) როგორ გადაუარა ავტომანქანის საბურავით სკვერში მძინარე

ძალს; დ) დეტალურადაა აღწერილი იქ მყოფი მოსახლეობის რეაქცია; ე) სრულყოფილადაა გამოკვლეული ავტომანქანაზე დამონტაჟებული ვიდეორეგისტრატორი, რომლის გაანალიზების შემდგომ გამოიკითხა და საქმის მასალებს ერთვის ფირზე ასახული თვითმხილველების ახსნა-განმარტებები; ვ) სრულყოფილადაა აღწერილი ააიპ „სა...ის“ წარმომადგენლის მიერ მონოდებული ვიდეოფაილი; ზ) საქმის მასალებში დაცულია ვეტექიმის ახსნა-განმარტება, რომელმაც მომხდარის შემდეგ გასინჯა ძალლი და დაადასტურა მისი სიკვდილი; თ) ააიპ „სა...ის“ 31.10.2016წ. №080-ბ 16 წერილი თანდართული CD დისკით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (მოთხოვნილი იყო კ. ლ-ეის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა); ი) შემთხვევის ადგილზე ფაქტის შემსწრე თვითმხილველები დეტალურად აღწერენ მომხდარს თუ როგორ მოძრაობს დეპარტამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალება სკვერში მოძრაობის წესების დარღვევით, როგორ მოაქცია მძღოლმა ძალლი უკანა საბურავებში, ისე რომ არ აპირებდა გაჩერებას მოსახლეობას რომ არ გაეჩერებინა; კ) მოსახლეობის აღმფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დეპარტამენტის თანამშრომელმა დახმარება არ გაუწია დაზარალებულ ცხოველს, კ. ლ-ემ მიატოვა შემთხვევის ადგილი, მხოლოდ შემთხვევის ადგილზე შეკრებილმა მოსახლეობამ დარეკა „112“-ში და გამოიძახეს ვეტერინარი; ლ) სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით ააიპ „სა...ის“ გვერდზე გავრცელდა ხსენებული ფაქტთან დაკავშირებული მოკლე ვიდეომიმოხილვა.

ამრიგად, კასატორის მოსაზრებით, სახეზეა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი ვალდებულებების, ქცევის ზოგადი წესების შეუსრულებლობის ფაქტი, კ. ლ-ემ ჩადენილი გადაცდომით ზიანი მიაყენა, როგორც საკუთარ თავს, ასევე იმ დაწესებულებას, რომლის სახელითაც ის ახორციელებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, აგრეთვე მან შეურაცხყო საჯარო სამსახურის რეპუტაცია, იგი ვალდებული იყო ჯეროვნად განეხორციელებინა მასზე დაკისრებული მოვალეობები, თუმცა განზრახ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, რომლითაც ასევე უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა, აღნიშნულმა საბოლოო ჯამში გამოიწვია ცხოველის დაზიანება, შემდგომში მისი უმწეო მდგომარეობაში მითოვება, კ. ლ-ეს შემთხვევის ადგილზე არ განუხორციელებია რაიმე ისეთი ქმედება, რომლითაც დაეხმარებოდა დაზარალებულ ცხოველს, მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია შემთხვევის ადგილზე შეკრებილი მოსახლეობის აგრესია (აღნიშნულმა მოქმედებამ განსაკუთრებით აღაშფოთა ფაქტის შემსწრე პირები, მათ შორის არასრულწლოვნები, რომლებიც პირდაპირ საყვედურს გამოხატავდნენ კ. ლ-ეისა და კ. ლ-ეის სამსახურის მიმართ),

მოვლენათა აღნიშნულმა ჯაჭვმა საბოლოოდ ხელი შეუწყო საჯარო და-
წესებულების დისკრედიტაციას. კასატორი მიუთითებს, რომ სადავო
აქტებში ამომწურავად არის დასაბუთებული კ. ლ-ის ქმედებაში საჯარო
დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქცი-
ელის იურიდიული შემადგენლობის არსებობა, შესაბამისად, საფუძვლი-
ანი და არგუმენტირებულია დისციპლინური სახდელის უმაღლესი ზო-
მის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენება, რაც წარმოადგენს
კ. ლ-ის მიერ ჩადენილ დარღვევაზე თანაზომიერ, პროპორციულ რეა-
გირებას.

მოსარჩელემ (მონინალმდეგე მხარემ) 11.12.2023წ. წარმოადგინა სა-
კასაციო შესაგებელი, მასში მიმოიხილა 21.07.2020წ. სარჩელში დეტა-
ლურად ჩამოყალიბებული არგუმენტაცია და აღნიშნულ ფაქტობრივ-სა-
მართლებრივ შეფასებებზე დაყრდნობით უარყო პირველი ინსტანციის
სასამართლოს 13.05.2022წ. გადანყვეტილებაში ასახული მოტივაცია. სა-
კასაციო შესაგებლის ავტორმა აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა მოსარჩე-
ლის არგუმენტების უგულებელყოფას, გამოყენებული იქნა ისეთი კა-
ნონმდებლობა, რომელიც არ მოქმედებდა სასამართლო გადანყვეტილე-
ბის აღსრულებისას, არასწორად იქნა განმარტებული „საჯარო სამსახუ-
რის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი, დაირღვა სასამარ-
თლო აქტების სავალდებულობის პრინციპი, ასევე ადგილი ჰქონდა სა-
სამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადგენილი
ფაქტების იგნორირებას, არ არსებობდა სადავო აქტის გამოცემის ნორ-
მატიული საფუძვლები, ხოლო – თავად სადავო აქტები იყო დაუსაბუთე-
ბელი, მოსარჩელემ ასევე ვერ შეძლო საკუთარი მოსაზრებების წარდგე-
ნა ადმინისტრაციული წარმოებისას, სადავო აქტები კი მოქმედებდა უკუ-
ძალით, ისინი არ შეიცავდნენ ძალაში შესვლის თარიღს, ამავდროულად,
მოსარჩელის ქმედება საერთოდ არ წარმოადგენდა დისციპლინურ გა-
დაცდომას, მით უფრო მძიმე დისციპლინურ გადაცდომას, ყოველივე აღ-
ნიშნულის საფუძველზე, ადგილი ჰქონდა თანაზომიერების პრინციპის
დარღვევას. დამატებით, საკასაციო შესაგებლის ავტორმა აღნიშნა, რომ
მოსარჩელეს 01.12.2016წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №...
ოქმით („დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, იმოძრავა ქვეითთა ბი-
ლიკზე, დააზიანა სხვისი ქონება, რის შემდეგაც დატოვა საგზაო-სატრ-
ანსპორტო შემთხვევის ადგილი“) უკვე დაეკისრა ადმინისტრაციული
პასუხისმგებლობა, ხოლო იგივე ქმედებისთვის მას დამატებით შეეფარ-
და დისციპლინური პასუხისმგებლობა – დაკავებული თანამდებობიდან
გათავისუფლების სახით. საკასაციო შესაგებლის ავტორი მიუთითებს,
რომ მოცემულ შემთხვევაში ანალოგიის სახით უნდა გავრცელდეს „სა-
ჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი, რომ-
ლის მიხედვით სასამართლოს მიერ შესაბამისი გამამტყუნებელი გადან-

ყვეტილების გამოტანა გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესაძლებლობას. ამდენად, სახეზეა, ასევე, ერთი და იმავე ქმედებისათვის პასუხისმგებლობის განმეორებით დაკისრების პრინციპის დარღვევაც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სახეზეა კომბინირებული სარჩელი, – შეცილებითი (სასკ-ის 2.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.) და მავალდებულებელი (სასკ-ის 2.1. მუხ. „გ“ ქვ.პ.) სარჩელი. სარჩელი შეცილებითია, რამეთუ მოსარჩელე ითხოვს სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებას (მის ბათილად ცნობას) „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რაც განაპირობებს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად არსებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის დადგენის საჭიროებას. სარჩელი მავალდებულებელია იმ თვალსაზრისით, რომ უკეთუ სახეზეა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების საკანონმდებლო ნინაპირობები და ამდენად, არსებობს მოხელის უფლებებში აღდგენის ნორმატიული საფუძველი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამსახურში აღდგენილ საჯარო მოხელეს, მიყენებული ზიანის ანაზღაურების რესტიტუციული ზომის სახით, ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო.

დავის გადაწყვეტა საჭიროებს უპირველეს ყოვლისა, აქტის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, ვინაიდან მხოლოდ მისი კანონმდებლობასთან შეუსაბამობა იწვევს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების წარმოშობას. სასკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ხოლო – სზაკ-ის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის 2.1. მუხ. „ზ“ ქვ.პ.). ადმინისტრაციული აქტის

კანონიერების შეფასება საჭიროებს კანონიერების პრინციპის ფორმალური და მატერიალური განზომილებების, სხვა სიტყვებით, აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების შეფასებას, თითოეული განსახიერებს სამართლებრივი სახელმწიფოს განსხვავებულ, თუმცადა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კონცეფციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. ფორმალური კანონიერების პრინციპი მოითხოვს იმას, რომ ადმინისტრაციული აქტი მიღებული იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით ცხადად განსაზღვრული განჭვრეტადი სამართლებრივი პროცედურების დაცვის გზით. ფორმალური კანონიერების მიზანია მმართველობითი საქმიანობის პროცედურული გამართულობის მონესრიგება (მისი უზრუნველყოფა), თვითნებური და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ან/და თანამდებობის პირისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებს გაცდენით (*ultra vires*) მიღებული გადაწყვეტილებების პრევენცია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კ. ლ-ე სამსახურში დაინიშნა 03.09.2013წ. დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით, დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით კ. ლ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 02 დეკემბრიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 79.1 მუხლის თანახმად იმ თანამდებობის პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, უფლებამოსილია დისციპლინური გადაცდომისათვის გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 93.1 მუხლის შესაბამისად სამსახურიდან გათავისუფლება. ამდენად, სადავო აქტები გამოცემულია უფლებამოსილების ფარგლებში. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებებს სადავო აქტების კანონით დადგენილი წესების დარღვევით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კ. ლ-ეს დეპარტამენტის 07.02.2020წ. წერილით ეცნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით კ. ლ-ეს გაეგზავნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 07.02.2020წ. ბრძანების ასლი (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. №3ბ/612-18 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უზრუნველსაყოფად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე), ადრესატს ეცნობა, რომ ზეპირი მოსმენის გამარ-

თვის თარიღის თაობაზე დამატებით მიიღებდა შეტყობინებას. დეპარტამენტის 22.04.2020წ. წერილით კ. ლ-ეს ეცნობა, რომ კორონავირუსის გამო დეპარტამენტის საქმიანობა დისტანციურად ხორციელდებოდა, რიც გამოც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ზეპირი განხილვის გამართვა, ადრესატს მიეცა წინადადება წერილის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოედგინა საკუთარი წერილობითი მოსაზრებები. კ. ლ-ეის წარმომადგენელმა 27.04.2020წ. წერილობითი მოსაზრება წარუდგინა დეპარტამენტს. კ. ლ-ეის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ საჩივარზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოების დროს მხარეთა მონაწილეობით ჩატარდა ზეპირი სხდომა, დეპარტამენტის 12.06.2020წ. წერილით კ. ლ-ეის წარმომადგენელს ეცნობა 23.06.2020წ. ზეპირი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც კ. ლ-ეის წარმომადგენელს მიეცა საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. მოცემული საქმის დავის საგანს შეადგენს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. მაისის DES 9 20 00000124 ბრძანების, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 02.07.2020წ. №2-555 ბრძანების კანონიერება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარზე წარმოების ჩატარების შედეგად გამოცემულ აქტს, როგორც ორგანოს თვითკონტროლის ადმინისტრაციულ იერარქიულ სისტემაში დამაგვირგვინებელ აქტს და შესაბამისად სასამართლოში გასაჩივრების პოტენციური მნიშვნელობის მქონე აქტს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ადმინისტრაციულ წარმოებაში. მოსარჩელე, მართალია, სადავოდ ხდის მინისტრის 02.07.2020წ. №2-555 ბრძანებას, თუმცა ამ აქტის მიმართ რაიმე პრეტენზიას არ გამოთქვამს. მეორე ადმინისტრაციული წარმოებისას გათვალისწინებულ იქნა ავტომანქანაზე დამონტაჟებული ვიდეორეგისტრატორი, რომელშიც ნათლად ჩანს კ. ლ-ეის მიერ მოძრაობის წესების განზრახ, უხეში დარღვევა, სკვერში მძინარე ძალზე ავტომანქანით გადავლა, შესწავლილ იქნა იქ მყოფი მოსახლეობის რეაქცია, მოწმეების ახსნა-განმარტებები, CD დისკში ასახული თვითმხილველთა მიერ მომხდარის აღწერა, შეფასება მიეცა მოსარჩელის მიერ დაზიანებული ცხოველის მიტოვებას. აქტის მომზადების და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით ჩატარების გამო აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები აღწერილია სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმად აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებითად დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 32-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაცი-

ციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევის გამო სადავო აქტების გაუქმების საფუძველი.

კანონიერება არ ამოიწურება მხოლოდ ფორმალური კანონიერების შემონახვით. მატერიალური კანონიერება მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული აქტი შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას თავისი არსებითი შინაარსით, რაც გულისხმობს ასეთი აქტის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან, პროპორციულობასთან (საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერება), დისკრეციული უფლებამოსილების მართლზომიერად განხორციელებისა და სხვა ისეთ საკვანძო (ფუძემდებლურ) პრინციპებთან თუ ნორმებთან შესაბამისობას, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალს სძენს თავის იმანენტურ საკონსტიტუციო ბუნებას. აღნიშნული თვალსაზრისით, კანონიერება არის არამხოლოდ იურიდიული ფორმის ან უფლებამოსილების საკითხი, არამედ ასევე შინაარსისა და დასაბუთების საკითხი. შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტი შესაძლოა მოკლებული იყოს სამართლებრივ ვალიდურობას (იყოს არარა ან ბათილი) არა მარტოდ იმ საფუძველით, რომ იგი უფლებამოსილებათა გამიჯვნის ფორმალურ-სამართლებრივ მოდელთან ვერ მოდის თანხვედრაში, არამედ ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ფორმალური შესაბამისობის, პროცედურული მოთხოვნების დაცვის მიუხედავად, ადმინისტრაციული აქტი წარმოშობს ზემოთ დასახელებულ საჯარო-სამართლებრივ პრინციპებთან შესაბამო შედეგებს.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით. მითითებული ნორმა მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, ხოლო – მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას (საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის 17.11.2022წ. გადაწყვეტილება №1/9/1673,1681 საქმეზე „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §II-5.). საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების მიზანი, უმთავრესად, შრომითი უფლებების დაცვაა, რაც მოიაზრებს შრომის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, თანამდებობრივი სარგოს მიღების შესაძლებლობას, უფლებამოსილების დაუსაბუთებლად შეწყვეტისაგან დაცვას და სხვა შრომით გარანტიებს. საქართველოს კონსტიტუციით შრომითი უფლებების დაცვის ამოსავალი წერტილია პირის ინდივიდუალური

უფლება, საკუთარი კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ეწეოდეს შრომით საქმიანობას საჯარო სამსახურში, იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას, ჰქონდეს კარიერული წინსვლის საშუალება და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება დამოკიდებული არ იყოს რომელიმე პირის სუბიექტურ შეხედულებასა თუ თვითნებობაზე. ამდენად, როგორც წესი, პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გათავისუფლების აკრძალვის უმთავრესი მიზანი მისი შრომითი უფლების დაცვაა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.04.2021წ. №3/1/1298, 1313 გადაწყვეტილება საქმეზე „თამაზ მეჭიაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §II-9; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2014წ. №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §II-1). სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სეგმენტს, მისი სპეციფიკურობა, უპირველესად, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ შემთხვევაში დამსაქმებელი სწორედ სახელმწიფოა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი უკავშირდება პირის კონსტიტუციურ უფლებას განახორციელოს საქმიანობა საჯარო სფეროში, შეასრულოს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ დელეგირებული ესა თუ ის უფლებამოსილება (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 17.11.2022წ. გადაწყვეტილება №1/9/1673, 1681 საქმეზე „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §II-6, §II-27, §II-8.). ამასთანავე, საჯარო სამსახური/თანამდებობები, თავისი არსით, საკმაოდ მრავალფეროვანია, სახელმწიფო თანამდებობის პირები ახორციელებენ და ხელს უწყობენ საჯარო საქმიანობას. ისინი საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს ან/და ზედამხედველობას უწევენ მათ აღსრულებას და, ამგვარად, ემსახურებიან საჯარო ინტერესებს. საჯარო მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებული, საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირები, საჯარო ფუნქციის ეფექტიანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის უნდა სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2014წ. №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-6). ამასთანავე საჯარო სამსახურის არსი, მისი საკვანძო ბუნება უცი-

ლობლად მოითხოვს საჯარო მოხელის საჯარო სამსახურის პრინციპებით ბოჭვას, რამეთუ, დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო მოხელეთა მისიაა, დაეხმარონ სახელმწიფოს მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში (იხ. ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 12.02.2008წ. გადაწყვეტილება საქმეზე *Gujja v. Moldova*, App. No. 14277/04, §§70-71). აღიარებულია, ასევე, რომ სამსახურებრივი ურთიერთობები ეფუძნება ორმხრივ ნდობას (იხ. ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 05.09.2017წ. გადაწყვეტილება საქმეზე *Bărbulescu v. Romania*, App. No. 61496/08, §121(vi)). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საჯარო სამსახურში საჯარო მოხელის საქმიანობა უნდა განასახიერებდეს ორმხრივი ნდობის პატივისცემის მიზანს. ორმხრივი ნდობის პრინციპი აფუძნებს საჯარო სამსახურსა და საჯარო მოხელეს შორის არსებული ურთიერთობების მათგან იზიარებელ მრავალმხრივ ეთიკურ კონცეფციას. ორმხრივი ნდობა არის ზნეობრივ-სამართლებრივი კატეგორია, მისი ნორმატიულობა საჭიროებს საჯარო მოხელის მოქმედებისა თუ ქცევის მოქმედ კანონმდებლობასთან არა მარტოდენ ფორმალურ შესაბამისობას, არამედ, საჯარო სამსახურის სტრუქტურული პრინციპების სულისკვეთების შუქზე მოქმედების, მათ შესაბამისად ქცევის წესების დაცვას. რამდენადაც საჯარო სამსახური, ამ ტერმინის ფართო შინაარსით, წარმოადგენს სახელმწიფოს აბსტრაქტული და კონკრეტული მიზნების ნორმატიულ გამოვლინებას, ყველა საჯარო ორგანო, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს წარმოადგენს, სახელმწიფო არის ამ ორგანოთა სისტემა და მთლიანობა. როდესაც დავა უკავშირდება საერთო უფლებას, ერთობლივი საჯარო ინტერესი საფუძვლად უდევს ასეთი უფლების არსებობას, ამდენად, ორგანოები სოლიდარულად განასახიერებენ ერთმანეთის ინტერესებსაც, უკეთუ მათი ინტერესის საფუძვლად არსებული უფლება საერთოა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგჯერ საჯარო მოხელის დისციპლინურმა გადაცდომამ შესაძლოა გამოიწვიოს საჯარო მოხელესა და საჯარო დანებს შორის ურთიერთობის ბაზისის იმ მასშტაბით რღვევა, რომ მხარეთა სამსახურებრივი ურთიერთობის მოშლა, რომლის სამართლებრივი შედეგიც არის პირის გათავისუფლება, დასაბუთებული იყოს და ამდენად, სარგებლობდეს პრიორიტეტით ასეთი ურთიერთობის შენარჩუნებასთან მიმართებით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 106-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი უნდა აკმაყოფილებდეს სზაკ-ის 52-ე და 53-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. კანონმდებლობა ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ ადგენს დასაბუთების მოთხოვნას (სზაკ-ის 53-ე მუხ. 1-ელი ნაწ.), დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებ-

ში აქტის დასაბუთების საერთო იმპერატივი დამატებით მოთხოვნებს ითვალისწინებს (სზაკ-ის 53-ე მუხ. მე-4 ნაწ.). თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (სზაკ-ის 53.4 მუხ.). აქტის დასაბუთების შინაარსისა და მოცულობისადმი მოთხოვნები დეტერმინირებულია საკითხის თავისებურებებით. დასაბუთება ყოველთვის ხარისხობრივია, მასში არ არის ნაგულისხმევი მხოლოდ უბრალო მიზეზის, მოტივაციის ან გარკვეული ფაქტორის მითითება, ეს უკანასკნელი არათუ ამოწურავს, არამედ ქმნის ხარისხიანი დასაბუთების ნიადაგს. დასაბუთება ყოველთვის მეტყველებს არგუმენტების ენით, არგუმენტმა უნდა გაამართლოს ამ აქტივობით სახელდებული პროცესის არსი, არგუმენტი რომელიც ვერ ასრულებს ამ მიზანს, არ ამართლებს კვალიფიციური იურიდიული არგუმენტის არსს. რამდენადაც აბსტრაქტული საკონსტიტუციო პრინციპები ყოველთვის ასახულია ადმინისტრაციული სამართლის ნორმების კონკრეტულ გამოყენებაში, დასაბუთება მოითხოვს იურიდიულად ვარგისი, თანმიმდევრული და შინაგანი წინააღმდეგობისაგან დაცლილი არგუმენტების ლოგიკური, ერთმანეთთან მყარად დაკავშირებული ჯაჭვის მოყვანას, რომელიც მიზნად ისახავს სამსახურიდან გათავისუფლების ღონისძიების მატერიალური კანონიერების – მისი პროპორციულობის დემონსტრირებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-IX კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ ითვალისწინებდა დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომების გამოყენებას: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. დისციპლინური პასუხისმგებლობის მსგავს, თუმცა გარკვეულწილად განსხვავებულ დიფერენცირებას შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტები. ნორმატიულ აქტებში დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომათა გრადაციის არსებობა იმთავითვე მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისციპლინური გადაცდომის სრულყოფილად შესწავლასა და შეფასებას (იხ. სუსგ., №ბს-523(2კ-23), 28.11.2023წ.). სა-

კასაციო პალატა მიუთითებს, რომ გრადაცია მოიაზრებს დიფერენცირებას, დიფერენცირების აუცილებლობა თავისთავად არის განპირობებული დისციპლინური დარღვევის სიმძიმით. დისციპლინური დარღვევა მოითხოვს მასზე ადეკვატურ რეაგირებას, მსუბუქი დარღვევა საჭიროებს მსუბუქ, ხოლო მძიმე დარღვევა უფრო მძიმე რეაგირებას, ყველა დისციპლინურ გადაცდომაზე იდენტური რეაგირების შემთხვევაში საერთოდ აზრს დაკარგავდა მსუბუქი და მძიმე გადაცდომის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მნიშვნელობა. ამდენად, პირისათვის შეფარებული დისციპლინური სახდელი უნდა განასახიერებდეს დისციპლინურ სახდელებს შორის არსებული დიფერენცირების ნორმატიულ მიზანს. შესაბამისად, დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა მოხდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის, მისი თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს დარღვევის სიმძიმის პროპორციული (იხ. სუსგ №ბს-809-805(3კ-17), 17.01.2019წ.). ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია რაიმე აღმატებული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება, რაც ავალდებულებს მას დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ხსენებული ზრდის აქტის ხარისხს. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება გულისხმობს გადაწყვეტილების შედეგის დასაბუთებას, რომლის მეშვეობით ირკვევა მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება (იხ. სუსგ. №ბს-797(კ-18), 07.03.2019წ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება დისციპლინური სახდელის არჩევაში, თუმცა ამავდროულად, ყურადსაღებია, რომ სამსახურიდან გათავისუფლება უნდა წარმოადგენდეს „ultima ratio“ (უკანასკნელი არგუმენტი, უკანასკნელი საშუალება) – იმ სახდელს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როდესაც დასაქმებულის მიმართ მის მიერ ჩადენილი გადაცდომის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. ამდენად, როდესაც საქმე ეხება უკიდურესი დისციპლინური სახდელის გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის დასაბუთებულობამ უნდა მიაღწიოს იმ ხარისხს, რომ ობიექტური დამკვირვებელი

დაარწმუნოს საქმის სხვაგვარად გადაწყვეტის მიზანშეუწონლობაში.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას მასზედ, რომ სახეზეა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ის კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რომლის მიხედვით დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულის მსგავს სამართლებრივ კონსტრუქციას შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ სადღეისოდ მოქმედი კანონის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიც, იმის მიუხედავად, რომ ხსენებული ნორმით დადგენილი დისციპლინური გადაცდომის ტექსტში განხორციელდა გარკვეული რედაქციული ცვლილებები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. (საქმე №33/612-18) გადაწყვეტილების, ისე საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18) განჩინების საერთო შინაარსის მიხედვით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო განესაზღვრა თუ რაში გამოიხატებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ის კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევა, რომელიც საჭიროებდა ავტონომიური ფორმით დასაბუთებას. აღნიშნული თვალსაზრისით, ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მსჯელობა მასზედ, რომ თითქოს რეალურად არ შესრულებულა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები, ხოლო სადავო აქტების გამოცემის მიზნით ჩატარებული წარმოებისას მოპასუხეების მიერ არსებითად იმავე ფაქტებზე და გარემოებებზე იქნა მითითებული, რომელზედაც სააპელაციო პალატამ მსჯელობა არასაკმარისად მიიჩნია. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში, ყოველგვარი არგუმენტაციის ან/და მსჯელობის გარეშე მოხდა ერთმანეთთან შინაარსობრივად დაუკავშირებელი ამონარიდების აკონტექსტური ფორმით ციტირება, ადგილი არ ჰქონია სააპელაციო და საკასაციო სასამართლო აქტების შინაარსის რეალური გაგების ადეკვატურ მცდელობას. მოცემული თვალსაზრისით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18) განჩინებაში ჩამოყალიბებულ მსჯელობაზე მასზედ, რომ მართალია „კ. ლ-ე ცხოველის მოკვლის განზრახვით არ მოქმედებდა, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს კ.

ლ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანების არამართლობიერებას“ (იხ. გვ.5.). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცავს მხოლოდ დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაასაბუთა თუ რა ფორმით განხორციელდა დანესებულების დისკრედიტაცია (დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი) მოსარჩელე კ. ლ-ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომით, რომლის გაზრახ ჩადენის ფაქტი არ დგინდება, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას ზემოაღნიშნული სამართლებრივი დასკვნის განმაპირობებელ ფაქტობრივ-სამართლებრივ არგუმენტაციასთან მიმართებით, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ამგვარ სამართლებრივ დასკვნას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო შესაგებელში დეტალურად იქნა მითითებული ასეთ არგუმენტაციაზე. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არათუ გაქარწყლებულია, არამედ საერთოდ შეფასების გარეშეა დატოვებული მოპასუხის იმ პრეტენზიების საფუძვლიანობა, რომელთაც უშუალოდ ეფუძნებოდა მისი მოთხოვნის წარმატების ბედი (ევროპული სასამართლოს 09.12.1994წ. გადაწყვეტილება საქმეზე Case of Hiro Balani v. Spain, App. No. 18064/91, §28; იხ. აგრეთვე. ევროპული სასამართლოს 24.05.2005წ. გადაწყვეტილება საქმეზე Buzescu v. Romania, Application no. 61302/00, §67.).

დისციპლინური გადაცდომა არის ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დანესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ (31.10.1997წ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ამჟამად მოქმედი კანონის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ს კანონის 73² მუხლი ადგენს მოხელის ქცევის ზოგად წესებს საჯარო სამსახურში, კერძოდ ხსენებული მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად, ხოლო ამავდროულად მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის, მისი დანესებულების ან საჯარო სამსახურის რეპუტაციას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის დაცვის ობიექტია საჯარო დანესებულების ინსტიტუციური რეპუტაცია და საჯარო დანესებულების ავტორიტეტისადმი საზოგადოებრივი ნდობა, ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი ზიანი შესაძლებელია მიადგეს არამხოლოდ განზრახი, არამედ გაუფრთხილებელი მოქმედებითაც. ნორმის

მოქმედების არეალის მხოლოდ განზრახვით ჩადენილი ქმედებებით შემოსაზღვრა არ ემსახურება ნორმის ლეგიტიმური მიზნის დაცვას. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება რეპუტაციული ზიანის მხოლოდ განზრახვით მიყენების შესაძლებლობის შესახებ, ნორმა განიმარტება როგორც ნორმის ტექსტის, ისე ნორმის მიზნის შუქზე, ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მხოლოდ სემანტიკური განზომილება არ ამონუერავს განმარტების ჰერმენევტიკულ არეალს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საჯარო დანესებულების ან/და მოხელის ავტორიტეტის დისკრედიტაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოხელის ქცევა აბსოლუტურად შეუთავსებელია საჯარო დანესებულების სახელმწიფოებრივ-ნორმატიულ ყოფიერებასა და საჯარო დანესებულების რეპუტაციის თანმიმდევრულ ეთიკურ კონცეფციასთან, რომელშიც იგულისხმება საჯარო სამსახურის მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების მთლიანობის იდეა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997 წ. №1022-III კანონის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადღისოდ მოქმედი რედაქციის 85.1 მუხ. „გ“ ქვ.პ.) მსჯელობა ყოველთვის შეფასებითია, იგი სამართლებრივი „პრინციპის“ კატეგორიაა, ზოგადად არ არსებობს რაიმე განცალკევებული „ნესი“ ან „ნორმა“ რომელიც პირდაპირ და დეფინიციურად განსაზღვრავს პირის საქციელი უღირსობას, მის მორალურ ნორმებთან შეუსაბამობას, მხედველობაშია მისაღები თითოეული საქმის ფაქტობრივი მოცემულობა, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელიც საფუძვლად უდევს გამოყენების ღონისძიების თანაზომიერებაზე მსჯელობას. სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანო გარკვეულწილად უკეთეს პოზიციაში იმყოფება საჯარო დანესებულების ან/და მოხელის ავტორიტეტის დისკრედიტაციის ფაქტის შეფასების თვალსაზრისით, ორგანოს მოსაზრებას მართლაც უნდა მიენიჭოს გარკვეული მნიშვნელობა, თუმცა დისკრედიტაციის ფაქტი უნდა არსებობდეს ობიექტურად, იგი ვერ დაეფუძნება მხოლოდ დისკრედიტაციის არსებობის ფაქტთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული ორგანოს აღქმას და წარმოდგენას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დისკრედიტაცია ყოველთვის განპირობებულია მოხელის „უღირსი საქციელით“ (78.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.) რამეთუ საქციელი, რომელიც არ არის უღირსი, ვერც დანესებულების დისკრედიტაციას გამოიწვევს (condition sine qua non (უშუალო მიზეზობრიობა)). ნორმაში მოხსენიებული ტერმინი – „უღირსი საქციელი“ – მიუთითებს საჯარო მოხელის მაღალი სტატუსისათვის შესაფერისად (ღირსეულად) მოქცევის ობიექტურ აუცილებლობაზე. „უღირსი საქციელი“, როგორც ნორმატიული შინაარსის შემცველი ცნება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 85-

ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაზუსტდა და განისაზღვრა როგორც „ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფად ან დარღვევად.“ ეთიკა არის მეცნიერება მორალის შესახებ, მორალი არის ეთიკის დისციპლინის შესწავლის ობიექტი, ინციდენტის დროს კონკრეტული მორალური ნორმების პოზიტივიზაციის შესაძლო არ არსებობის ფაქტს ვერ მიენიჭება პრიორიტეტი, მორალური ნორმის ვალიდურობას უშუალოდ განაპირობებს თავად ნორმის არსებითი სუბსტანცია, მისი იმანენტური მორალური შინაარსი, როგორც სამართლიანობის საკითხი, მორალური ნორმების პოზიტიურ კანონში განერა იურიდიული ფორმით აღიარებს არსებულ ეთიკურ სინამდვილეს, ანუ ჯერარსი ხდება არსი, სამართალსა და მორალს შორის არსებობს ცხადი განსხვავებები, თუმცა მათ შორის ასევე არსებობს აუცილებელი კონცეპტუალური კავშირებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ანტაგონისტურ მოვლენათა რიგს არ განეკუთვნებიან, მათი სხვაობის ჰიპერბოლიზაცია, ერთი მხრივ, იწვევს სამართლებრივ ნიჰილიზმს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს, მართლმსაჯულების, სამართლიანობის ყოველგვარი ზნეობრივი პრინციპებისაგან ათავისუფლებს. ზნეობრივი ნორმა იმიტომ კი არ არის მორალური, რომ იგი კანონშია განერილი, არამედ ზნეობრივი ნორმა კანონში იმიტომ არის განერილი, რომ იგი მორალურია. ამდენად, საქციელი უღირსია, შეუთავსებელია საჯარო მოხელის ღირსეულად მოქცევის ეთიკურ კონცეფციასთან, როდესაც დარღვეული ან/და უგულებელყოფილია ეთიკის ნორმები და ქცევის ზოგადი წესები, აღნიშნული იწვევს საჯარო დაწესებულების რეპუტაციის დისკრედიტაციას. საჯარო დაწესებულების რეპუტაციას შესაძლოა ზიანი მიადგეს არამხოლოდ უშუალოდ სამსახურში, არამედ სამსახურის გარეთ მოხელის ქცევითაც, განსაკუთრებით სწორედ სამსახურის გარეთ მოხელის ქცევამ შეიძლება იქონიოს არსებითი ზეგავლენა საჯარო დაწესებულების რეპუტაციის საზოგადოებრივ ნდობასა თუ აღქმაზე. საჯარო მოხელის უღირსი ქცევა, გარკვეულწილად, ყოველთვის აისახება თავად ამ მოხელის რეპუტაციაზე, ასევე თავად საჯარო დაწესებულების ავტორიტეტის პატივისცემაზე. ამავდროულად, ერთმნიშვნელოვნად ცხადია ისიც, რომ ეთიკური ნორმების, ქცევის წესების ყველა დარღვევა თუ უგულებელყოფა ერთნაირი სიმწვავეით, ინტენსივობითა თუ მასშტაბით ვერ გამოიწვევს საჯარო დაწესებულების რეპუტაციის შელახვას. ზოგიერთი ქცევა თავისი მასშტაბით, შესაძლოა არაეთიკური, თუმცა იმდენად მცირე მნიშვნელობის იყოს, რომ საერთოდ ვერ შეფასდეს დისკრედიტაციად, ზოგი შესაძლოა შეფასდეს დისკრედიტაციად, თუმცა არა იმ მასშტაბის მქონედ, რომ სამსახურიდან გათავისუფლებისათვის საკმარის საფუძვლად ჩაითვალოს, ხოლო ზოგი შესაძლოა შეფასდეს საჯარო სამსახურის რეპუტაციის იმ

მასშტაბით დისკრედიტაციად, რომ სამსახურიდან გათავისუფლების ღონისძიების გარდა, სხვა ღონისძიების გამოყენება შეუთავსებელი იყოს საჯარო დაწესებულების მიმართ საზოგადოებრივ ნდობასთან. ამდენად, თითოეული ქცევა, რომელიც წარმოადგენს ეთიკური ნორმებისა თუ ქცევის ზოგადი წესების სავარაუდო დარღვევას, უნდა შეფასდეს თავისი ბუნების, შექმნილი საფრთხის, დამდგარი შედეგის, შედეგის გამოსწორების შესაძლებლობის ან მისი შემცირების მიზნით განხორციელებული ძალისხმევის, აგრეთვე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე და უშუალო კონტექსტით განპირობებული ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-IX კანონის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაზღვრების აბსტრაქციის მაღალი ხარისხი დაუშვებელია იქცეს ადმინისტრაციული ორგანოს თვითნებობის წყაროდ, დისკრეციული უფლებამოსილების მართლზომიერად განხორციელებასა და თანაზომიერების პრინციპის დაცულობას სამართლებრივი იმპერატივის ძალა აქვს, მით უფრო მაშინ, როდესაც მორალური ნორმების, ქცევის ზოგადი წესების დარღვევა და უგულებელყოფა, სხვაგვარად, საჯარო მოხელის უღირსი საქციელი, ხდება საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს 27.10.2016წ. მომხდარი ინციდენტის დროს მოსარჩელის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-IX კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაუცველობა. სსკ-ის 266-ე მუხლისა და სკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეიუდიციულია ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ მოსარჩელის ქმედებაში არ იკვეთება პირდაპირი განზრახვა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. (საქმე №33/612-18) გადაწყვეტილება, გვ. 16-17; საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18) გვ.4-5.). მოცემული თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის ქმედებაში პირდაპირი განზრახვის არსებობას შესაძლოა გამოეწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ცხოველის ნამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა) ჩადენისათვის პასუხისმგებლობა, საქმის მასალებში დაცულია ცნობები აღნიშნულ ინციდენტთან მიმართებით საგამოძიებო ორგანოების ინფორმირების თაობაზე. ხსენებული ნორმის დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი ზნეობა, ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ცხოველებისადმი ზნეობრივი მოპყრობის ნორმების დაცვას, დანაშაული შეიძლება განხორციელდეს როგორც

შინაური, ისე გარეული ცხოველების მიმართ, ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობად ითვლება მათი ცემა, ჭრილობებისა და სხვადასხვა ფორმით ზიანის მიყენება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რელიგანტური გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ის კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით, რომელიც უკავშირდება დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას, არამედ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ის კანონის 103-ე მუხლის („მოხელე თავისუფლდება სამსახურიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლის თანახმადაც მას შეეფარდა სასჯელი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, ან სასჯელი, რომელიც გამორიცხავს სამსახურის გაგრძელებას. მოხელე თავისუფლდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან მეორე დღეს“) სამართლებრივი საფუძვლით, რაც ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ავტონომიურ საფუძველს. ამავდროულად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი თვითცხადს ხდის აღნიშნულ სამართლებრივ დასკვნას, ნორმის თანახმად, სასამართლოს მიერ შესაბამისი გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესაძლებლობას. ამდენად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია საკასაციო შესაგებლის ავტორის მოსაზრება მასზე, რომ მოსარჩელის ქმედებაში განზრახვის არარსებობა ავტომატურად გამორიცხავს პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებას. კ. ლ-ის ქმედებაში განზრახვის არსებობა გამოიწვევდა მოსარჩელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, ეს უკანასკნელი წარმოშობდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ავტონომიურ საფუძველს. კ. ლ-ის ქმედებაში პირდაპირი განზრახვის არ არსებობის ფაქტის დადგენით ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოეშვა ვალდებულება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ხელახლა შეეფასებინა კ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების უკიდურესი ზომის გამოყენების მიზანშეწონილობა. ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი თეზისი, კერძოდ, ის რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხავდა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, არის ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლის გამოც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18))

განჩინებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „მართალია კ. ლ-ე ცხოველის მოკვლის განზრახვით არ მოქმედებდა, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს კ. ლ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანების არამართლობიერებას“ (იხ. გვ.5.). საქართველოს უზენაესი სასამართლოს ხსენებული განჩინებით მოხდა ერთგვარი სამართლებრივი ჰიპოთეზის პრეზუმირება, რომ მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ქრილში, სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება არ დაიყვანება მხოლოდ განზრახვით ჩადენილ მოქმედებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. (საქმე №33/612-18) გადაწყვეტილებით განისაზღვრა კ. ლ-ის ქმედებაში „უხეში გადაცდომის“ არსებობა (გვ. 19), პირის ბრალი, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი, შეიძლება გამოიხატოს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, ამრიგად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მიერ ძალის სიკვდილი გამოწვეულია უხეში გაუფრთხილებლობით (გვ. 16), რაც წარმოადგენს არა მსუბუქ, არამედ მძიმე, უხეშ გადაცდომას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უხეში გაუფრთხილებლობა ეკლექტური იურიდიული ბუნების მქონეა, მოსარჩელეს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმებით აკრძალული ქმედება, თუმცაღა, არ გაითვალისწინა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, რომლის გათვალისწინებაც მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. დავას არ იწვევს ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ მოსარჩელეს 01.12.2016წ. №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაეკისრა, შეეფარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემდეგი სამოტივაციო ნაწილით: „დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, იმოძრავა ქვეითთა ბილიკზე, დააზიანა სხვისი ქონება, რის შემდეგაც დატოვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი.“ ხსენებული ოქმის მიხედვით კ. ლ-ეს სახდელი დაედო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 123-ე მუხლის 1-ლი და 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის, რომელიც მხარის მიერ სადავო არ გამხდარა და ძალაშია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამსახურებრივი ავტომობილით სკვერის გადაკვეთა, არათუ წინდახედულობის ნორმებით აკრძალული ქმედების გაცნობიერებული ჩადენაა, არამედ საგზაო მოძრაობის წესების განზრახ დარღვევას უთანაბრდება. კერძოდ, მოსარჩელე მოძრაობს იმ ადგილზე სადაც დაუშვებელია ავტომანქანებით გადაადგილება. წინდახედულობის ნორმათა დარღვევა საზოგადოებაში ზოგადად დამკვიდრებული ქცევის წესების დარღვევაა, ხოლო კანონის დარღვევა მართლწესრიგის ნორმების ხელყოფაა. მოსარჩელემ დაარღვია კანონის იმპერატიული მოთხოვნა. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ

მოსარჩელემ გადაკვეთა სკვერი, რომელიც აღნიშნული ცნების ლეგალური დეფინიციის გათვალისწინებით, არის „დასასვენებელი/გასართობი მიზნებისთვის განკუთვნილი საერთო სარგებლობის ბაღი“ (იხ., ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.10.2018წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-4 მუხლის 67-ე პუნქტი (ძალადაკარგულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31.07.2019წ. №114 დადგენილებით)). პრეზუმირებულია, რომ სკვერი შესაძლებელია იყოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, უპირატესად გასართობი, დასასვენებელი ან/და სარეკრეაციო მიზნებისთვის, მათ შორის, არასრულწლოვნებისთვისაც. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზოგადად ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, ადამიანის მიერ მისი გამოყენების შემთხვევაში სრული და გარანტირებული კონტროლის განხორციელება შეუძლებელია და ექსპლუატაციისას ადამიანისა თუ ნივთისადმი რაიმე სახის ზიანის მიყენების გარკვეული შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს (იხ. სუსგ., №ბს-1388(კ-22), 22.06.2023წ.). საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ ავტომანქანით საგზაო მოძრაობის წესების განზრახ უხეში დარღვევით გადაკვეთა სკვერი და მოძრაობა დაიწყო ქვეითთა სასიარულო ბილიკზე. აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხსენებული არ იყო მხოლოდ „საგზაო მოძრაობის წესების“ ფორმალური დარღვევა, არამედ, წარმოადგენდა კანონის ისეთ დარღვევას, რომელიც თავისი არსებითი შინაარსით ასევე წარმოადგენს სოციალურად დასაძრახ და გასაკიცხ ქმედებას. მოსარჩელემ უგულვებლყო მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლის თვალში მოსარჩელეს შეეძლო და ევალებოდა კიდევ ამ ნორმათა დაცვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის უხეში გაუფრთხილებლობა შინაარსობრივად გამოიხატა იმაში, რომ მოსარჩელემ ვერ შენიშნა სკვერში სტატიკურ მდგომარეობაში მყოფი, მძინარე ძაღლი, იმ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ, მოსარჩელე გადაადგილდებოდა მაღალი გამავლობის მანქანით, ნელი სვლით, ხოლო მეორე მხრივ, შავ-თეთრი, არა მუქი შეფერილობის მქონე ძაღლი იწვა იმ მანძილზე და იმყოფებოდა იმ რადიუსში, საიდანაც მოსარჩელე წინდახედულობის ელემენტარული ნორმების დაცვის შემთხვევაში, აუცილებლად შეამჩნევდა ცხოველს, რომ არა მოსარჩელის დაუდევრობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-III კანონის 73² მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის, მისი დაწესებულების ან საჯარო სამსახურის რეპუტაციას

(ამჟამად მოქმედი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მე-13² მუხლის მე-6 პუნქტი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქმედებათა აღნიშნულმა ჯაჭვმა გამოიწვია ძალის დაზიანება, ხოლო შემდგომ მისი სიკვდილი, ძალის სიკვდილი არის არა განზრახვით, არამედ უხეში გაუფრთხილებლობით დეტერმინირებული ქმედების უშუალო შედეგი. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის ქმედება უშუალოდ არ იყო საჯარო დანესებულების დისკრედიტაციისა კენ მიმართული, თუმცა ამ უკანასკნელმა შედეგობრივად გამოიწვია საჯარო დანესებულების რეპუტაციის დისკრედიტაციის გარდაუვალი ეფექტი და იქონია მასზე ნეგატიური ზეგავლენა არა ირიბი, არამედ უშუალოდ პირდაპირი ფორმით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18) განჩინების მიხედვით, მოსარჩელემ სამსახურებრივი ავტომობილით გადაკვეთა სკვერი, აღნიშნულის თვითმხილველიც იყო არაერთი პირი (მათ შორის არასრულწლოვნები), რომელთა მიერ მანქანაზე განთავსებული საცნობი ნიშნის გამო სატრანსპორტო საშუალება აღიქმებოდა სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ავტომანქანად. კ. ლ-ე შეგნებულად გადაადგილდა ქვეითად მოსიარულე პირთათვის განკუთვნილ ადგილას დეპარტამენტის ამოსაცნობი ნიშნების მქონე პიკაპის ტიპის ავტომანქანით, ავტომანქანის გადაადგილება მოხდა იმ ადგილას სადაც ნებისმიერი ტიპის ავტომანქანით გადაადგილება აკრძალული იყო. ხსენებული ქმნიდა მომეტებულ საფრთხეს იქმყოფი პირებისთვის. აღნიშნულისა და კ. ლ-ეის გაუფრთხილებლობის გამო, სამსახურებრივ მანქანაში ზეთის შეცვლის საჭიროების და სხვა სამსახურებრივი საქმეების შესრულების საჭიროებაზე მოსარჩელის მითითება არ აღწევს უკიდურესი აუცილებლობით დარღვევის ჩადენის ხარისხს.

ამდენად, სამსახურებრივი მანქანით სარგებლობის პერიოდში ადგილი ჰქონდა დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართულ საჯარო მოხელისათვის შეუფერებელ, უღირს საქციელს, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება მძღოლისა და სამსახურის მიმართ. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ინციდენტის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევას (78.1 მუხ. „გ“ ქვ.პ., ამჟამად მოქმედი კანონის 85.1 მუხ. „გ“ ქვ.პ.), „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-1ს კანონის 73² მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საჯარო მოსამსახურემ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე (ამჟამად მოქმედი კანონის 77.3 მუხ., აგრეთვე, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის 131.4 მუხ. და 132 მუხ.), ქცევის ზოგადი წესების შესაბამისად. საჯარო

მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება, საჯარო მოსამსახურემ თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის, მისი დაწესებულების ან საჯარო სამსახურის რეპუტაციას. ინციდენტის უმნიშვნელო გადაცდომად მიჩნევის შესაძლებლობას არ იძლევა აგრეთვე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას, ხოლო ამავე კანონის 98-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის 85-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი მოხელის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულვებელყოფას ან დარღვევას, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულების რეპუტაციის შელახვასთან მიმართებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ, ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრებას ვერ მიენიჭება წინასწარ დადგენილი იურიდიული ძალა (სსკ-ის 105.1 მუხ.), აღნიშნული მხოლოდ მოსაზრებაა და თვითმყოფადი სახით არაა საკმარისი რეპუტაციის შელახვის ფაქტის დასადგენად, რეპუტაციის შელახვის ფაქტი უნდა დადასტურდეს ობიექტური, დემონსტრირებადი ფორმით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოკითხა თვითმხილველები, შეისწავლა ავტომობილის რეკისტრატორის ვიდეოჩანანერები და სხვა მტკიცებულებები, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ორგანომ დასაბუთებულად ჩათვალა მოსარჩელის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების უკიდურესი („ultima ratio“) ღონისძიების გამოყენება და სხვა ნაკლებად მზლუდავი ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა, იმ პირობებშიც კი როდესაც მოსარჩელეს არ უფიქსირდება სხვა დისციპლინური გადაცდომა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მოსაზრება, საჯარო დაწესებულების რეპუტაციის შელახვის ფაქტი არსებობს ობიექტურად. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებულ ქმედებათა ჯაჭვი, არა იზოლირებულად, არამედ ერთობლიობაში, აფუძნებს საჯარო მოხელის სტატუსისათვის შეუფერებელ ქცევას.

განსახილველ შემთხვევაში უტყუარად დგინდება შემდეგი ფაქტები: ა) საგზაო-მოძრაობის წესების განზრახ დარღვევა; ბ) ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილ სკვერში (ქვეითთა ბილიკზე) შესვლა; გ) ძაღლის უხეში გაუფრთხილებლობით დაზიანება, რამაც შემდგომში გამოიწვია ძაღლის სიკვდილი და დ) შემთხვევის ადგილის დატოვება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განზრახ თუ უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების შედეგად ძაღლის სიკვდილის დადგომა იწვევს საზოგადოებრივ მღელვარებას და აღშფოთებას. ძაღლი შინაური ცხოველია, ცხოველი შინაურია როდესაც ცხოველთა გარკვეული სახეობის გენეტიკური, მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ქცევითი თვისებები ადამიანის მიერ განხორციელებული ხელოვნური სელექციისა და მართვის შედეგად არის ევოლუციურად გარდაქმნილი ცხოველთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, მათი ქცევითი ადაპტაცია წარმოშობს ადამიანთან თანაცხოვრებისათვის უსაფრთხო მოდელს, საერთო ჯამში, შინაური ცხოველის კეთილდღეობა უკავშირდება ადამიანის ზემოქმედების ფორმებს, იგი ბიოლოგიური ერთეულია, რომელიც ინტეგრირებულია ადამიანთა საზოგადოების სოციალურ სისტემაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ძაღლი შინაურ ცხოველებში შემავალი გამორჩეული ბიოლოგიური ერთეულია, მზარდა სამეცნიერო კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ ძაღლი ცნობიერების გარკვეული ფორმებისა და ელემენტების მქონე არსებაა (ე.წ. „გრძნობადი არსება“ – „sentient being“), რაც ნიშნავს იმას, რომ ამ შინაურ ცხოველს (ლათინ. *Canis familiaris*) შეუძლია გაცნობიერებულად განიცადოს სიხარული, სიამოვნება, მყარი სოციალური კავშირი, აგრეთვე ტკივილი, შიში და სხვა ტანჯვა, გარკვეულწილად აღიქვას როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური განცდები. აღნიშნული პრინციპი გამოხატულია „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონში, რომელიც მიზნად ისახავს შინაური ბინადარი ცხოველის დაცვა არასათანადო და სასტიკი მოპყრობისგან (1.2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.). ძაღლი ექსპლიციტურად, სახელდებით არის მოხსენიებული როგორც შინაური ცხოველი, ხოლო ცხოველის კეთილდღეობა, განმარტებულია მათ შორის როგორც მისი დაცვა ტკივილისა და ტანჯვის მიყენებისგან (კანონის 3. მუხ. „ა“, „თ“ ქვ.პ.). დაუშვებელია ცხოველისადმი არასათანადო ან სასტიკი მოპყრობა ან ასეთი ქმედების ხელშეწყობა, მათ შორის ცხოველისთვის ჭრილობის მიყენება, მისი დასახიჩრება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანება (მათ შორის, ავტოსაგზაო შემთხვევისას), რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელობისთვის (კანონის 19.1 მუხ. „ვ“ ქვ.პ.). ხსენებული კანონი სადღესოდ არაა ძალაში შესული, შესაბამისად, საკასაციო პალატა მოცემული დავის გადასაწყვეტად არ იყენებს ამ კანონს მისი ძალაში არ ყოფნის გამო, ამავდროულად, საკასაციო პალატა მიუ-

თითებს იმაზეც, რომ მართალია კანონი სადღეისოდ არაა ძალაში შესული, თუმცა კანონის რეგულირების ობიექტი ყოველთვის ირეკლავს ცნობიერებისა და მართლშეგნების იმ საფეხურს, რომელზეც საზოგადოება იმყოფება, კანონი სოციოლოგიური თვალსაზრისით, საზოგადოების სოციალურ-კულტურული განვითარების პროდუქტია, ხოლო „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონის ლეგიტიმური მიზნები სრულად ესადაგება საკასაციო პალატის ზემოაღნიშნულ ინტერპრეტაციულ დაშვებებს. დამატებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს 13.11.1987წ. „შინაური ცხოველების დაცვის“ ევროპულ კონვენციაზე (ETS No. 125), რომელიც ძალაში შევიდა 01.05.1992წ.. მართალია აღნიშნული კონვენცია არ არის რატიფიცირებული საქართველოს მიერ, თუმცა საკასაციო პალატა მას მოიხმობს როგორც „რბილი სამართლის“ (ე.წ. „soft law“) ინტერპრეტაციულ ინსტრუმენტს. აღნიშნული კონვენციის პრეამბულა *inter alia* ეფუძნება ორ მნიშვნელოვან თეზისს, კერძოდ: ა) „ადამიანს აქვს მორალური ვალდებულება პატივი სცეს ყველა ცოცხალ არსებას, შინაურ ცხოველებს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ ადამიანთან“ და ბ) აღიარებულია „შინაური ცხოველების მნიშვნელობა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, აგრეთვე, მათი შესაბამისი ღირებულება საზოგადოებისთვის.“ კონვენციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შინაური ცხოველი არის ნებისმიერი ცხოველი, რომელსაც ადამიანი ფლობს ან მიზნად ისახავს, რომ ჰყავდეს, კერძოდ, საკუთარ სახლში პირადი გამოყენების ან თანამგზავრობის მიზნებისთვის. აგრეთვე, კონვენციის მე-3 მუხლი აყალიბებს შინაური ცხოველების კეთილდღეობის სახელმძღვანელო პრინციპებს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „არავის აქვს უფლება შინაურ ცხოველს მიაყენოს არააუცილებელი ტკივილი, ტანჯვა ან ზიანი.“ შესაბამისად, საკასაციო პალატა ნორმატიულ პრეზუმფციად მიიჩნევს, რომ ძალის საზოგადოებრივ ცნობიერებაში აღიქმება ადამიანთან დაკავშირებულ არსებად, ხოლო ადამიანის მიერ დაზიანების შედეგად ძალის სიკვდილის დადგომა წარმოშობს უარყოფით საზოგადოებრივ ემოციებს.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში ძალის დაზიანებას, ამის შედეგად მის სიკვდილს მწვავე საზოგადოებრივი რეაქცია მოჰყვა არამხოლოდ იმის გამო, რომ ერთი მხრივ, ადგილი ჰქონდა ძალის სიკვდილს, ხოლო – მეორე მხრივ, ძალის სიკვდილი დადგა საჯარო მოხელის მოქმედებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მწვავე საზოგადოებრივი რეაქციის წყაროს წარმოადგენდა უშუალოდ ფაქტი იმისა, რომ ინციდენტის დროს მოსარჩელე გადააგილდებოდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საცნობი ნიშნით აღჭურვილი ავტომობილით, რომელიც ცხადია იდენტიფიცირდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს ავტომანქანად. აღნიშნული თვალსაზრისით, საკასაციო

პალატა მიუთითებს საქმეში დაცულ ვიდეოჩანანერებზე, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად იკვეთება საზოგადოების უარყოფითი რეაქცია, კომენტარი, შეძახილები თუ დამოკიდებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელე მწვავე საზოგადოებრივ კრიტიკას დაექვემდებარა არა როგორც ფიზიკური პირი ან/და რიგითი საჯარო მოხელე, არამედ, როგორც გარემოს დაცვის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელსაც სხვებისაგან განსხვავებით, გარემოს დაცვის ვალდებულება განსაკუთრებით მაღალი ხარისხით წარმოეშობა. კ. ლ-ის ქმედებამ გამოიწვია მღელვარება არამოხლოდ თვითმხილველთა, არამედ აგრეთვე იმ მოქალაქეებს შორის, ვინც ნახა ვიდეოკადრები ინტერნეტსივრცეში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების, მოვალეობებისა თუ ამოცანების საზოგადოებრივი აღქმა, შინაური ცხოველების, მათ შორის ძაღლების დაცვისა და გარემოს დაცვას შორის ურთიერთკავშირის სოციუმში დამკვიდრებული რწმენა-წარმოდგენები. ზოგადი წესის თანახმად, გარემოს დაცვის პრიმატი მოითხოვს ცხოველების, მათ შორის შინაური ცხოველების დაცვასაც, „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გარემო ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს (მათ შორის) ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ ელემენტებს. ამავდროულად, ალოგიკურია მოლოდინი იმისა, რომ საზოგადოება დეტალურად არის ინფორმირებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და თვითმმართველობის ორგანოთა განსხვავებული სამოქმედო არეალის, აღნიშნულიდან გამომდინარე კი, მათი განსხვავებული ამოცანების და ამ თვალსაზრისით, მათ შორის უფლებამოსილებათა ფორმალური გამიჯვნის შესახებ. საბოლოოდ, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ შემთხვევის ადგილის ყოველგვარი რეაგირების, დაზიანებული ცხოველისათვის დახმარების აღმოჩენის გარეშე მიტოვება ვერ მიიჩნევა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში დასაქმებული საჯარო მოხელისათვის დასაშვებ საზოგადოებრივ ქცევადა.

დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმის მხედველობაში მიღებით, მოსარჩელე ვალდებული იყო განეხორციელებინა ყველა გონივრული ზომა დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის შემცირების მიზნით. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა მოსარჩელისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გა-

მოთქმულ უარყოფით შეცხილებსა თუ კომენტარებში თვალნათლივ იკვეთებოდა საზოგადოების მონოდება კ. ლ-ეის მიმართ დახმარება აღმოეჩინა დაზიანებული ცხოველისათვის. აღნიშნული პირდაპირ გამოორიცხავს მოსარჩელის მტკიცებას, რომ იგი შემთხვევის ადგილს სწორედ ვითარების დამატებითი ესკალაციის პრევენციის მიზნით გაერიდა, საზოგადოება მას მოუწოდებდა დახმარებისაკენ და არა შემთხვევის ადგილის დატოვებისაკენ. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება დამდგარი შედეგის გამოსწორების მცდელობის შესახებ, საკასაციო პალატა იზიარებს დეპარტამენტის და სამინისტროს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ლ-ეის მიერ არ იქნა განხორციელებული არანაირი ქმედება ძალის გადასარჩენად, პირიქით მან დატოვა შემთხვევის ადგილი, მიატოვა განსაცდელში მყოფი უმწეო ცხოველი. საჯარო მოსამსახურე უნდა ცდილობდეს იყოს სამაგალითო საზოგადოებისათვის, საჯარო მოსამსახურე უნდა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს რთულ და სტრესულ სიტუაციებში („საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ მე-19 მუხ. მე-2 პუნქტი, მე-12 მუხ. მე-5 პუნქტი). ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შემთხვევის ადგილზე დამდგარი უკვე მძიმე შედეგის გათვალისწინებით, მოსარჩელის მცდელობა სავარაუდოდ ფუჭი აღმოჩნდებოდა, ვინაიდან ძალის საზოგადოების წევრების მიერ გადაყვანილი იქნა ვეტერინართან, რომელმაც დაადასტურა მისი სიკვდილი, თუმცა, ეს უკანასკნელი მოსარჩელეს არ ათავისუფლებდა მორალური მოვალეობების დაცვისაგან – მაქსიმალური ძალისხმევა გამოეჩინა მისი დაუდევრობით დაზარალებული ცხოველისათვის დახმარების აღმოსაჩენად. შემთხვევის ადგილის მიტოვებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მოსარჩელის როგორც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში დასაქმებული საჯარო მოხელის რეპუტაციის საზოგადოებრივ აღქმაზე, ხოლო აღნიშნულის შედეგად – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეპუტაციაზე. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებებს დამდგარი შედეგის შემცირების მიზნით მოსარჩელის მიერ განხორციელებული ზომების ადეკვატურობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მართალია, დაზიანებული ძალის ხმაზე მოსარჩელის ავტომობილი ანელებს სვლას, აჩერებს მანქანას, მოძრაობს უკანა სვლით და ჩერდება, ხოლო მოძრაობისას ხდება დამსწრეთა მითითებების გათვალისწინება, თუმცა ეს უკანასკნელი მოსარჩელის პირდაპირ განზრახვას უფრო გამოორიცხავს და მაინცდამაინც არ მითითებს მოსარჩელის აქტიურ ჩართულობაზე დამდგარი შედეგის შესამცირებლად. დამსწრე საზოგადოებასთან დაძაბულობის თავიდან აცილება, სიტუაციის განმუხტვა, შესაძლებელი იყო დაზიანებული ცხოველის მანქანაში მოთავსებით და ვეტერინარულ დაწესებულებაში

ტრანსპორტირებით. ავტომანქანაზე დამაგრებული ვიდეორეგისტრატორის მეშვეობით აღბეჭდილ კადრებზე გარკვევით ჩანს მოძრაობის ნესების დარღვევა, მძინარე ძაღლი, რომელსაც სკვერში გადაუვლის მანქანა უკანა საბურავებით, სკვერში მყოფი მოსახლეობის შეძახილებზე და ძაღლის ყმუილზე კ. ლ-ის მიერ მანქანის გაჩერება, მანქანიდან გაუსველად მძღოლი უკან სვლას იწყებს, რის შედეგადაც ისმის ძაღლის გაძლიერებული ყმუილი. მანქანიდან გამოსვლის შემდეგ კ. ლ-ე საუბრობს ტელეფონზე, არ უნევს დახმარებას მანქანის ქვეშ მყოფ დაზიანებულ ძაღლს კ. ლ-ე ჯდება მანქანაში, მანქანის ქვეშ მოყოლილი ძაღლი გამოვიდა ტროტუარზე, მას უჭირს წონასწორობის შენარჩუნება, მიღებული დაზიანების გამო ერთი ფეხი მაღლა აქვს აწეული. ადგილზე მყოფ ერთ-ერთ პიროვნებას ძაღლი გადაჰყავს ტროტუარზე, ამის შემდეგ კ. ლ-ე ძრავს მანქანას და ტოვებს ტერიტორიას. საკასაციო პალატა იზიარებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სადავო 06.05.2020წ. ბრძანების დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ კ. ლ-ემ განზრახ დაარღვია საგზაო მოძრაობის ნესები, რამაც გამოიწვია ცხოველის დაზიანება, შემდგომში უმწეო მდგომარეობაში მისი მიტოვება, კ. ლ-ეს არც შემდგომში მოუკითხავს ძაღლის მდგომარეობა, კ. ლ-ის მიერ ადგილზე არ განხორციელებულა დაზარალებული ცხოველისათვის დახმარების გასანევი რაიმე ქმედება. კ. ლ-ის საქციელმა აღაშფოთა თვითმხილველი მოსახლეობა, მათ შორის არასრულწლოვნებიც. თავად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელემ მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში დაუყოვნებლივ ჩააყენა სამსახურის ხელმძღვანელი პირები მიუთითებს მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე და არა ძაღლის დახმარების მიზნით განხორციელებულ რაიმე მოქმედებაზე. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ ტელეფონზე საუბრისას მოსარჩელემ აღნიშნა შემდეგი: „ძაღლი იწვა ძირს, ფეხზე გადაუარე და ატყდა ერთი ვაი-ვიში“. აღნიშნული რეპლიკის ფონზე, არადაამაჯერებელია მოსარჩელის წერილობით ახსნა-განმარტებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ იგი ინანიებს ჩადენილს, ხოლო ცხოველის დაზიანების ფაქტის გაცნობიერების შემდეგ, მას ფსიქოლოგიური სტრესი მიადგა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვიდეოჩანანერის შინაარსის ანალიზით, მოსარჩელე არ იმყოფებოდა აფექტის ან/და სხვა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ამდენად, ხსენებული რეპლიკა ნათლად მიუთითებს ემპათიისა და პასუხისმგებლობის შეგრძნების ნაკლებობაზე, ცხოველის (ძაღლის) დაზიანებით გამონევეული შედეგის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გაუთვითცნობიერებლობაზე. სამართლებრივ შეფასებას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ უფიქსირდება სხვა დისციპლინური სახდელის არსებობა, ქცევის წე-

სების დარღვევებზე პროპორციული რეაგირების აუცილებლობას არ გამორიცხავს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ნორმატიულ ფაქტორზე (დისციპლინური სახდელის არქონა) მითითება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ის კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებდა მოხელის გათავისუფლების შესაძლებლობას სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევის შემთხვევაში მაშინაც კი თუ მის მიმართ არ იყო გატარებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა, თუმცა აღნიშნული ნორმა არ უნდა იყოს იმგვარად გაგებული, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევა შეიძლება გახდეს ასეთი პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-ის კანონის 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულია გენერალური დათქმა მასზე, რომ მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის, შესაბამისად, ის გარემოება, რომ პირის მიმართ არ ყოფილა შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამსახურიდან ვერ გათავისუფლდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების უხეში დარღვევისთვის.

სამსახურიდან გათავისუფლების, როგორც დისციპლინური ზომის გამოყენების უფლება ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. დისკრეციული სფეროს არსებობას უამრავი ფაქტორები განაპირობებენ, კანონი სრულად ვერ მოაწესრიგებს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომლებიც განსხვავდებიან ფაქტობრივი შემადგენლობით, სამართლებრივი რეგულირების ფორმით და მეთოდებით, ამიტომ ყველა დაწესებულება უფლებამოსილია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს და აირჩიოს სამართლებრივი შედეგი ჩადენილი დარღვევისათვის. დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ნონასწორობის დაცვის აუცილებლობას (სზაკ-ის მე-6 და მე-7 მუხ.), ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტების ძირითად არსს და აღნიშნავს, რომ საჯარო დაწესებულების რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური მიზანი, მოცემულ შემთხვევაში, ამართლებს ამ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, სამსახურიდან გათავისუფლების („ultima ratio“) ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. საჯარო ინტერესს შეიძლება მიენიჭოს აბსოლუტური პრიორიტეტი, ვინაიდან შემხვედრი არგუმენტი იმდენად სუსტია, რომ კერძო ინტერესის დაცვა სრულიად აზრს მოკლებულია. საჯარო დაწესებულების რეპუტაცია ვერ აღდგება მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში,

საზოგადოებას ყოველთვის გაუჩნდება ლეგიტიმური ეჭვები, დასაბუთებული განცდები, გარკვეული შეკითხვები და ნუხილი მოსარჩელის სამსახურში აღდგენის თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, იმ მიზნებისა თუ ფუნქციების შუქზე, რომელსაც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო განასახიერებს საზოგადოების თვალში. საკასაციო პალატა თვლის, რომ დისციპლინური გადაცდომის შედეგად სახეზეა საჯარო მოხელესა და საჯარო დაწესებულებას შორის ორმხრივი ნდობის ბაზისის იმ მასშტაბით რღვევა, რომ მხარეთა სამსახურებრივი ურთიერთობის მოშლა, რომლის სამართლებრივი შედეგიც არის პირის გათავისუფლება, დასაბუთებულია და ამდენად, სარგებლობს პრიორიტეტით ასეთი ურთიერთობის შენარჩუნებასთან მიმართებით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის ზომა ყოველთვის შეიცავს დასჯის გარდაუვალ ელემენტს, თუმცა, აღნიშნული ზომა მხოლოდ სადამსჯელო ბუნების მატარებელი როდია, პასუხისმგებლობის ზომისათვის იმანენტურია ჰუმანურობის ელემენტი, ჰუმანურობა პირს უღვივებს პასუხისმგებლობის შეგრძნებას, ამდენად, როდესაც პასუხისმგებლობის სხვა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენება არ გამოორიცხავს საჯარო ინტერესის დაცვას, ჰუმანურობის ელემენტი მოითხოვს უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენებას. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ადმინისტრაციული ორგანოსა და მოსარჩელის მოსაზრებებს, საქმის გარემოებებს, სხვა ისეთი სანქციის შერჩევის ობიექტურ შესაძლებლობას, რომელიც დაიცავდა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას, ხოლო პირს შეუნარჩუნებდა სამუშაო ადგილს და თვლის, რომ ყოველივე აღნიშნული, ერთობლიობაში, იწვევს კ. ლ-ეის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნორმატიული ფაქტორების სისტემური ერთობლიობა, მათი მთლიანობა აყალიბებს სამართლებრივ შედეგს, სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ნორმატიული ფაქტორები არა ეკვივალენტური, არამედ განსხვავებული ნორმატიული დატვირთვით, მასშტაბით, ინტენსივობითა თუ წონით ინტეგრირდება საბოლოო ნორმატიული შეფასების დამაგვირგვინებელ სამოსამართლეო განსჯაში, თუმცა საბოლოო შედეგს ქმნის მხოლოდ ყველა ნორმატიული ფაქტორის ერთობლიობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო პალატა იზიარებს საკასაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებათა ძირითად მიზანს, რაც ობიექტურად ამართლებს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების არსს.

ამავდროულად, საფუძველს არის მოკლებული ასევე სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება მასზედ, რომ თითქოს სააპელაციო პალატის 18.06.2018წ. გადაწყვეტილების შინაარსი გამოორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იგი-

ვე გადაწყვეტილებების მიღებას, მით უფრო, რომ საკასაციო სასამართლოს განჩინებაში პირდაპირ არის აღნიშნული განმეორებითი წარმოების შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე. სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი უქმდება დავის გადაწყვეტლად, გამოსაცემი აქტის შინაარსი დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებით საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგებზე. სასამართლო გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოსთვის კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება ხდება სასკ-ის 33-ე მუხლის და არა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. (საქმე №33/612-18)) გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18) განჩინების საერთო შინაარსის თანახმად, არ იქნა გაზიარებული მოსაზრება პირდაპირი განზრახვით ცხოველის დაზიანების, რამდენჯერმე მანქანით გადავლის შესახებ, ხელმეორე წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოეკვლია საქმის გარემოებები, სამსახურიდან გათავისუფლების უკიდურესი („ultima ratio“) ღონისძიების გამოყენების თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისობა, პირდაპირი განზრახვის გარეშე კ. ლ-ეის მიერ უხეში გადაცდომის ჩადენის პირობებში გამოკვლევას საჭიროებდა აღნიშნული დარღვევის მასშტაბის ისეთი მძიმე კატეგორიისადმი კუთვნილება, რომელიც გამორიცხავდა მსუბუქი სახდელის გამოყენებას, რაც არ უარყოფდა ხელახალი წარმოების შედეგად იგივე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული თეზისი წარმოადგენს ორივე ზემოაღნიშნული სასამართლო აქტის მთავარ სათქმელს („ratio decidendi“), სასკ-ის 32.4. მუხლის გამოყენება ეფუძნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელ მოსაზრებას მოსარჩელის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების პირდაპირი განზრახვით ჩადენასთან დაკავშირებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. (საქმე №33/612-18) გადაწყვეტილებით და საკასაციო სასამართლოს 29.11.2019წ. (საქმე №ბს-948(2კ-18) განჩინებით დასაბუთდა ზემოაღნიშნული მოსაზრების მცდარობა, გადაცდომის პირდაპირი განზრახვით ჩადენის დაუსაბუთებლობა. საკასაციო პალატა მიუთი-

თებს, რომ პრეიუდიციულია ის ფაქტები და ახალ სამართალწარმოებაში სადავო ვერ გახდება ის სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც არსობრივად ამართლებს სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების, დადგენილების) სარეზოლუციო ნაწილს, ანუ ისინი, ურომლისოდაც სარეზოლუციო ნაწილი ვერ ჩამოყალიბდებოდა იმ სამართლებრივი შინაარსით, რომლითაც იგი ჩამოყალიბდა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 266-ე მუხლის, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის და 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის სისტემური შინაარსით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები „პრეიუდიციული“ მნიშვნელობით აღიჭურვება როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეებში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები განასახიერებს სამართლის პრინციპს – „დავა გადაწყვეტილია“ („res iudicata“), უფლებები, ურთიერთობები, ვალდებულებები და ამრიგად, ის ფაქტები, რომლებიც მათ წარმოშობას უდევს საფუძვლად, არ შეიძლება მუდმივად დავის საგანი იყოს, სამართლის ფუნქცია კონფლიქტების მოგვარებაა, ამდენად, ფაქტები, რომლებიც კონფლიქტს იწვევს ვერ იქნება უთანხმოების მუდმივი წყარო, განსაზღვრულობა საჭიროებს ასეთი ფაქტების სტაბილურობას, აღნიშნული ასახავს სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობის, მისი „საბოლოობის“ ობიექტურ ნიშანს (იხ., *mutatis mutandis*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 01.12.2020წ. გადაწყვეტილება საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland*, App. No. 26374/18, §238.). შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოსა და საერთო სასამართლოებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე, კასატორს საჯარო დაწესებულების ავტორიტეტის დაცვის ლეგიტიმური მიზნის ჭრილში, თავიდან უნდა ემსჯელა მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურიდან გათავისუფლების უკიდურესი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის ან პირიქით, დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა რომელიმე ზომის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ძალაში მყოფი სასამართლო აქტებით გათავისუფლების ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი სსკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაში მითითება იმაზე, რომ არ დასტურდება კ. ლეის მიერ მასზე სამსახურებრივად დაკავშირებულ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულება არ ადასტურებს სასამართლოს გადაწყვეტილებით უცილობლად დადგენილ საქმის გარემოებას, სასამართლო აქტებით ადმინისტრაციულ ორგანოს მიეთითა საქმის გარკვეული გარემოებების არასაკმარის დასაბუთებაზე, რაც თავისთავად არ გამოორიცხავდა ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების დროს სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად მიჩნეული გარემოების გარკვევას და სა-

თანადოდ დასაბუთებას ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

მართალია, საქმის განხილვის შედეგზე არ ახდენს ზეგავლენას, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ გარკვეულწილად უსწოროდ იქნა გააზრებული კანონიერ ძალაში მყოფი სააპელაციო პალატის 18.05.2021წ. აღსასრულებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი არსი, მისი მთავარი სათქმელი („ratio decidendi“). სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების უსწორო, მისი აკონტექსტურად გააზრების ლოგიკური შედეგია სადავო ბრძანებაში შემდეგი თეზისების მითითება: ა) „დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა კ. ლეის პირდაპირ სამსახურიდან გათავისუფლება და არა სხვა დისციპლინური ზომის შეფარდება“ (გვ.6); ბ) „სასამართლოს პოზიცია სადავო აქტის დაუსაბუთებლობასა და კანონის დარღვევით გამოცემასთან მიმართებაში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს“ (გვ.11.). საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტისა და სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას სავალდებულო, მხოჭვი ძალა აქვს ყველას მიმართ, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობის პრიმატის უგულებელყოფის ტენდენცია ან/და ასეთი ტენდენციის ჩვეულ მოვლენად, ნორმად ქცევა, გამოიწვევს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების შეფერხებას, საჯარო ნორმების შესრულებაზე სასამართლო კონტროლის ფუნქციების მოშლას. ამდენად, საკასაციო პალატა მითითებს, რომ კასატორის ზემოაღნიშნული მოსაზრებები მართალია გავლენას არ ახდენს საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობაზე, თუმცა გარკვეულწილად გამოხატავს უპატივცემულობას სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობის იდეის მიმართ, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ასეთი მოსაზრებები მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის არასწორ გააზრებას ეფუძნება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი სსკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, დავის გადაუწყვეტლად, თუმცა ხსენებული არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფ გადაწყვეტილებაში ასახული მითითებების გათვალისწინების საჭიროებისაგან. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია სსკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, რო-

მელიც სასკ-ის 23-ე, 31-ე, 33-ე მუხლებისაგან განსხვავებით ითვალის-
წინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა მოთხოვნის
დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ად-
მინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად დასაბუთებული აქ-
ტის გამოცემის დავალებას, ამასთანავე, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძ-
ველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა არ გამოორიცხავს ხელახალი ად-
მინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად იმავე შინაარსის გა-
დანყვეტილების მიღებას (სუსგ., 20.04.2006წ. №ბს-1291-866(კ-05);
04.10.2018წ. №ბს-567-567(კ-18)).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამსახურიდან გათავისუფლე-
ბის შესახებ ბრძანების ბათილობის შემთხვევაშიც („საჯარო სამსახუ-
რის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი), დაუსაბუთებელია
მოცემულ დავაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხ-
ლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების რესტიტუციული
ზომის სახით, განაცდური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. სა-
კასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ მოცე-
მულობაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატის 04.05.2023წ. გადანყვეტილების სარეზოლუ-
ციო ნაწილის მე-8 პუნქტის თანახმად, მოპასუხე – საქართველოს გა-
რემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო
საქვეყნებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
დეპარტამენტს დაევალა კ. ლ-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაც-
დურის ანაზღაურება მისი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან
სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებამდე. აღნიშნული გადან-
ყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „საჯარო სამ-
სახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მი-
ხედვით სამსახურში აღდგენილ მოხელეს, მათ შორის, ეძლევა განაც-
დური თანამდებობრივი სარგო. განსახილველ შემთხვევაში, სააპელა-
ციო პალატას არ უმსჯელია არსებითად იძულებითი განაცდურის ანაზ-
ღაურებასთან დაკავშირებით მოსარჩელის მოთხოვნაზე. სააპელაციო
პალატა ვალდებული იყო ზუსტად განესაზღვრა იძულებითი განაცდუ-
რის მოთხოვნის მოცულობა, ამასთანავე, აღნიშნული მიზნით, სრულ-
ყოფილად გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე
გარემოებები. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კასატო-
რის მიერ სააპელაციო პალატის გადანყვეტილება სრულადაა გასაჩივ-
რებული. უკვე აღინიშნა, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ სასარჩელო მოთ-
ხოვნას წარმოადგენს გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე პე-
რიოდის განმავლობაში კუთვნილი იძულებითი განაცდურის მოპასუხი-
სათვის ანაზღაურების დაკისრება. იძულებითი განაცდურის ოდენობა
განისაზღვრა იმ ხელფასით, რომელსაც კ. ლ-ე იღებდა სამსახურიდან

გათავისუფლების მომენტში. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დასაქმებულის უფლებაა, ეს უკანასკნელი რეალიზდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უკანონოდ ცნობს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებას და მას სამსახურში აღადგენს. სკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში დასაქმებულს იძულებითი განაცდური აუნაზღაურდება სრულად იძულებითი მოცდენის მთელი პერიოდისათვის, შრომითი ურთიერთობების უკანონოდ შეწყვეტის მომენტიდან სამსახურში აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებამდე (სუსგ №ას-392-2019, 27.11.2020წ.). სკ-ის 408-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. განაცდური ის შემოსავალია, რომელიც უკანონოდ დათხოვნილმა პირმა დათხოვნიდან აღდგენამდე პერიოდში ვერ მიიღო და უნდა მიიღოს, გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობის გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობა შეწყვეტის მომენტიდან გაგრძელებულად მიიჩნევა, შესაბამისად განაცდურის ანაზღაურება დამსაქმებლის მხრიდან მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაა. მოცდენა არის იმგვარი ვითარება, როდესაც სამსახურიდან არამართლზომიერად გათავისუფლების შედეგად, დასაქმებულს მისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა ესპობა. ამდენად, იძულებითი განაცდურის პერიოდი მოიცავს პირის გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენამდე პერიოდს. სამსახურიდან გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს სადავო აქტის გამოცემამდე მდგომარეობის აღდგენას. სამსახურში აღდგენაც და განაცდურიც არის ის სამართლებრივი შედეგი, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან. განაცდური განგრძობადია და მისი შეწყვეტა დამოკიდებულია სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღზე. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს განაცდური მიეკუთვნა სრულად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის თანახმად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველო-

ბის დეპარტამენტის ...ის განყოფილების ... კ. ლ-ე გათავისუფლდა და-
კავებული თანამდებობიდან 2016 წლის 02 დეკემბრიდან. ამდენად, სა-
დავო გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტის შინა-
არსის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა ადგენს, რომ იძულები-
თი განაცდურის მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრება 2016 წლის 02
დეკემბრიდან სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების თარი-
ღამდე არსებული თანხის ოდენობით. საქმის მასალებში დაცულია ცნო-
ბები მოსარჩელის თანამდებობრივ სარგოსთან დაკავშირებით, რომელ-
საც იგი იღებდა თანამდებობაზე ყოფნისას. სააპელაციო პალატის შე-
ფასების მიღმა დარჩა საქმეში დაცული სსიპ „შემოსავლების სამსახუ-
რის“ ცნობა მასზედ, რომ ი/მ კ. ლ-ეის მიერ 02.12.2016წ.-14.07.2021წ.
მიღებული შემოსავალი შეადგენს 93 580, 21 ლარს. ამდენად, თვალნა-
თელია, რომ ცნობის მიხედვით, მოსარჩელე 2016 წლის 02 დეკემბრი-
დან დასაქმებულია სხვა სამსახურში, სადაც ჰქონდა შესაბამისი ანაზ-
ღაურება. უკანონოდ გათავისუფლების თანმდევი სამართლებრივი შე-
დეგია პირვანდელი უფლებრივი რესტიტუცია, თუკი ეს შესაძლებელია,
რომელსაც სამუშაოზე აღდგენასთან ერთად იძულებითი განაცდურის
გაცემაც უკავშირდება. ამასთანავე, მოსარჩელე იმაზე უკეთეს მდგო-
მარეობაში არ უნდა აღმოჩნდეს ვიდრე იქნებოდა სამსახურიდან გათა-
ვისუფლებამდე. განაცდურის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღე-
მატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგის ჯამს, ოდენობა ისე უნ-
და განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძ-
ვლო გამდიდრება. ორგანომ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რო-
მელშიც პირი იქნებოდა, ორგანო არ არის ვალდებული პირი იმაზე უკე-
თეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემ-
თხვევაში იქნებოდა. აღნიშნული სამართლებრივი დასკვნა არის რეს-
ტიტუციის დოქტრინის (restitutio in integrum) სამართლებრივი შედეგი.
მისი მიზანი არა დამსაქმებლის დასჯა, არამედ მოსარჩელის იმ სამარ-
თლებრივ მდგომარეობასთან გათანაბრებაა, რომელშიც მოსარჩელე იქ-
ნებოდა, რომ არა დამსაქმებლის უკანონო ქმედება. ამდენად, სამსა-
ხურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობის პირობებ-
შიც, სააპელაციო პალატას მისაკუთვნებელი განაცდურის ოდენობის
გამოანგარიშების პროცესში მხედველობაში უნდა მიეღო დაკავებული
თანამდებობიდან გათავისუფლებისთანავე მოსარჩელის მიერ სხვა სამ-
სახურში დასაქმების ფაქტი. სააპელაციო პალატას უნდა გამოეკვლია
მოსარჩელის სადღეისოდ არსებული შემოსავლის ოდენობა, იმისათვის,
რომ მართებულად განსაზღვრულიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“
კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მისაკუთვნებელი
განაცდური თანამდებობრივი სარგოს მოცულობა. როდესაც გათავი-
სუფლებული პირი სასარჩელო წესით იცავს თავის უფლებას და იმავე

დროულად სხვაგან იწყებს მუშაობას, აღნიშნული იმთავითვე არ გამო-
რიცხავს ასეთი პირისათვის იძულებითი განაცდურის სრული მოცულო-
ბით მიკუთვნებას, თუმცა ასეთ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა მიუ-
თითოს, რომ იძულებითი მოცდენის პერიოდში მის მიერ სხვა დასაქმე-
ბულთან შესრულებული სამუშაოს ხასიათი და მოცულობა ისეთი არის
ან იყო, რომ მისი შეთავსება ძირითად სამუშაოსთან შესაძლებელი იქ-
ნებოდა და არ დააბრკოლებდა იმ სამსახურში მოვალეობის შესრულე-
ბას, საიდანაც გათავისუფლების გამო მას მოესპო კუთვნილი ანაზღა-
ურების მიღების შესაძლებლობა (სუსგ 21.10.22წ., №ას-736-2022). აღ-
ნიშნულთან დაკავშირებით მხედველობაში დამატებით უნდა იქნეს მი-
ღებული „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მე-13
მუხლის მოთხოვნები, რომელიც დეტალურად აწესრიგებს თანამდე-
ბორივი შეუთავსებლობის საკითხებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს,
რომ ახალ დამსაქმებელთან ხელფასის ოდენობის ნაკლებობის პერიო-
დებში ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა მო-
სარჩელის ძველ და ახალ დასაქმებაში დანიშნულ ხელფასს შორის. თუ
მოსარჩელე დასაქმებულია ისეთ პოზიციაზე ან ეწევა ისეთ საქმიანო-
ბას, რომლის თანამდებობრივი სარგო ტოლია ან აღემატება იმ ანაზღა-
ურებას, რომელსაც მოსარჩელე იღებდა გათავისუფლებამდე, არ არ-
სებობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნ-
ქტით დადგენილი განაცდური თანამდებობრივი სარგოს მიკუთვნების
ვალდებულება. ამ შემთხვევაში, სახეზე უკვე აღარაა განაცდური ზიან-
ი, რომელიც საჭიროებს გათანაბრების რესტიტუციულ ზომებს. რეს-
ტიტუციის დოქტრინა არ ანიჭებს პირს უფლებას მოიპოვოს დამატები-
თი სარგებელი უფლების დამრღვევისგან, არამედ ითვალისწინებს მხო-
ლოდ მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას. აღნიშნული ზო-
მა ემსახურება არა სადამსჯელო, არამედ, გამათანაბრებელ მიზანს,
დამსაქმებელს არ წარმოეშობოდა თანამდებობრივი სარგოს გადახდის
ვალდებულება თუ დასაქმებული პარალელურად მუშაობას სხვა სამ-
სახურში დაიწყებდა. ამდენად, მოსარჩელის პოზიციის გაზიარების, სა-
დავო აქტის ბათილად ცნობისა და სასამსახურში აღდგენის შემთხვევა-
შიც, შეფასებას საჭიროებდა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების
საკითხის არსებობა, კერძოდ სამსახურებრივი სპეციფიკიდან და დატ-
ვირთვიდან გამომდინარე, კ. ლ-ის მიერ როგორც დამატებითი სამუ-
შაოს შესრულების, ასევე, სამუშაოების შეთავსების შესაძლებლობის
არსებობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, „საჯარო სამსახუ-
რის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული
მოთხოვნების იურიდიული წინაპირობების სრულყოფილად გამოკვლე-
ვას ადგილი არ ჰქონია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე
მუხლის სამართლებრივი სტრუქტურა ამჟღავნებს ნორმატიული და-

მოკიდებულების თვისებას, 118-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს, როგორც *conditio sine qua non* (უშუალო მიზეზობრიობა), განაპირობებს მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლების აქტის ბათილობა, მისი უკანონობის დადგენა, თუმცა პირის სხვა სამსახურში დასაქმება არსებით ზეგავლენას ახდენს მისაკუთვნიებული კომპენსაციის ოდენობის დადგენის პროცესზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მითითებას მასზედ, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 06.05.2020წ. DES 9 20 00000 124 ბრძანება და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 07.05.2020წ. DES 0 20 00000 693 ბრძანება გამოცემულია სზაკ-ის 54-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების მოთხოვნათა დარღვევით. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე სადავო აქტი ქმნის ერთ შინაარსობრივ მთლიანობას, 06.05.2020წ. DES 9 20 00000 124 ბრძანება შეიცავს აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს, ხოლო 07.05.2020წ. DES 0 20 00000 693 ბრძანება შეიცავს სარეზოლუციო ნაწილს, სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ის გარემოება, რომ 06.05.2020წ. DES 9 20 00000 124 ბრძანება არ შეიცავს ძალაში შესვლის თარიღს არ ქმნის აქტის ბათილობის საფუძველს, ვინაიდან იგი არ შედის სზაკ-ის 52-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით რეგლამენტირებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტებში. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ აქტის ძალაში შესვლა წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ავტონომიურ ინსტიტუტს, რომელიც ცალკე არის მონესრიგებული სზაკ-ის 54-ე-58-ე მუხლებში. სადავო 07.05.2020წ. DES 0 20 00000 693 ბრძანების მე-2 პუნქტში ჩანანერი – „ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე“ – მიუთითებს სადავო აქტის აღსრულების მომენტზე, ვინაიდან ამავე ბრძანების 1-ლი პუნქტის მიხედვით, კ. ლ-ე გათავისუფლებულად ჩაითვალა 2016 წლის 02 დეკემბრიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 107-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების, მოცემულ შემთხვევაში, მძიმე დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის დღიდან. სზაკ-ის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. შესაბამისად, ნორმების სისტემური განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 107-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ზოგადი მო-

ნესრიგებისაგან განსხვავებულ წესს და მის ძალაში შესვლას უკავშირებს დისციპლინური გადაცდომის გამოვლენას. ამავდროულად, მოსარჩელე თავად აღნიშნავს, რომ მას ორივე სადავო აქტი გადაეცა 08.05.2020წ. ფოსტის მეშვეობით, მოსარჩელეს არ შეზღუდვია გასაჩივრების უფლება, ნებისმიერ შემთხვევაში სახეზე არაა ისეთი დარღვევა, რომელიც გამოიწვევდა სზაკ-ის მე-60¹ მუხლის საფუძველზე აქტების ბათილად ცნობას. სადავო 07.05.2020წ. DES 0 20 00000693 ბრძანების მე-2 პუნქტი უკავშირდება ამავე ბრძანების 1-ელ პუნქტს, რომლითაც კ. ლ-ე გათავისუფლებულად ჩაითვალა 2016 წლის 02 დეკემბრიდან. დაუსაბუთებელია ასევე მოსარჩელის მიერ სარჩელსა და საკასაციო შესაგებელში გამოთქმული მოსაზრება მასზედ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. №4346-IX კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები ითვალისწინებს პირის თანამდებობაზე აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების (ბათილად ცნობის) ყველა, მათ შორის სასკ-ის 32.4. მუხლის შემთხვევაში. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქმის განხილვა უნდა მოხდეს განხილვის დროს მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობით, ამავე კანონმდებლობით უნდა მოხდეს აღსრულება (სასკ-ის 1.2 მუხ.), თუმცა სადავო სამართალური თეორიის მატერიალური ასპექტის შეფასება ხდება სადავო ურთიერთობის აღმოცენების დროს მოქმედი ნორმატიული სინამდვილით, ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობა, უკეთეს ეს უკანასკნელი პირის სამართლებრივ მდგომარეობას აუმჯობესებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას, გასაჩივრებას ასეთ შემთხვევაში არ აქვს აქტის სუსპენზიური ეფექტი. უკეთესად გილი არ აქვს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას, ადგილი აქვს უწყვეტობას, პრეზუმირებულია პირის თანამდებობიდან თავდაპირველი თარიღით გათავისუფლების ფიქცია. ამავდროულად, მოსარჩელის წინა რიცხვით განთავისუფლება განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 107-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვით მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, მოცემულ შემთხვევაში მძიმე გადაცდომის გარემოების გამოვლენის დღიდან. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილებით (საქმე №33/612-18) სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ სადავო აქტის ბათილად ცნო-

ბისა და საკითხთან დაკავშირებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ბრძანების გამოცემის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სადავო აქტის ბათილად ცნობა მოხდა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, მიღებულ იქნა სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ახალი ნორმატიული სინამდვილის მოქმედების პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი, იგი ბათილად იქნა ცნობილი 32.4 მუხლის მიხედვით, სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, ადგილი არ ჰქონია 32.1 მუხლის გამოყენებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, სარჩელი სხვა ნაწილში, კერძოდ სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას კ. ლ-ეის სამსახურში აღდგენის შესახებ, გადაწყვეტილება უთითებს საქმის გარემოებების დამატებითი გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროებაზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კ. ლ-ემ 08.01.2020წ. განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.05.2018წ. გადაწყვეტილების განმარტება, კერძოდ განმცხადებელმა განმარტება მოითხოვა კ. ლ-ეის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შედეგების წარმოშობის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.01.2020წ. განჩინებით კ. ლ-ეის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმაზე მითითებით, რომ გასაჩივრებული აქტი ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, შესაბამისად სხვა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატას აგრეთვე 17.02.2020წ. განცხადებით მიმართა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა სააპელაციო სასამართლოს 18.05.2018წ. გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლოს 20.02.2020წ. განჩინებით დეპარტამენტის განცხადება განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. განმარტებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 21.01.2020წ. და 20.02.2020წ. განჩინებები კერძოდ

საჩივრით გასაჩივრდა კ. ლ-ის და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ. კერძო საჩივრის ავტორი კ. ლ-ე უთითებდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დისციპლინური გადაცდომის საკითხი უნდა განიხილოს და ხელახლა გამოსცეს ახალი ბრძანება მხოლოდ კ. ლ-ის სამსახურში აღდგენისა და მისთვის განაცდურის ანაზღაურების შემდგომ, შესაბამისად კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა განემარტა ინვესს თუ არა კ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შედეგებს. კერძო საჩივრის ავტორის – დეპარტამენტის ძირითად პრეტენზიას შეადგენდა გადანყვეტილების აღსრულებისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხლის გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გადანყვეტილების განმარტება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2020წ. განჩინებით კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოხელის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის განმეორებითი გამოკვლევის შედეგად მიღებული გადანყვეტილებას და გამომდინარეობს მისგან. შესაბამისად, ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების დროს არ გამოიკვეთა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გამოიწვევდა სხვა ახალი გადანყვეტილების მიღებას, კ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების მიღებამ გამოიწვია კ. ლ-ის გათავისუფლება თავდაპირველი თარიღით (02.12.2016წ.). სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით აღდგენის მოთხოვნაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამდენად, სწორედ საბოლოო აქტების სავალდებულოობის პრინციპის დარღვევა იქნებოდა სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოსარჩელის მოსაზრების საფუძვლიანობას არ ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. №1022-III კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის ძალადაკარგულად აღიარებაზე მითითება, აღნიშნულიდან არ გამომდინარეობს ის, რომ „გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების გაუქმებაში“ („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118.3 მუხ.) იგულისხმება სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობა, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. №4346-III კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი ექსპლიციტურად არც სადავო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის დროს პირის პირდაპირ სამსახურში აღდგენის შესაძლებლობაზე უთი-

თებს. ამავდროულად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის ყოფიერების იმანენტური ნაწილია სამართლის ნორმის გამოყენება პრაქტიკაში (იხ. *mutatis mutandis*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 21.10.2013წ. გადაწყვეტილება საქმეზე *Case of Del Río Prada v. Spain*, App. No. 42750/09, §90.). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სწორედ ამგვარი მიმართულებით განვითარდა სასამართლო პრაქტიკა (იხ. მრავალთა შორის: სუსგ., №ბს-128(კ-24), 22.05.2025წ.; სუსგ., №ბს-1073(კ-24), 27.02.2025წ.; სუსგ., №ბს-306(კ-23), 26.11.2024წ.; სუსგ., №ბს-1309(2კ-22), 14.02.2024წ.; სუსგ., №ბს-466(კ-22), 18.09.2023წ.; სუსგ., №ბს-162(კ-22), 08.06.2022წ.). ამასთანავე, პირის წინა თარიღით გათავისუფლების დაუშვებლობა სასამართლო პრაქტიკით უარყოფილია გათავისუფლების აქტის სასკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის შემთხვევაში (სუსგ., №ბს-357(კ-23), 15.06.2023წ.; იხ. *mutatis mutandis*, №ბს-706(2კ-19), 16.03.2022წ.), აღნიშნულისაგან განსხვავდება მოცემული დავის კონტექსტი, რამეთუ საქმე ეხება სადავო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილობას. ასკ-ის 32.1 მუხლის თანახმად, სადავო აქტის კანონთან შესაბამისობის (მატერიალური კანონიერება) შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობის ყველა ელემენტთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში. თუმცა, სასამართლო მოკლებულია საკითხის სასკ-ის 32.1 მუხლის შესაბამისად არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას, უკეთუ უცნობია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, აქტის ბათილობის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტული შემადგენლობის გარკვეული ფაქტობრივი ელემენტები. სასკ-ის 32.4 მუხლი მიზნად ისახავს სასკ-ის 32.1 მუხლის გამოყენების წინაპირობების შექმნას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული ნორმატიული ტერმინი „მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება“ გულისხმობს სადავო აქტის სასკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობას, მასში არაა ნაგულისხმევი სადავო აქტის ბათილად ცნობა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან მისი გამოყენების შემთხვევაში საქმე არსებითად არ წყდება, ადგილი არ აქვს გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერების, მისი არსებითი მხარის შემოწმებას, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა ეფუძნება ერთგვარ პრეზუმირებას, რომ სადავო აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება საჭიროებს საქმის გარემოებათა საფუძვლიან გამოკვლევას. უკვე ხელახალი ადმინისტრაციული წარმოებისას საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად თავდაპირველთან იდენტური სამართლებრივი შედეგის დადგომა განაპირობებს ახალი აქტის მოქმედებას *ex tunc* (მისი

თავდაპირველად გამოცემიდან) პრინციპით, ვინაიდან პრეზუმირებულაა, რომ პირის გათავისუფლება გათავისუფლების მომენტშივე კანონიერი იყო, შესაბამისად ახალი სადავო აქტი მოქმედებს *ex tunc* პრინციპით, პირის გათავისუფლება ხდება თავდაპირველი თარიღით, უკეთეს დასტურდება თავდაპირველად გამოცემული სადავო აქტის არსებითი, მატერიალური („შედეგობრივი“) კანონშესაბამისობა (სასკ-ის 32.1 მუხ.). მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ახალი სადავო აქტი უნდა მოქმედებდეს *ex nunc* (გამოცემის დღიდან) იმ თვალსაზრისით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებული ზემოაღნიშნული ნორმატიული ტერმინი გულისხმობს პირის სასკ-ის 32.4 მუხლით სადავო აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაშიც სამსახურში აღდგენას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. №4346-IX კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტი (ტერმინი – „გაუქმება“) ჩამოყალიბებულია აბსტრაქტული ენით, ნორმატიული ენის აბსტრაქციის მაღალი ხარისხი განპირობებულია გათავისუფლების შესახებ სადავო აქტის სასკ-ის 32.1 და 32.4 მუხლების შესაბამისად ბათილად ცნობის ინსტიტუტების გამიჯვნის აუცილებლობით, ვინაიდან 118-ე მუხლის მე-4 პუნქტი პირისათვის განაცდურით თანამდებობრივი სარგოს მიკუთვნებას მხოლოდ სამსახურში აღდგენას უკავშირებს. მოსარჩელის მოსაზრების საფუძვლიანობას გამორიცხავს ასევე სისტემური განმარტებაც, სისტემური განმარტება ეფუძნება სამართლის სისტემის ყველა ნორმის მნიშვნელობისა და ძირითადი მიზნის (τέλος) ურთიერთკავშირს, ასეთი განმარტების მიზანია სამართლის სისტემა და მასში შემავალი თითოეული ნორმა წარმოაჩინოს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ მთლიანობად, ამდენად მოსარჩელის განმარტება გამორიცხავს სასკ-ის 32.1 და 32.4 მუხლების დიფერენცირების მიზანს, მათ ადგილსა და ფუნქციას ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემაში, უგულებელყოფს ნორმებს შორის სისტემური ურთიერთდამოკიდებულების არსებობას. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. №4346-IX კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული განმარტება არ ეფუძნება ნორმის მიზნის ადეკვატურ გააზრებას და არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული, კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო აქტების სავალდებულო ძალას.

დაუსაბუთებელია ასევე მოსარჩელის მოსაზრება მასზედ, რომ 01.12.2016წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმით („დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, იმოძრავა ქვეითთა ბილიკზე, დააზიანა სხვისი ქონება, რის შემდეგაც დატოვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი“) დაკისრებული პასუხისმგებლობა გამორიცხავს

მოსარჩელისათვის თანამდებობიდან გათავისუფლების დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებას. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი არის საჯარო სამართლებრივი ნორმა, იგი გამორიცხავს მოხელისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესაძლებლობას მის მიმართ სასამართლოს მიერ შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებულ ნორმაში არ არის სახელდებით მოხსენიებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების ანალოგიის წესით გამოყენება. ამდენად, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლად მიიჩნევს ნორმის მოსარჩელისეულ განმარტებას, მით უფრო იმ პირობებში როდესაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულია ტერმინი „სასამართლოს მიერ“, ხოლო ეს უკანასკნელი პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ აქტი უნდა იყოს გამოტანილი სასამართლოს და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ შედგება ოქმი, საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ. ამავდროულად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტი არის სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის შინაარსი შეიცავს მხოლოდ ერთი და იგივე ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ამკრძალავ დათქმას, სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით (*mutatis mutandis*, სამოქალაქო კოდექსის 5.3 მუხ.). „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტში მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მოხსენიება ასახავს სისხლის სამართლის ექსკლუზიური გამგებლობის იდეას, რომლის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა (სისხლის სამართლის კოდექსის 3.1 მუხ.). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბის სიმძიმე გამორიცხავს დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების აუცილებლობას, გამოსაყენებელი ღონისძიების თანაზომიერებასა და პროპორციულობაზე მსჯელობას, დანაშაული თავისი ბუნებით განეკუთვნება იმდენად მძიმე სოციალურ კატეგორიას, რომ დანაშაულის ჩამდენი მოხელის საჯარო სამსახურში საქმიანობის გაგრძელება აბსოლუტურად შეუთავსებელია საჯარო დაწესებულებაში სამსახურის გაგრძელების იდეასთან, აზრს კარგავს გამოყენებული ღონისძიების თანაზომიერებაზე მსჯელობა. ამდენად, დანაშაულის ჩადენის დამტკიცების შემთხვევაში, საჯარო მოხელე თანმდებობიდან თავისუფლდება არა დისციპლინური გადაცდომის საფუძველით, არამედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 107-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსით, კერძოდ, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძველს წარმოადგენს მოხელის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა. დანაშაულის სოციალური საშიშროება აღემატება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სოციალურ სიმწვავეს, ეს უკანასკნელი უპირობოდ არ იწვევს პირის გათავისუფლებას, მასზე რეაგირებისას დისციპლინური ზომის პროპორციულობის შეფასებას იმპერატივის ძალა აქვს, შესაბამისად, მოცემული თვალსაზრისით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა სპეციალურია (*lex specialis*). ადმინისტრაციული ჯარიმა საჯარო წესრიგის, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობა სხვადასხვა სამსახურებრივი ნორმის დარღვევაზე რეაგირების ინსტრუმენტი, მათი იურიდიული შინაარსი განეკუთვნება სხვადასხვა ნორმატიულ კატეგორიას, თუმცა ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავს, ორივე ზომას ერთმანეთის შემავსებელი ფუნქცია აქვს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიც, სასამართლოს მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამამართლებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესაძლებლობას. მხოლოდ დანაშაულის ჩადენა განაპირობებს სამსახურებრივი ურთიერთობების უპირობოდ შეწყვეტას. თავისთავად დანაშაულის შესაძლო ჩადენის სიმძიმეს შეუძლია განაპირობოს მოხელის დროებით ჩამოშორება საჯარო სამსახურის შესრულებისაგან, კერძოდ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით, მოხელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, საჯარო მოხელეს შესაძლებელია შეუჩერდეს სამსახურებრივი უფლებამოსილე-

ბა (კანონის 55.2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.), რაც გულისხმობს მის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისაგან (55.1 მუხ.), ხოლო მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხელის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას (55.2 მუხ. და 55.2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.). ამავდროულად, სახეზე არ არის ერთი და იგივე ქმედება, რომლის გამოც მოსარჩელეს დაეკისრა ორივე სახის პასუხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება დაეფუძნა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების დეტალურ და ყოველმხრივ ანალიზს, პროპორციულობის უფლებრივ განზომილებას, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეფუძნა უშუალოდ შესაბამისი ნორმით მკაცრად განერილი ქცევის წესების დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში, 01.12.2016წ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №... ოქმის მიხედვით, კ. ლ-ემ „დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, იმოძრავა ქვეითთა ბილიკზე, დააზიანა სხვისი ქონება, რის შემდეგაც დატოვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილი, რის გამოც მისი ქმედება დაკვალიფიცირდა ასკ-ის 123-ე მუხლის 1-ლი და 125-ე მუხლის მე-10 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სახეზე არ არის ერთი და იგივე ქმედება, რომლის გამოც კ. ლ-ეს ერთდროულად დაეკისრა დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის თანაზომიერებაზე მსჯელობისას გათვალისწინებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორებიც არის კ. ლ-ეის ქმედებაში პირდაპირი განზრახვის არ არსებობა, ძალის უხეში გაუფრთხილებლობით სიკვდილი, სკვერის გადაკვეთისას საგზაო მოძრაობის წესების განზრახ დარღვევა, საზოგადოების რეაქცია კ. ლ-ეის ქმედებაზე, ადმინისტრაციული ორგანოს რეპუტაციისა და ავტორიტეტის დისკრედიტაცია, კ. ლ-ეის მიერ დაზიანებული ცხოველისათვის დახმარების აღმოუჩენლობა, შემთხვევის ადგილის მიტოვება, კ. ლ-ეის რეპლიკა დაზიანებული ცხოველის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მხოლოდ ყველა ფაქტორის ყოველმხრივი და ერთობლივი ანალიზით იქნა განპირობებული სამსახურიდან გათავისუფლების ღონისძიების თანაზომიერად მიჩნევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული გადანყვებილების გაუქმებისა და კასატორის საკასაციო საჩივრის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.05.2023წ. გადაწყვეტილება;
3. კ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სახელფასო დავალიანების და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

გადანყვეთილება საქართველოს სახალხო

№ბს-481(კ-22)

3 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალევა

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 21 მაისს მ. თ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანების ბათილად ცნობა; მოპასუხისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე მ. თ-ას აღდგენის დავალევა; ასევე, მოპასუხისთვის იძულებით გაცდენილი დროის, თვეში 3 600 ლარის, მ. თ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 1 მარტიდან) სამსახურში აღდგენის თაობაზე გადანყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2015 წლის 23 ივლისს მ. თ-ა კონკურსის გავლის წესით დაინიშნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე, სამი თვის გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლის შემდეგ კი, 2015 წლის 23 ოქტომბრიდან მ. თ-ა დაინიშნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე, განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 1 მარტის №541 ბრძანებით, მ. თ-ა გათავისუფლდა და-

კავებული თანამდებობიდან, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე და გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით, მ. თ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 1 მარტის №541 ბრძანება და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, თუმცა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ადმინისტრაციული ორგანოს საჩივრები და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მოსარჩელე მიუთითებს, რომ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, მ. თ-ამ ახსნა-განმარტება მისცა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს 2019 წლის 3 აპრილს. სამსახურის მიერ შედგა დასკვნა, რომელიც პირვანდელი დასკვნისგან არაფრით განსხვავდება და რაიმე ახალი გარემოება გამოვლენილი და გამოკვლეული არ არის. მითითებული დასკვნის საფუძველზე კი, 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანებით, მ. თ-ა ჩაითვალა თანამდებობიდან გათავისუფლებულად 2016 წლის 1 მარტიდან, რასაც არ ეთანხმება მოსარჩელე მხარე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მ. თ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ 01.01191096 ბრძანება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მ. თ-ას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა მ. თ-ას სასარგებლოდ მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება, მისი გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 1 მარტიდან) სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-4, 25-ე, 29-ე მუხლებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლებზე, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერ-

თაშორისო პაქტის მე-6 მუხლზე, ევროპის სოციალური ქარტიის მე-4, 24-ე მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე და დადგენილად მიიჩნია, რომ მ. თ-ა დასაქმებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და მის შრომით ურთიერთობაზე ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე, 50-ე, 54-ე მუხლებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-7, 53-ე მუხლებზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე, 97-ე, 98-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა, მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მ. თ-ას გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება სათანადოდ

არ არის დადასტურებული; არ არის დასაბუთებული, რომ მ. თ-ას გათავისუფლება არის უკიდურესი პრევენციული ღონისძიება, რომელიც მიღებული იქნა კერძო და საჯარო ინტერესის როგორც ვინრო, ასევე ფართო გაგებით; ასევე, არ იქნა შეფასებული და დაანგარიშებული მ. თ-ას შესაძლო არაჯეროვანი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ადმინისტრაციული ორგანოსადმი და საჯარო ინტერესებისადმი მიყენებული ზიანის ხასიათი თუ ოდენობა. ადმინისტრაციული ორგანო თავისი სრულყოფილი დასაბუთებით პირდაპირ უნდა აქარწყლებდეს შესაძლო ეჭვებს თანაბარ პირობებში თანაბარი წესების გამოყენებლობის შემთხვევის შესახებ. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ასაბუთოს გათავისუფლების ზომის გამოყენების მართებულობა ყველა შესაძლო უარყოფითი და საზიანო შედეგების დადგომის, თუ ასეთის წარმოშობის საშიშროების პრევენციის უკიდურესი ზომით უზრუნველყოფა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისე იქნა გამოცემული სადავო აქტი, რომ არ ჩატარებულა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება მოსარჩელის გათავისუფლების საკითხის შესწავლის მიზნით. ადმინისტრაციულმა ორგანომ ყურადღების მიღმა დატოვა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მითითება საკითხის ხელახალი შესწავლისას განსახილველი გარემოებების შესახებ. საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დადასტურებულად იქნა მიჩნეული მოსარჩელე მ. თ-ას მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, თუმცა დაუსაბუთებელია რატომ ვერ უზრუნველყოფდა დისციპლინური პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ზომა სახდელის ზომის გამოყენების მიზნებს. შესაბამისად, მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია ჰქონდა თუ არა მოსარჩელე მ. თ-ას შეფარდებული ადრე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, შეეფასებინა ჩადენილი ქმედების ბუნება და გამოეყენებინა პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომა, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია. დადგენილია, რომ სადავო ბრძანება მიღებულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თუმცა აღნიშნული აქტის შინაარსით დგინდება, რომ რეალურად არ შესრულებულა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აუცილებელი პირობები – სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხის მიერ არსებითად იმავე ფაქტებზე და გარემოებებზე იქნა მითითებული, რაც სასამართლომ მ. თ-ას გათავისუფლებისთვის არასაკმარის საფუძვლად მიიჩნია. მოპასუხე მხარეს არ შეუფასებია და არ დაუსაბუთებია გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის პროპორციულობა ჩადენი-

ლი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მ. თ-ას მხრიდან სხვადასხვა დროს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომას ინდივიდუალურად უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება და ინდივიდუალურად უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც ადრე ჩადენილი ქმედებისათვის პირს არ შეფარდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, ასეთი ქმედება არ შეიძლება სხვა დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის განმაპირობებელ გარემოებად იქნეს გამოყენებული.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა მ. თ-ას მიმართ ისე გამოიყენა დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ზომა, რომ ფაქტობრივად არ დაასაბუთა იგი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანების მიღებისას ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული საკითხი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირებისათვის არ ყოფილა შემუშავებული, არ არსებობს რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დაარეგულირებდა ინსპექტირებისა და კონტროლის წესებს. ამასთანავე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს განემარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტებზე არ ფიქსირდება თუ სამსახურის კონკრეტულად რომელი თანამშრომლის მიერ იქნა სამუშაოები ჩაბარებული, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტების დანართების თანახმად, სამუშაოები მოცულობებისა და ღირებულების მითითებით, ჩაბარებული აქვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შემოსავლელების, სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების ...ს. ასევე მითითა, რომ ...ის საქალაქო სამსახურის ...ე, იმავე სამსახურის თბილისის შემოსავლელების სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების ... დამოუკიდებლად ანგარიშვალდებულნი იყვნენ თბილისის ...ის საქალაქო სამსახურის უფროსის წინაშე, რაც იმავდროულად გულისხმობს იმას, რომ სამსახურის უფროსი უფლებამოსილი იყო ვალდებულების შესრულებაზე კონტროლი განეხორციელებინა მასზედ დაქვემდებარებულ პირთა მიმართ და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყო კონკრეტული ღონისძიებების მიღება, რომელიც მიმართული იქნებოდა დარღვევისა თუ პრობლემის აღმოფხვრის კენ.

საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა,

რომ სამუშაოს შესრულების წესი და მეთოდიკა დაწუნებული ყოფილიყო სამსახურის უფროსის მიერ ან/და დარღვევათა პრევენციის მიზნით განეხორციელებინა კონკრეტული მითითებები. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა სასამართლოს მიერ დადგენილი აღნიშნული გარემოება და ისე გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამრიგად, საქმეში არსებული მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ დასტურდებოდა მოსარჩელე მ. თ-ას მიერ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რომლის პროპორციული, თანაზომიერი პასუხისმგებლობის ზომაც სამსახურიდან დათხოვნა იქნებოდა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი იმპერატიულად ადგენს, რომ პირი სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, რაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება. მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენად არ შეიძლება შეფასებული იქნეს რამდენიმე გადაცდომა აღებული ერთობლიობაში. ამასთან, ის გარემოება, რომ მ. თ-ას მიერ ხელმოწერილია დოკუმენტები და იგი პასუხისმგებელია სხვა ხელმოწერ პირებთან ერთად, არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მ. თ-ასთან მიმართებაში იმგვარ მძიმე დისციპლინურ გადაცდომად, რომელიც საფუძვლად დაედო სამსახურიდან გათავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ჰქონდა შესაძლებლობა უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებით ეცადა დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნის – ახალი გადაცდომის თავიდან აცილების მიღწევა.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა ე. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 1...ის №01.01191096 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობის პირობებში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, არსებობდა მ. თ-ას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებისა და მოპასუხისთვის მ. თ-ას სასარგებლოდ მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების (მისი გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 1 მარტიდან) სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით) დაკისრების საფუძველიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები, კერძოდ, არსებული ფაქტობრივ-სამართლებრივი გარემოებები ამართლებდა თუ არა პირის სამსახურიდან გათავისუფლებას, დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებული ქმედება არის თუ არა ადეკვატური შექმნილ ვითარებაში და ხომ არ მოხდა დასაქმებულის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების – შრომის თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, მე-7, 53-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მართალია სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს ადმინისტრაციული ორგანოს ან შესაბამისი თანამდებობის პირის არჩევანში, რაც დაკავშირებულია მათ დისკრეციას მიკუთვნებულ ისეთი გადაწყვეტილების მიღებასთან, როგორც არის საშუალო ერთეულზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა/გათავისუფლება, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, მაგრამ მითითებული მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის ფარგლებში, არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას.

სააპელაციო პალატის მითითებით, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა; უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს

სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები. სააპელაციო პალატის განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს გადაწყვეტილება, კერძოდ ახსნას, განმარტოს და დაასაბუთოს თუ რატომ და რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება. ამასთან, აქტის დასაბუთებულად მიჩნევისათვის არ არის საკმარისი მასში მხოლოდ კანონმდებლობის ცალკეული ნორმების მითითება, რადგან დასაბუთება გულისხმობს როგორც სამართლებრივ, ასევე ფაქტობრივ დასაბუთებას, რაც განაპირობებს მის კანონიერებას.

დავის საგნიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დისციპლინური გადაცდომის გამო ყველა მოხელისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლება წინასწარ, გადაწყვეტილების მიღებამდე გაეცნოს მიზეზს და იმ სამართალდარღვევის სახეს, რასაც უყენებს მას ადმინისტრაცია, რათა შესაძლებლობა ქონდეს ეფექტურად დაიცვას თავი. ამასთან, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ, დისციპლინური გადაცდომა შესაძლებელია იყოს მძიმე ან მსუბუქი. დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ: დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას; დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას; დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს; მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე; დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება იმის თაობაზე, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა; მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი უწყვეტი ჯეროვანად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი

მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე, 98-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მ. თ.-ას საკითხთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის (№3/2432-16 საქმეზე) გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2019 წლის 5 აპრილს მიღებული იქნა დასკვნა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს, რომ მ. თ.-ას მიერ თითქოს განხორციელდა სამსახურებრივი უფლებამოვალეობების არაერთგზის დარღვევა, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად შეიძლება განიმარტოს, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რაც ერთიანობაში თითქოს ქმნის დარღვევების უხეშად შეფასების დასაბუთებას და სადავო ქმედებებით, დანესებულებას მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი და მატერიალური ზიანი. სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა აღნიშნულ დასკვნაში მოპასუხის პოზიცია, ვინაიდან მ. თ.-ას გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების, სტაბილურობის უტყუარობა სათანადოდ არ არის დადასტურებული; არ არის დასაბუთებული, რომ მ. თ.-ას გათავისუფლება არის უკიდურესი პრევენციული ღონისძიება, რომელიც მიღებული იქნა კერძო და საჯარო ინტერესის როგორც ვინრო, ასევე ფართო გაგებით; გააზრებული იქნა საყოველთაოდ აღიარებული და განმტკიცებული ძირითადი უფლებები და ღირებულებები; არ იქნა შეფასებული და დაანგარიშებული მ. თ.-ას შესაძლო არაჯეროვანი სამსახურებრივი შესრულებით ადმინისტრაციული ორგანოსადმი და საჯარო

ინტერესებისადმი მიყენებული ზიანის ხასიათი თუ ოდენობა. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციული ორგანო თავისი სრულყოფილი დასაბუთებით პირდაპირ უნდა აქარწყლებდეს შესაძლო ეჭვებს თანაბარ პირობებში თანაბარი წესების გამოყენებლობის შემთხვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოკვლევა-შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უტყუარი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა მ. თ-ას მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების უკიდურესი ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების კანონიერება. ამდენად, სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მართებულად ცნო ბათილად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 1...ის №01.01191096 ბრძანება და კანონშესაბამისად დაავალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მ. თ-ას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, ასევე, მოპასუხეს კანონშესაბამისად დაეკისრა მ. თ-ას მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება, მისი გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 1 მარტიდან) სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

კასატორი მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ განმეორებით შეისწავლა ყველა სადავო ეპიზოდი. საბოლოოდ მომზადებული 2019 წლის 5 აპრილის დასკვნით კი დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ყველა დარღვევასთან მიმართებით, შესაბამის საკანონმდებლო ნორმებზე მითითებით დაადგინა მ. თ-ას პასუხისმგებლობის საკითხი. კერძოდ, ყველა ეპიზოდთან მიმართებაში ხაზი გაესვა იმ ვალდებულებებს, რომლებიც მ. თ-ას გააჩნდა და რომელთა დარღვევასაც ადგილი ჰქონდა თითოეულ შემთხვევაში. ამასთან, კასატორის განმარტებით, თითოეული დარღვევა იყო მძიმე ხასიათის და ისინი ჩადენილი იყო დროის საკმაოდ მცირე

მონაკვეთში. დარღვევების შინაარსიდან და იმ ზიანიდან გამომდინარე, რაც აღნიშნული ქმედებებით მიაღწა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტსა და საჯარო ინტერესებს, ისინი დამოუკიდებლად იქნა შეფასებული, როგორც სამსახურბრივი უფლება-მოვალეობების უხეში დარღვევა. შესაბამისად, კასატორს მიაჩნია, რომ მ. თ-ას მიმართ გამოყენებული ზომა იყო პროპორციული, სამართლიანი და წარმოადგენდა ერთადერთ ზომას, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო გადაცდომების შემდგომში თავიდან ასაცილებლად. ამასთან, ვინაიდან დარღვევებს ჰქონდა სისტემური ხასიათი, ცალსახა იყო, რომ მ. თ-ა, როგორც სფეროს კურატორი, მოადგილე, მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ ართმევდა თავს. ამდენად, კასატორის პოზიციით, ...ის საქალაქო სამსახურის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში გაგრძელება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმგვარი გადანყვეტილების მიღებით, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2022 წლის 2...ის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით, მონინალმდევე მხარის (მოსარჩელის) – მ. თ-ას საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა, იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც შეეხება მ. თ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანების ბათილად ცნობას და მოპასუხისათვის მ. თ-ას სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი დროის – თვეში 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ანაზღაურების დაკისრებას. ამავე განჩინებით, მონინალმდევე მხარის (მოსარჩელის) – მ. თ-ას გარდაცვალების გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე მ. თ-ას აღდგენის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება. ასევე, ამავე განჩინებით, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 ოქტომბრის გადანყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება, იმ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თა-

ნამდებობაზე მ. თ-ას აღდგენის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმე-თა პალატის 2023 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელის (მონი-ნაალმდეგე მხარის) – ან გარდაცვლილი მ. თ-ას საპროცესო უფლება-მონაცვლედ საქმეში ჩაერთო მისი მეუღლე – ლ. დ-ე; ქ. თბილისის მუ-ნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახ-ლდა. ამავე განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკა-საციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაზე, მიჩ-ნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე მისი განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივ-რებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლი-ანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-მაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემ-დეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მ. თ-ა დასაქმებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი-ის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 1 მარტის №541 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის სა-ქალაქო სამსახურის ...ე მ. თ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდე-ბობიდან. აღნიშნული ბრძანება გამოცემული იქნა ქალაქ თბილისის მუ-ნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის 2016 წლის 12 თებერვლის №10-38/7172 მოხსე-ნებითი ბარათის საფუძველზე.

მითითებული მოხსენებითი ბარათით ქალაქ თბილისის მუნიციპა-ლიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებელს, მერის პირ-ველ მოადგილეს ეცნობა, რომ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქა-ლაქო სამსახურის 2015 წლის 22 დეკემბრის №10-38/23460 წერილის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურში მიმდინარე შემოწმებისას, განხორციელდა ქ. თბილისში, ...ის სახელობის ბაღში არსებული მდგომარეობის, მის მოვლა-პატრო-ნობასთან დაკავშირებული მომსახურებისა და აღნიშნულთან დაკავ-შირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსა-ხურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ინსპექტირება, რაზეც

2016 წლის 12 თებერვალს შედგენილი იქნა დასკვნა. ამავე მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ინსპექტირების ფარგლებში შესწავლილი იქნა ...ის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ...ის ბალის მოვლა-პატრონობის მომსახურების შესასყიდად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (procurement.gov.ge) ატვირთული და სამსახურში არსებული სხვა დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ასევე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა ობიექტის ვიზუალური დათვალიერება და საკონტროლო აზომვები. საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქ. თბილისში ...ის სახელობის ბალის მოვლა-პატრონობაზე 2015 წლის 13 მარტს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „რ...ს“ შორის გაფორმებული №3.1/30/146 ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელ მომსახურებასთან დაკავშირებით, მათ შორის მ. თ-ას მხრიდან ადგილი ჰქონდა ...ის საქალაქო სამსახურის დებულებითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 25 მაისის №2452 ბრძანების დანართი 7-ით განსაზღვრული სამსახურებრივი მოვალეობების უხემ დარღვევასა და არაჯეროვან შესრულებას, რადგან მან ვერ განახორციელა სათანადო ზედამხედველობა და რეაგირება მის სამსახურებრივი ვალდებულებების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე, რითაც დაწესებულებას მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი და მატერიალური ზიანი. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ სახეზე იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა მ. თ-ას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. ამავე მოხსენებითი ბარათით წარდგენილ იქნა ინსპექტირების დასკვნა და შემომწმების მასალები.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 1 მარტის №541 ბრძანება მ. თ-ამ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №3/2432-16), მ. თ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 1 მარტის №541 ბრძანება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობიდან მ. თ-ას გათავისუფლების შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-

თლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში (საქმე №3/2432-16) მითითებულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 12 თებერვლის ინსპექტირების დასკვნის თანახმად, დაფიქსირდა მ. თ-ას მიერ მასზედ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ 2015 წლის 29 იანვარს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი (...) ქ. თბილისში, ...ის სახელობის ბაღის მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. ტენდერის შედეგებზე 2015 წლის 13 მარტს შპს „რ...თან“ გაფორმდა №3.1/30/146 ხელშეკრულება, ღირებულებით 81 492.10 ლარი (2015 წლის 24 ივნისსა და 5 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებების გათვალისწინებით, სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 72 283.54 ლარი). ხელშეკრულებით მომსახურება უნდა განხორციელებულიყო 2015 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით ირკვევა, რომ აღნიშნული ობიექტის მოვლა-პატრონობა იყოფოდა 4 სახის მომსახურებად, კერძოდ: ზედა ტერასის მოვლა-პატრონობა, ქვედა ტერასის მოვლა-პატრონობა, საყვავილე თარგების მოწყობა და მოვლა-პატრონობა, დამატებითი სამუშაოებით მომსახურება. სამუშაოების შესრულების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ხდებოდა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა. №4, №5, №6, №7, №8 და №9 მიღება-ჩაბარების აქტები დამოწმებულია სამსახურის ...ის მ. თ-ას მიერ. მ. თ-ას ახსნა-განმარტებისა და შემოწმებისას შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების, სამუშაოებზე ზედამხედველი თანამშრომლების საქმიანობის და მათ მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების კონტროლი და გადამოწმება მის მიერ საერთოდ არ ხორციელდებოდა, მათ შორის არც შერჩევით. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, ...ის სახელობის ბაღის ზედა ტერასაზე მომსახურება განხორციელებულია 13 270 მ²-ზე, ხოლო ქვედა ტერასაზე – 18 470 მ²-ზე, თუმცა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული საკონტროლო აზომვებით დადგინდა, რომ ზედა ტერასის გაზონების ფაქტობრივი ფართი, ნაცვლად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული 13 270 მ²-ისა შეადგენს 8 194 მ²-ს, ხოლო ქვედა ტერასის გაზონების ფაქტობრივი ფართი, ნაცვლად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული 18 470 მ²-ისა, შეადგენს 9 875 მ²-ს. ანუ სულ სხვაობამ მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირე-

ბულ ფართსა და ფაქტობრივად არსებულ ფართს შორის ზედა და ქვე- და ტერასებზე ჯამში შეადგინა 13 671 მ², რის გამოც შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში ზედა და ქვედა ტერასების გაზონების მოვლა-პატრონობის ნაწილში ზედმეტად იქნა გაწერილი 2 726.09 ლარის ღირებულების სამუშაოები.

ამავე გადანაცვეტილებაში საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს სატენდერო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი/ვალდებული პირი და მისი პასუხისმგებლობის ფარგლები აღნიშნული ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის პირობებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 25 მაისის №2452 ბრძანებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებზე“, სადაც დაკონკრეტებულია სამუშაოთა აღწერილობები. კერძოდ, მ. თ-ას მიერ დაკავებული თანამდებობის მქონე პირის – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის ფუნქცია-მოვალეობებს წარმოადგენდა: თბილისის შემოსასვლელების, სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების საქმიანობის კოორდინაცია; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების კონტროლი; კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუროპატორო განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელება; განყოფილებაში შესული წერილების შესრულებაზე კონტროლი; საქართველოს კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებული იყო თბილისის ...ის საქალაქო სამსახურის უფროსის წინაშე. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის თბილისის შემოსასვლელების სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსის ფუნქცია-მოვალეობებს განეკუთვნებოდა: გამწვანებული ტერიტორიების, პარკების განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი შემოსასვლელების, სანაპიროების, პარკების მოვლის საკითხზე; საპარკე ფურნიტურის მოვლა-პატრონობის და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგი; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების კონტროლი; კანონმდებლობით დადგენილი წესით განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელება; განყოფილებაში შემოსული წერილების თანამშრომელთა შორის განსახილველად განაწილება. განყოფი-

ლების უფროსი ანგარიშვალდებული იყო თბილისის ...ის საქალაქო სამსახურის უფროსის წინაშე. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის თბილისის შემოსასვლელების, სანაპიროების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების ...ს ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრა შემდეგი სახით: გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობისა და აღდგენის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა; შესყიდვების საქალაქო სამსახურში წარსადგენად სატენდერო დოკუმენტაციების მომზადება; დადებული ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა; მერიის ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებზე რეაგირება; შემოსულ წერილებზე პასუხის მომზადება. ... ანგარიშვალდებული იყო თბილისის ...ის საქალაქო სამსახურის უფროსის წინაშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში (საქმე №3/2432-16) სასამართლომ განმარტა, რომ თბილისის მერიის მიერ განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების თანახმად, როგორც ...ის საქალაქო სამსახურის ...ის, ასევე, ამავე სამსახურის თბილისის შემოსასვლელების სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსისა და ამავე განყოფილების ...ს მოვალეობას წარმოადგენდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების კონტროლი. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „რ...ს“ შორის დადებულ 2015 წლის 13 მარტის №3.1/30/146 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ...ის სახელობის ბაღის მოვლა-პატრონობის მომსახურების მიწოდებისას, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს განხორციელებდნენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდებოდა ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. დადგენილია, რომ შპს „რ...სა“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურს შორის გაფორმებულ იქნა 2015 წლის 3 აგვისტოს №4, 2015 წლის 1 სექტემბრის №5, 2015 წლის 25 სექტემბრის №6, 2015 წლის 2 ნოემბრის №7, 2015 წლის 1 დეკემბრის №8 და 2015 წლის 25 დეკემბრის №9 მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა 13 270 მ² ფართობზე შესრულებული სამუშაოების მიღება. მიღება-ჩაბარების აქტებზე არ ფიქსირდება სამსახურის კონკრეტულად რომელი თანამშრომლის მიერ იქნა სამუშაოები ჩაბარებული, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტების დანართების თანახმად, სამუშაოები მოცულობებისა და

ღირებულების მითითებით, ჩაბარებული აქვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შემოსავლებს, სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების ...ს. საგულისხმოა, რომ ...ის საქალაქო სამსახურის ...ე, ამავე სამსახურის თბილისის შემოსავლებს სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების ... დამოუკიდებლად ანგარიშვალდებულნი იყვნენ თბილისის ...ის საქალაქო სამსახურის უფროსის წინაშე, რაც იმავდროულად გულისხმობს იმას, რომ სამსახურის უფროსი უფლებამოსილი იყო ვალდებულების შესრულებაზე კონტროლი განეხორციელებინა მასზე დაქვემდებარებულ პირთა მიმართ და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყო კონკრეტული ღონისძიებების მიღება, რომელიც მიმართული იქნებოდა დარღვევისა თუ პრობლემის აღმოფხვრისკენ. საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ სამუშაოს შესრულების წესი და მეთოდიკა დაწესებული ყოფილიყო სამსახურის უფროსის მიერ ან/და დარღვევათა პრევენციის მიზნით განეხორციელებინა კონკრეტული მითითებები. მოცემულ შემთხვევაში, მ. თ-ა შიდა აუდიტისა და პრევენციის დეპარტამენტში წარდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავდა, რომ შესრულებული სამუშაოების მიღებისას ზედამხედველი ადგილზე მისვლით აკონტროლებდა შესრულებულ სამუშაოებს, შეჰქონდათ წინადადებები-შესწორებები, ადგილზე გაიცემოდა მითითებები ტექნიკური დავალებების შესაბამისად, შემდეგ ხდებოდა თვის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შეჯერება და რეალურად შესრულებული სამუშაოების დადასტურება ზედამხედველის მიერ, რაზეც ფორმდებოდა შესრულებული სამუშაოების აქტი, მის საფუძველზე კი დგებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერდა უშუალოდ ზედამხედველი, რასაც გადამოწმებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ამოწმებდა განყოფილების უფროსი და ამ დოკუმენტებს ადასტურებდა მ. თ-ა მისი ხელმოწერით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული განმარტების სანაპიროების ფაქტობრივ გარემოებაზე მონაპირადმდევე მხარეს არ მიუთითებია. შესაბამისად, დგინდება, რომ შესრულებული სამუშაოების კონტროლს ადგილზე ახორციელებდა განყოფილების თანამშრომელი, რომელიც ანგარიშვალდებულნი იყო სამსახურის უფროსთან. აღნიშნულ პირობებში კი, მხოლოდ მ. თ-ას მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენება, საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა მიერ განხორციელდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დათვალიერება, რა დროსაც აღ-

მოჩნდა, რომ ფაქტობრივი შესრულება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს მიღება-ჩაბარების აქტებში იყო დაფიქსირებული, თუმცა დათვალაიერების ოქმზე დამსწრე პირთაგან ერთ-ერთი არ ეთანხმებოდა ოქმში დაფიქსირებულ ფაქტობრივი შესრულების მოცულობას. ამდენად, უტყუარად არ არის დადასტურებული ფაქტობრივ შესრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებულ მოცულობას შორის უზუსტობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო გამოკვეთილი უშუალოდ მ. თ-ას მიერ ისეთი გადაცდომის ჩადენა, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელი იქნებოდა ყველაზე მკაცრი დისციპლინური ზომის გამოყენების გარეშე. სასამართლოს განმარტებით, ინსპექტირების დასკვნაში დაფიქსირებული დარღვევების სათანადო მტკიცებულებებით დასაბუთების შემთხვევაშიც კი, დარღვევას ექნებოდა ადგილი არა მხოლოდ მ. თ-ასთვის დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის სახით, არამედ სრულიად სამსახურზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობით, ვინაიდან მითითებული დარღვევა გამოიხატა სამუშაოთა მიმდინარეობის სპეციფიკასა და მეთოდიკაში, რომელიც უნდა განისაზღვროს სამსახურის ხელმძღვანელი პირის მიერ. თუკი სამსახურის ...ის ვალდებულებად მოიაზრება შესრულებულ სამუშაოთა ადგილზე კონტროლი, მათ შორის მოცულობების დაზუსტების კუთხით, აღნიშნული წინასწარ უნდა იყოს განერილი და ცნობილი მოცემული თანამდებობის დაკავების მსურველ პირთათვის, ვინაიდან მოცემული სახის სამუშაოები – ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების უტყუარად დადგენა/შეფასება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. შესაბამისად, მოცემულ პირობებში მ. თ-ას მიმართ ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება საქალაქო სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში (საქმე №3/2432-16) ასევე მითითებულია, რომ ინსპექტირების დასკვნის თანახმად, სამსახურის მიერ 400 000 ცალი ყვავილის შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა 2015 წლის 15 სექტემბერს, რომელიც დასრულდა უარყოფითი შედეგით, რის შემდგომაც ტენდერი განმეორებით გამოცხადდა 28.10.2015 წელს მხოლოდ 210 000 ცალი ყვავილის შესყიდვაზე და ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 30 ნოემბერს. როგორც სამსახურის ...ის მ. თ-ას ახსნა-განმარტებით დგინდება, აღნიშნული განმეორებითი ტენდერის საფუძველზე შეძენილი ყვავილები გადანაწილდა სხვადასხვა ობიექტებზე პრიორიტეტების შესაბამისად, რომელთა შორის ...ის სახელობის ბალი არ მოხვდა. ადმინისტრაციული ორგანოს მითითებით, მ. თ-ას გადაცდომა მოცემულ შემთხვევასთან მიმართებით მდგომარეობს იმაში, რომ ტენდერი არ გამოცხად-

და გონივრულ დროში, კერძოდ არ იქნა გათვალისწინებული ტენდერის ჩაშლის შემთხვევაც. მოპასუხის მიერ განვითარებული მსჯელობა საქალაქო სასამართლომ ვერ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ტენდერის ჩაშლის შემთხვევა შესაძლებელია დადგეს არა ერთჯერ, არამედ რამდენჯერმე, შესაძლებელია ყოველ ჯერზეც, თუმცა აღნიშნული ვერ გახდება იმის მტკიცების საფუძველი, რომ ტენდერის გამოცხადებას ადგილი ჰქონდა არაგონივრულ ვადებში. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეეფასებინა რამდენად გონივრულ ვადაში იყო ტენდერი გამოცხადებული, თუკი იგი წარმატებით დასრულდებოდა. შესაბამისად, სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობა დაუსაბუთებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ არ არის შეფასებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ამასთან, არც ამჯერად არის დასაბუთებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური ზომის გამოყენების აუცილებლობა, არ არის შეფასებული მოცემული დარღვევა (დადასტურების შემთხვევაში კი) არის თუ არა ადეკვატური გამოყენებული ზომის მიმართ.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/2432-16) აღსრულების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მ. თ.-ას 2019 წლის 3 აპრილს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. აღნიშნული ახსნა-განმარტების თანახმად, მ. თ.-ამ განმარტა, რომ მის უფლება-მოვალეობებს განეკუთვნებოდა: თბილისის შემოსასვლელების, სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების საქმიანობის კოორდინაცია; სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების კონტროლი; ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელება საკურატორო განყოფილების თანამშრომელთა შემდეგ საქმიანობაზე: თბილისის ტერიტორიაზე არსებული შემოსასვლელების, სანაპიროებისა და პარკების პროექტირება და მოწყობა; თბილისის ტერიტორიაზე არსებული შემოსასვლელების, სანაპიროებისა და პარკების გამწვანება-განაშენიანება, დაზიანებული და განადგურებული ტერიტორიების აღდგენა; თბილისის ტერიტორიაზე არსებული შემოსასვლელების, სანაპიროების და პარკების მოვლა-პატრონობა; თბილისის ტერიტორიაზე არსებულ შემოსასვლელებში, სანაპიროებზე და პარკებში დეკორატიული კუთხეების პროექტირება და მოწყობა; თბილისის ტერიტორიაზე არსებული სარწყავ-სამელიორაციო სისტემების დაგეგმარება და მშენებლობა; არსებული სარწყავი ქსელების შესწავლა, მონესრიგება და რეაბილიტაცია; ნიადაგის აღდგენის ღონისძიებებში მონაწილეობა. ამასთან, განყოფილებაში შესული წერილების შესრუ-

ლებაზე კონტროლი; საქართველოს კანონმდებლობით და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება. მ. თ-ას განმარტებით, თბილისის ბალებისა და პარკების მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი მის მიერ ხორციელდებოდა შემდეგნაირად: ხდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სამუშაოების და აგროტექნიკური ღონისძიებების გაცნობა განყოფილებაში და ადგილზე სამუშაოების ზედამხედველობის სამოქმედო გეგმის შეთანხმება. კვირაში ერთხელ მის მიერ ხდებოდა ბალებისა და პარკების შემოვლა, სადაც ვიზუალურად ადგილზე აკვირდებოდა როგორც ობიექტების იერ-სახეს, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას. აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად ხელშეკრულებაში თვეების მიხედვით იყო განერილი ძირითადი სამუშაოები, ხოლო დამატებითი სამუშაოების მოცულობები და შესრულების ვადები დგინდებოდა ზედამხედველის მიერ მისი წარმოშობის პერიოდიდან. ზედამხედველის მიერ გადამოწმებული სამუშაოების მოცულობებს წარმოადგენდა კონტრაქტორი სამუშაო აქტის სახით განყოფილებაში, სადაც განყოფილების უფროსისა და ასევე მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ხდებოდა აქტის გადამოწმება და შესაძლო კორექტირებების შეტანა, საბოლოოდ ხდებოდა აქტი მოყვანილი ძირითადი პარამეტრების ხელშეკრულების მონაცემებთან შედარება (მიღება-ჩაბარების აქტებში ხელშეკრულებიდან უცვლელად გადადის შემდეგი სახის მონაცემები, როგორიცაა: აგროტექნიკური ღონისძიებები, გამწვანებული ტერიტორიების ფართობები, მცენარეთა რაოდენობა, ერთეული ღონისძიების ღირებულება, დამატებითი სამუშაოების მოცულობები თანხებში). ყველა ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ხდებოდა საბოლოოდ მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურება მასზე ხელმოწერით. ამასთან, მ. თ-ას განმარტებით, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაოთა ნაწილობრივი შესრულება არ ხდება. შესაბამისად, თუ სამუშაო სრული მოცულობით არ არის შესრულებული, არ ხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. მ. თ-ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ასევე განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ჩაშლილი ტენდერის მიზეზი გახდა გამარჯვებული კომპანიის მიერ მისაწოდებელ ნიმუშებზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, მისი წინადადება იყო განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვა იგივე რაოდენობაზე, თუმცა აღნიშნული წინადადება ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გაზიარებული და სრული ვადების დაცვით გამოცხადდა ტენდერი განახევრებულ რაოდენობაზე, რაც ძირითადად განპირობებული და გათვლილი იყო ზამთრის პირობებში სამუშაოთა მოცულობების უდანაკარგოდ წარმართვისათვის. ახსნა-განმარტებაში მ. თ-ამ მიუთითა,

რომ მას საქალაქო სამსახურის უფროსთან ჰქონდა ზეპირსიტყვიერი კონსულტაცია, რომლის დროსაც შესთავაზა გამარტივებული შესყიდვა. უარის პასუხი კი, როგორც ახსოვს იყო ის, რომ შესყიდვების სამსახურის მხრიდან იქნებოდა უარი გამარტივებულ შესყიდვაზე და არ ღირდა აღნიშნულ მიდგომაზე მუშაობა.

ამავე ახსნა-განმარტებაში მ. თ-ამ მიუთითა, რომ ...ის სახელობის ბალის ტერიტორიაზე 18 000 ცალი ყვავილის ფაქტიური გახმობა-განადგურება მოხდა მის სამსახურში მისვლამდე. ამის შესახებ განყოფილება და ხელმძღვანელობა ინფორმირებული იყო. ივნის-ივლისში მერიის ეგიდით პარკში ჩატარებულმა რამდენიმე ღონისძიებამ, საზოგადოებრივმა შეკრებამ შელახა და დააზიანა ყვავილები, რამაც გამოიწვია მათი გახმობა – ასეთი იყო განმარტება. მ. თ-ას განმარტებით, მის მიერ მოკვლეულ იქნა მასალები ყვავილების მიმწოდებელი კომპანიიდან და დადგინდა, რომ მათ მიერ მიწოდებული ყვავილები აკმაყოფილებდნენ სტანდარტებს. ასევე გადამოწმებული იქნა მომსახურე კომპანიის მიერ გასულ თვეებში ჩატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამებოდნენ სათანადო მოთხოვნებს. მისი დავალებით შედგენილ იქნა აქტი ყვავილების რეალური რაოდენობის შესახებ და დაინყეს მოვლა-პატრონობა რეალურად არსებულ ერთეულზე გათვლით. მ. თ-ამ აღნიშნა, რომ მიმწოდებელ კომპანიას ჰქონდა შესაბამისობის სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდებოდა დარგული ყვავილების ხარისხი, მიღება-ჩაბარების აქტით კი დასტურდებოდა დარგული ყვავილების რაოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული გამორიცხავდა მიმწოდებელი კონტრაქტორის პასუხისმგებლობას. რგვიდან ერთი თვის პერიოდში განხორციელებული გეგმური შემოწმების შედეგებითაც დადასტურდა, რომ დარგული მცენარეები იყო ხარისხიანი. ასევე მოკვლეულ იქნა მომვლელი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი და დადასტურდა, რომ მათი მხრიდანაც არ ყოფილა დარღვეული სახელშეკრულებო ვალდებულება. სხვა სახის კვლევის ჩატარება მის უფლება-მოვალეობებში არ შედიოდა.

შპს „რ...ის“ მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ №25/40739 და №25/56282 წერილებთან დაკავშირებით, მ. თ-ამ აღნიშნა, რომ მითითებული წერილები მომზადდა განყოფილებაში, შეთანხმებული იყო მასთან და სამსახურის უფროსთან. წერილების შედგენის მიზანი იყო ინსპექტირებისას გამოვლენილი და დადგენილი დამატებითი სამუშაოების შესრულების დაკისრება კონტრაქტორისათვის და ასევე, უკვე შესრულებულ დამატებით სამუშაოებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება. კონტრაქტორმა წერილებით დაკისრებული დავალებები შეასრულა ჯეროვნად, სრულად და დროულად. მ. თ-ამ ასევე აღნიშნა, რომ №25/40739 და №25/56282 წერილებთან დაკავშირებით,

მისი შედეგებიდან გამომდინარე, შპს „რ...ის“ მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენება არაკანონიერად მიაჩნია მისი უსაფუძვლოების გამო, რადგანაც კონტრაქტორმა დაკისრებული დავალებები შეასრულა.

2019 წლის 3 აპრილის ახსნა-განმარტებაში მ. თ-ამ მისი მხრიდან ზოგადად მიღება-ჩაბარების დადასტურების საკითხთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მიღება-ჩაბარების აქტში შეიტანება შესრულებული სამუშაოების მოცულობები, რომლებიც წარმოიშვება (მაგალითისათვის გაზონებთან დაკავშირებით მოცულობების დადგენა ხდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ფართობებზე ჩატარებული მოვლა-პატრონობის სათანადო ჯერადობებით გათვალისწინებული ღონისძიებების, როგორცაა: მორწყვა, გაკრეჭვა, გაფოცხვა, სასუქის შეტანა... რაოდენობაზე და ერთეული სამუშაოების ღირებულებაზე გამრავლებით) სათანადო ჯერადობების აგროტექნიკური ღონისძიებების ერთეულის ფასზე და გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობებზე (გაზონი, ხეები, ბუჩქები, ყვავილები, შერეული ნარგავები, დეკორატიული კუთხეები) გადამრავლებით, ასევე საბაღე ფურნიტურზე (სკამები, სანაგვეურნები, ბილიკები) განეული ხარჯებით. თითოეული ღონისძიების ჩატარება თანხმდება ზედამხედველთან და ხშირ შემთხვევაში ხდება მისი დასწრება სამუშაოების ჩატარებისას. დღის განმავლობაში ობიექტიდან მოზრუნებული მუშაკები განყოფილებაში ანგარიშს ადგენენ და სამუშაო ნიგნში შეაქვთ მონაცემები, არსებული ჩანაწერები. მ. თ-ას განმარტებით, არსებული ჩანაწერები მისთვის იყო სახელმძღვანელო ადგილზე გასვლისას და ობიექტის დათვალიერებისას. ამდაგვარი მუშაობის შედეგად ხდებოდა თვის განმავლობაში განეულ სამუშაოთა მოცულობების დადგენა-კონტროლი და საბოლოოდ მიღება-ჩაბარების აქტებში ასახვა. ახსნა-განმარტებაში მ. თ-ა ასევე მიუთითებს, რომ სამსახურის ყოველკვირეულ თათბირებზე მის მიერ განყოფილების მუშაობაში გამოვლენილ ხარვეზებსა და მისი გამოსწორების გზებზე ხშირად ჰქონდა საუბარი, რაც ოქმებით ფიქსირდებოდა. მის მიერ ჩატარებული ანალიზითა და ინიციატივით მოხდა მოვლა-პატრონობის უკვე არსებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა დამატებითი სამუშაოების ნაწილში და გამოთავისუფლდა 250 000 ლარი სხვა სამუშაოებისათვის. აღნიშნული ცვლილებები შეეხო ორივე განყოფილებას და თითქმის ყველა არსებულ ხელშეკრულებას ბაღებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ნაწილში. მ. თ-ა აღნიშნავს, რომ ზედამხედველები ადგილზე ყოველთვის გადიოდნენ და სათანადო სამუშაოების მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების შესახებ, შესაძლო დახმარებების თაობაზე და სხვა საკითხებზე განყოფილებაში იმართებოდა მსჯელობა როგორც განყოფილების უფროსთან, ასევე თავადაც ბევრჯერ დასწრებულა საკითხთა ამდაგვარ განხილვას, შედეგად იღებ-

დნენ გადაწყვეტილებებს. ამასთან, კონტრაქტორს მასთან არასდროს შემოუტანია რაიმე მონაცემები დასადასტურებლად. მის მიერ მიღება-ჩაბარების აქტების დადასტურება ხდებოდა მხოლოდ ზემოაღნიშნული პროცედურების დაცვით.

...ის სახელობის ბალის, ...ის ბალისა და ...ის ბალის ტერიტორიაზე კონტრაქტორის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტების დადასტურებასთან დაკავშირებით, მ. თ-ამ განმარტა, რომ იგი ხელმძღვანელობდა მანამდე უკვე არსებული ხელშეკრულებებით, სადაც სხვა მონაცემებთან ერთად გაზონის ფართობებიც იყო დაფიქსირებული. ფართობების გადამონმების სამსახურებრივი ვალდებულება მას არ ჰქონია. ამ შემთხვევაში მისი ვალდებულება იყო ხელშეკრულების პირობების დაცვა, ანუ დამტკიცებულ ფართობებზე შესაბამისი ხარისხითა და ფაქტიური ჯერადობებით ჩატარებული სამუშაოების დადგენა და მიღებული მოცულობების სათანადო მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირება. დამტკიცებული ფართობების გადამონმება მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ფართობის უზუსტობის შესახებ ინფორმაციას მიიღებდა. მ. თ-ამ აღნიშნა, რომ მისთვის ასეთი ინფორმაცია არც თანამშრომლებს, არც ხელმძღვანელობას და არც გარედან არავის მოუწოდებია. მისივე განმარტებით, კონტროლი არ გულისხმობს ერთხელ უკვე დამტკიცებული და სახელმძღვანელოდ დადგენილი მონაცემების გადამონმებას, თუ არ არსებობს ამის მიზეზი. მ. თ-ამ ასევე აღნიშნა, რომ გამწვანებული ფართობის უზუსტობების შესახებ მან გაიგო მაშინ, როდესაც შიდა აუდიტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მერს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი ინსპექტირების დასკვნით. ამ პერიოდისათვის მათ უკვე დადასტურებული ჰქონდათ შესრულებული სამუშაოები კონტრაქტორთან და ხელშეკრულების ვადებიც ამონურული იყო. მ. თ-ას განმარტებით, შიდა აუდიტის სამსახურს პრევენციის სახით დროულად რომ ეცნობებინა ...ის საქალაქო სამსახურისათვის მათ მიერ ჩატარებული გადაზომვების საგანგაშო შედეგები, ისინი აუცილებლად მოახდენდნენ ფართობების გადამონმებას კომპეტენტური ორგანიზაციის მიერ და ცვლილებებს შეიტანდნენ ხელშეკრულებებში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/2432-16) აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა 2019 წლის 5 აპრილს შეადგინა დასკვნა მ. თ-ას საქმესთან დაკავშირებით გარემოებების დამატებითი გამოკვლევისა და შეფასების შესახებ. დასკვნაში მითითებულია, რომ მ. თ-ას, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-

რიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის ძირითად მოვალეობებს მიეკუთვნებოდა თბილისის შემოსასვლელების, სანაპიროების, პარკების აღდგენისა და მოწყობის განყოფილების საქმიანობის კოორდინაცია, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების კონტროლი, კანონმდებლობით დადგენილი წესით საკურატორო განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელება, განყოფილებაში შესული წერილების შესრულებაზე კონტროლი, საქართველოს კანონმდებლობითა და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევებში კი მ. თ-ას მიერ აღნიშნული სამსახურებრივი ვალდებულებები არაერთგზის იქნა დარღვეული. ამავე დასკვნის თანახმად, მ. თ-ა პასუხს აგებდა კონკრეტული მიღება-ჩაბარების აქტების შინაარსზე. შინაარსი კი, სტანდარტულად წარმოადგენდა მითითებას მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე და შემსყიდველის მიერ ასანაზღაურებელ ღირებულებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, დოკუმენტის ხელმომწერი პირები ადასტურებდნენ, რომ კონკრეტული ხელშეკრულების ფარგლებში ნამდვილად შესრულდა კონკრეტული მოცულობის სამუშაო. შესაბამისად, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ სადავოდ მითითებულ გარემოებაზე, რომ სამუშაოების ანაზღაურება ხდებოდა მიღება-ჩაბარების აქტებში არარსებული მოცულობის ფართობზე მითითებით, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დოკუმენტის ხელმომწერ პირს. მ. თ-ას პასუხისმგებლობა გამომდინარეობდა მისი მხრიდან მცდარი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის ხელმოწერით დადასტურებით, მას აღნიშნული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სამუშაოთა აღწერილობის დოკუმენტში მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების კონტროლის და საკურატორო განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივი, ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულების ფარგლებშიც. დასკვნის შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ განმარტა, რომ ის უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. თ-ას მხრიდან არ ხორციელდებოდა მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმება, არ შეიძლება ჩაითვალოს ზემოხსენებული ვალდებულებების გამაქარწყლებელ მითითებად და განაპირობოს ხსენებული დარღვევებისათვის მოხელის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 აპრილის დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ მ. თ-ას სამსახურებრივ ვალდებულებას წარ-

მოადგენდა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, რაც განაპირობებდა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასაც. შესაბამისად, ის რისკი, რომ კონკრეტული პერიოდისათვის საჭირო მცენარეების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო შესყიდვის ვადების გათვალისწინებით, უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული სწორედ მ. თ-ას მიერ, მით უმეტეს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა საშემოდგომო რგვებისთვის საჭირო მცენარეების შესყიდვის ვადებთან დაკავშირებით. ამასთან, მას შემდეგაც, რაც აშკარა გახდა, რომ სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული შესყიდვის პროცედურით სამუშაოთა დროული მიწოდების განხორციელება შეუძლებელი იყო, უშუალო ვალდებულების მიუხედავად, მ. თ-ას მხრიდან საქალაქო სამსახურის უფროსის სახელზე არ მომზადდა შესაბამისი წინადადებები (მაგალითად, ერთ პირთან მოლაპარაკების ბერკეტის გამოყენების შესახებ), რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სატენდერო პროცედურების დროში განვლვის უარყოფითი შედეგები.

მითითებული დასკვნის თანახმად, მ. თ-ას მხრიდან ასევე დარღვეული იქნა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობები, როდესაც მისი მხრიდან არასათანადო ყურადღება მიექცა...ის ბალის ტერიტორიაზე 18 000 ცალი ყვავილის „გაქრობის“ ფაქტს, რამაც განაპირობა საკურატორო განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულების შეუსრულებლობა. მისი მხრიდან არ იქნა მოკვლეული 18 000 ცალი ყვავილის დაზიანებაზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისად, არ განხორციელდა დაზიანების აღმოფხვრისათვის საჭირო, მათ შორის ზიანის ანაზღაურებისაკენ მიმართული ღონისძიებები. ამასთანავე, კონტრაქტორი კომპანიის მიმართ არ განხორციელდა ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციის ამოქმედება. მ. თ-ამ არასათანადოდ განახორციელა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რაც მას ევალეობდა დაკავებული პოზიციის მიმართ არსებული სამუშაოთა აღწერილობის საფუძველზე. ამდენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 აპრილის დასკვნაში მითითებულია, რომ მ. თ-ას მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების არაერთგზის დარღვევა განხორციელდა, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად შეიძლება განიმარტოს, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ერთიანობაში კი ქმნის დარღვევების უხეშად შეფასების დასაბუთებას, მით უმეტეს, რომ დანესებულებას მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი და მატერიალური ზიანი. ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 3 აპრილს მ.

თ-ას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, თუმცა მისი განმარტებიდან გამომდინარე არ გამოვლენილა რაიმე ახალი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებები, რაც შესაძლოა გამხდარიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცვლილების საფუძველი. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სახეზე იყო მ. თ-ას მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც ამავე კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგენდა მ. თ-ას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს.

დადგენილია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ე მ. თ-ა ჩაითვალა თანამდებობიდან გათავისუფლებულად 2016 წლის 1 მარტიდან.

ამასთან, დადგენილია, რომ მ. თ-ა გარდაიცვალა 2023 წლის 2 აპრილს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის სწორედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანების კანონიერებას. ამასთან, მის თანმდევ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალება მ. თ-ას სამსახურიდან გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისთვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ყოველი მოქალაქის საჯარო თანამდებობაზე წვდომის უფლებას. ეს კონსტიტუციური დანაწესი იცავს სახელმწიფო სამსახურზე მოქალაქის თავისუფალი წვდომის უფლებას, აღნიშნული გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისგან გამიჯნულია სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტია. საჯარო მიზნების განხორციელება-

ზე ორიენტირებული, საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირები, დამოუკიდებლად იმისგან, წარმოადგენენ თუ არა ისინი კანონით განსაზღვრულ საჯარო მოხელეებს ან სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, საჯარო ფუნქციის ეფექტიანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის უნდა სარგებლობდნენ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური გარანტიებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დ. კანდელაკი, ნ. დვალი, ზ. დავითაშვილი, ე. გოგუაძე, გ. მელაძე და მ. ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5-6). შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს. ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებლის აბსოლუტურ შეზღუდვას, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გაათავისუფლოს დასაქმებული (სუსგ 23.04.2019წ., №ბს-954(2კ-18)). დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურიდან გაათავისუფლება ობიექტურ მიზეზებზე უნდა იყოს დაფუძნებული, დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს დასაქმებულის სამსახურიდან გაათავისუფლების ობიექტური მიზეზები (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენციის (1982წ.) №166 რეკომენდაცია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ“). საჯარო მოხელის სამსახურიდან გაათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. მოხელის სამსახურიდან გაათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/2432-16) აღსრულების მიზნით. გადაწყვეტილებაში სასამართლომ სადავოდ გამხდარ ეპიზოდებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ნაწილ

შემთხვევებში არ დგინდებოდა უშუალოდ მ. თ-ას მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ნაწილ შემთხვევებში კი მ. თ-ას მიმართ ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება სასამართლოს გაუმართლებლად მიაჩნდა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ იყო შეფასებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არ იყო დასაბუთებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური ზომის გამოყენების აუცილებლობა, არ იყო შეფასებული რამდენად ადეკვატურად იქნა გამოყენებული მ. თ-ას მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა და გასაჩივრებული ბრძანება არ შეიცავდა დასაბუთებას როგორც დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის შესახებ, ასევე არ შეიცავდა დასაბუთებას თუ რატომ გამოიყენა მოპასუხემ მ. თ-ას მიმართ ყველაზე მძიმე დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან გათავისუფლება და რატომ იყო შეუძლებელი მის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება. ამავე გადანყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ პირველ ეტაპზე უნდა გამოიკვლიოს და დაასაბუთოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტი, ხოლო შემდგომ კვალიფიციური დასაბუთების მეშვეობით შეუფარდოს ასეთი ქმედებისათვის ყველაზე უფრო ადეკვატური სახდელი. სათანადო გამოკვლევის საფუძველზე, დისციპლინური გადაცდომის დადგენის შემდეგ უნდა შეფასდეს გადაცდომის ხასიათი. მოხელეს დისციპლინური სახდელის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდება სამსახურიდან გათავისუფლება, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს თუნდაც ერთი ნაკლებად მკაცრი დისციპლინური სახდელი. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევა, რაც იძლევა საფუძველს მოხელე პირველივე დარღვევაზე სამსახურიდან გათავისუფლდეს. მხარეთა მიერ მ. თ-ას მიმართ მოქმედ დისციპლინურ გადაცდომაზე მითითება არ განხორციელებულა, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოსარჩელის მიმართ არ არსებობდა მოქმედი დისციპლინური სახდელი. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებაში (საქმე №3/2432-16) აღინიშნა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანება დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს უნდა პასუხობდეს, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევას, რაც ცალსახად შეფასებითი კრიტერიუმია და როდესაც დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თანამდებობის პირი ასეთი სახის გადანყვეტილებას იღებს, იგი ვალდებულია იმსჯელოს და დაასაბუთოს თუ რაში მდგომარეობს უხეში დარღვევა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს

ასეთ გადაწყვეტილებას და რატომ არის გამორიცხული სხვა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება მოხელის მიმართ, რომელსაც არც ერთი მოქმედი დისციპლინური სახდელი არ აქვს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოსათვის. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე, სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არა მარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უთანაბრდება სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არცნობას იმდენად, რამდენა-

დაც იგი მოჩვენებით ხდის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.2. მუხლით, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.“ კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი კი იმპლემენტირებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში. “ მითითებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადაწყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადაწყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე.“

ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლის საჩივარი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას ეხებოდა. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება, რომელიც აშკარად კონვენციის არც ერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებულ იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40). ამასთან, საქმეზე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურ-

დება, რომ სადავო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანება არსებითად ეფუძნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 აპრილის დასკვნას, რომელშიც მითითებულია, რომ მ. თ-ას მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების არაერთგზის დარღვევა განხორციელდა, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად შეიძლება განიმარტოს, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ერთიანობაში კი ქმნის დარღვევების უხეშად შეფასების დასაბუთებას, მით უმეტეს, რომ დაწესებულებას მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი და მატერიალური ზიანი. ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 3 აპრილს მ. თ-ას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, თუმცა მისი განმარტებიდან გამომდინარე არ გამოვლენილა რაიმე ახალი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებები, რაც შესაძლოა გამხდარიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცვლილების საფუძველი. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სახეზე იყო მ. თ-ას მხრიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც ამავე კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგენდა მ. თ-ას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. ამასთან, მითითებული დასკვნის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 1...ს მიღებული იქნა №ბ01.01191096 ბრძანება, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ე მ. თ-ა ჩაითვალა თანამდებობიდან გათავისუფლებულად 2016 წლის 1 მარტიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა მასვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და

უარი ეთქვა სხვა სახის გადანყვეტილებას. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადანყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა; მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომა შესაძლებელია იყოს მძიმე ან მსუბუქი. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ: ა) დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას; გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი

მიადგა საჯარო დაწესებულებას; დ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს; ე) მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე; ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა. მითითებული კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს: ა) დისციპლინური გადაცდომა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით; ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმე; გ) მოქმედებს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობა; დ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასების შედეგები; ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის მიზეზი; ვ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა; ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მცდელობა, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგი; თ) სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაზე. ამასთან, აღნიშნული კანონის 98-ე მუხლი ადგენს, რომ სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მითითებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ უტყუარი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა მ. თ-ას მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების უკიდურესი ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების კანონიერება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა დაადასტურებული, რომ მ. თ-ას გათავისუფლება იყო უკიდურესი პრევენციული ღონისძიება, რომელიც მიღებული იქნა კერძო და საჯარო ინტერესის როგორც ვინრო, ასევე ფართო გაგებით და გათვალისწინებული იქნა საყოველთაოდ აღიარებული და განმტკიცებული ძირითადი უფლებები და ღირებულებები, რამეთუ ადმინისტრაციული ორგანო თავისი სრულყოფილი დასაბუთებით პირდაპირ უნდა აქარწყლებდეს შესაძლო ეჭვებს თანაბარ პირობებში თანაბარი წესების გამოუყენებლობის შემთხვევის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში (საქმე №3/2432-16) სასა-

მართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ მ. თ-ას მიმართ ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება სასამართლოს გაუმართლებლად მიაჩნდა და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ემსჯელა და დაესაბუთებინა, თუ რატომ არის გამორიცხული სხვა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება მოხელის მიმართ, რომელსაც არცერთი მოქმედი დისციპლინური სახდელი არ აქვს. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ მ. თ-ას განმარტებიდან გამომდინარე, რაიმე ახალი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებები არ გამოვლენილა და მის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების არაერთგზის დარღვევა ერთიანობაში ქმნიდა დარღვევების უხეშად შეფასების დასაბუთებას, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კვლავ იგივე გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხის მიერ არსებითად იმავე ფაქტებზე და გარემოებებზე იქნა მითითებული, რაც სასამართლომ მ. თ-ას გათავისუფლებისთვის არასაკმარის საფუძვლად მიიჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. თ-ას მიმართ ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც არსებობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №01.01191096 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ამ ნაწილში კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და წოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. თ-ა გარდაიცვალა 2023 წლის 2 აპრილს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინებით კი, მონინალმდევე მხარის (მოსარჩელის) – მ. თ-ას გარდაცვალების გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ...ის საქალაქო სამსახურის ...ის თანამდებობაზე ან ტოლფას თანამდებობაზე მ. თ-ას აღდგენის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, თანამდებობიდან გათავისუფლება, გათავისუფლების უკანონობის დადგენის შემდგომ სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება, პირის პირად უფლებებს უკავშირდება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, მ. თ-ას სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის გზით სიცოცხლეშივე ჰქონდა რეალიზებული, მათ შორის, იძულებითი განაცდურის მოთხოვნის უფლება. იძულებითი განაცდური კი წარმოადგენს ქონებას, რომლის მიღების უფლებაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 1328-ე მუხლების გათვალისწინებით, შესაძლებელია გადავიდეს სხვა პირებზე, მემკვიდრეებზე.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა მიჩნეული მ. თ-ას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება, თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის მიუხედავად, მოთხოვნა მისი უფლებამონაცვლის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საფუძვლიანია ნაწილობრივ. კერძოდ, მ. თ-ას გარდაცვალების ფაქტის გათვალისწინებით, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების პერიოდი უნდა განისაზღვროს მ. თ-ას სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დღიდან მისი გარდაცვალების თარიღამდე (და არა თანამდებობაზე აღდგენამდე), შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მ. თ-ას სასარგებლოდ მისი გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 1 მარტიდან) სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების დაკისრების ნაწილში, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება. აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ან გარდაცვლილი მ. თ-ას უფლებამონაცვლის – ლ. დ-ეის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ან გარდაცვლილი მ. თ-ას უფლებამონაცვლის – ლ. დ-ეის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მ. თ-ას სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 1 მარტი) მისი გარდაცვალების თარიღამდე (2023 წლის 2 აპრილი) პერიოდისათვის, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიური ოდენობით;

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 12 ოქტომბრის განჩინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 1...ის №ბ01.01191096 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებითი განაცდურის ოდენობის განსაზღვრა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-603(კ-22)

23 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ხ.-ამ 2021 წლის 4 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის მოსარჩელე – ზ. ხ.-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე დარიცხული ხელფასის სულ – 29 914 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2016 წლის 11 ივლისის ბრძანებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რიგებიდან დათხოვნილ იქნა. ბრძანება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი და დეპარტამენტს დაევალა ახალი აქტის გამოცემა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. ზ. ხ.-ას განმარტებით, ზ. ხ.-ას სამწლიანი იძულებითი მოცდენა გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეულობით. საბოლოოდ, მოხდა მისი სამსახურში აღდგენა. მოსარჩელის მითითებით, რომ არა სამსახურიდან მისი უკანონო განთავისუფლება, მას მიეცემოდა კუთვნილი ხელფასი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ხ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ზ. ხ.-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე ანაზღაურება, ხელზე ასაღები – 28 298,4 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში ზ. ხ.-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილ-

და. მითითებული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ხელახალი შესწავლა დაევალა ადმინისტრაციულ ორგანოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 აპრილის (საქმე №3/7450-16) გადანყვეტილებით. 2019 წლის 17 იანვრის MIA 5 19 00125976 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ზ. ხ-ა დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე, (თანამდებობრივი სარგო 335 ლარი) განაცდურის ანაზღაურების გარეშე, სამსახურის უწყვეტ სტაჟში ჩათვალა 2016 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ხ-ას სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე – 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე, იძულებითი განაცდური უნდა აუნაზღაურდეს იმ თანამდებობის სახელფასო განაკვეთიდან, საიდანაც მოხდა მისი უკანონოდ გათავისუფლება. შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ზ. ხ-ას სასარგებლოდ დააკისრა ხელზე ასაღები სახელფასო დავალიანების ანაზღაურება – 28 298,4 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 ივლისის გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 ივლისის გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში, ასანაზღაურებელი განაცდურის ოდენობასთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ზ. ხ-ას დარიცხული ხელფასის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე, კერძოდ, საქმეში დაცულ, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამ-

მართველოს უფროსის 2022 წლის 12 იანვრის № MIA 8 22 00080461 წერილზე, რომლითაც დასტურდება, რომ 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით ზ. ხ-ა, მის მიერ დაკავებული თანამდებობის (განყოფილების ...) გაუქმებამდე, ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 1170 ლარს (მათ შორის თანამდებობრივი სარგო – 915 ლარი, წოდებრივი სარგო – 60 ლარი, წელთა ნამსახურეობის დანამატი – 195 ლარი); ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან კი მიიღებდა – 717 ლარსა და 10 თეთრს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მარტის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა და აღნიშნული არც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს გაუხდია სადავოდ, რომ რეორგანიზაციის შედეგად, ახალ საშტატო ნუსხაში, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობების ტოლფას თანამდებობაზე (უფროსი ინსპექტორი) – დარიცხული ხელფასის ოდენობა განისაზღვრა სწორედ 717 ლარით და 10 თეთრით). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზ. ხ-ა გათავისუფლების ბრძანების გამოუცემლობის და შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის შემთხვევაში, 2017 წლის 20 იანვრიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში, დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა 717 ლარსა და 10 თეთრს. სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს სახელფასო ანაზღაურება მიღებული აქვს 2016 წლის 8 მარტის ჩათვლით. ამასთან, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია – მოსარჩელის კანონშეუსაბამო განთავისუფლების შემთხვევაში, იგი მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე (რეორგანიზაციის შემდგომ – ტოლფას თანამდებობაზე) 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდისათვის გასამრჯელოს სახით მიიღებდა არანაკლებ (თანამდებობრივი სარგო, ასევე წელთა ნამსახურების დანამატი და წოდებრივი სარგო) 28 298,4 ლარი (ჯამურად).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი ვადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად

შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები და შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა. დეპარტამენტმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, გამოსცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ზ. ხ-ა, 2018 წლის 21 დეკემბრის მისივე განცხადებით გამოთქმული თანხმობით, დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის ბრძანებით დაინიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო 355 ლარი), განაცდურის ანაზღაურების გარეშე სამსახურის უწყვეტ სტაჟში ჩაეთვალა 2016 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. ბრძანებაში აღინიშნა, რომ ზ. ხ-აზე არ გაიცემოდა განაცდური.

კასატორის – სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მითითებით, დეპარტამენტმა სასამართლოში წარადგინა ინფორმაცია შესაბამისი პოზიციის თანამდებობრივი სარგოს დაანგარიშების თაობაზე, რამაც 2017 წლის 20 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგში ცვლილებების მიღებამდე შეადგინა 5917 ლარი, ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე შეადგინა 12391.43 ლარი, ჯამში 18308.43 ლარი (დარიცხული ხელფასი). აღნიშნულის საპირისპიროდ, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ახალ საშტატო ნუსხაში მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში დარიცხული ხელფასის სახით 717.1 ლარით განსაზღვრის თაობაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც არასწორად იქნა თანხა დაანგარიშებული. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ მნიშვნელოვან გარემოებებზე და საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომლის თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, ზ. ხ-ა მუშაობდა ...ის სამმართველოს მე-... განყოფილების ...ის თანამდებობაზე. დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 9 მარტის №60050 ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, აღნიშნული სამმართველო გადაკეთდა ...ის სამმართველოდ და ...ის სამმართველოს მე-... განყოფილების ...ის სამმართველოს მე-... განყოფილებას, ხოლო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 20 იანვრის №153785 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგში ცვლილებების მიხედვით შეიქმნა ...ისა და ...ის სამმართველო, რომლითაც დასახელებული განყოფილება გადაკეთდა მე-... ქვეგანყოფილებად. აღნიშნულ სამსახურს ქვეგანყოფილების ...ის შტატი არ გააჩნდა. კასატორის განმარტებით,

ვინაიდან 2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში სამმართველოში განყოფილების ...ის თანამდებობა აღარ არსებობდა, ზ. ხ-ა ამ პოზიციაზე მუშაობას ვერ გააგრძელებდა და შესაბამისად, ვერც თანამდებობრივ სარგოს აიღებდა. სასამართლოს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, განაცდურის ანაზღაურების დეპარტამენტისათვის დაკისრებისას უნდა ეხელმძღვანელა არა განყოფილების ...ის სარგოს ოდენობით, არამედ ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობის სარგოდან, რაც 2016 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდის დაანგარიშებით შეადგენს 15669,06 ლარს. სასამართლომ ასევე უგულებელყო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ზ. ხ-ას სარჩელი სამსახურში აღდგენის ნაწილში. ასევე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან ზ. ხ-ას მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის 500 ლარის ანაზღაურების დეპარტამენტისათვის დაკისრება, რაზეც სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 მაისის განჩინებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 9 ივლისის №261 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლეა; დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებზე ვრცელდება ყველა ის შეღავათი და სოციალური გარანტია, რომელიც დანესებულია შინაგან საქმეთა ორგანოების მოსამსახურეთათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის

თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. ამდენად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი არის საჯარო მოხელე და მასზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტი კი ადგენს, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური თანამდებობრივი სარგო და საკლასო დანამატი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წელთა ნამსახურობის დანამატი და ნოდებრივი სარგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მოსარჩელის თანამდებობიდან განთავისუფლების დროისათვის (11.07.2016წ.) მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტით კი, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიზნებისათვის, განაცდური არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ითვლება უკანონოდ განთავისუფლებულად. განაცდურის ცნებაში მოიაზრება იძუ-

ლებითი მოცდენისას დამსაქმებლის ბრალით მიუღებელი შემოსავალი, რომელიც დასაქმებულს ეკუთვნის უკანონოდ გათავისუფლებიდან სამუშაოზე აღდგენამდე დროის განმავლობაში. თავის მხრივ, გათავისუფლების უკანონობა უნდა დადასტურდეს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ამდენად, დამსაქმებლისათვის განაცდურის დაკისრების წინაპირობას მხოლოდ მოხელის სამუშაოზე აღდგენა არ წარმოადგენს. აუცილებელია მეორე წინაპირობაც – მოხელის გათავისუფლებას საფუძვლად უნდა ედოს დამსაქმებლის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილება. „თანამდებობაზე აღდგენა გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის უკანონოდ იქნა გათავისუფლებული, ან ტოლფასი თანამდებობის შეთავაზებას. ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას დამსაქმებლის ბრალით გამონვეული იძულებითი მოცდენის დროს“ (სუსგ 23.07.2020წ. №ბს-38(კ-20)).

საკასაციო სასამართლო საგულისხმოდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობაზე, რომლის თანახმად, საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში (საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი) ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, გათავისუფლებისას დაირღვა თუ არა მატერიალური თუ საპროცესო ნორმების მოთხოვნები, უკანონობა უკავშირდება გათავისუფლების საფუძვლის უკანონობას თუ გათავისუფლების პროცედურის მარეგულირებელი ნორმების უხეშ დარღვევას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 აპრილის (საქმე №3/7450-16) გადაწყვეტილებით, ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ზ. ხ-ას შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 11.07.2016წ. №1709373 ბრძანება და მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს, საქმი-

სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის განჩინებით (საქმე №ბს-162-162(კ-18)) სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივლისის განჩინების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის №MIA 5 19 00125976 ბრძანებით, ზ. ხ-ა დანიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო – 335 ლარი), განაცდურის ანაზღაურების გარეშე, სამსახურის უწყვეტ სტატუსში ჩათვალა 2016 წლის 10 ივლისიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ზ. ხ-ას დაკავებული თანამდებობიდან უკანონოდ განთავისუფლების ფაქტი დადასტურდა სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონშეუსაბამოდ მიჩნევით, ხოლო ადმინისტრაციულმა ორგანომ ზ. ხ-ა დანიშნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე, ზ. ხ-ას აქვს უფლება აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური, როგორც უკანონოდ მიყენებული ზიანი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო პრეტენზიას, ზ. ხ-ას სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ... სსიპ – ...ის დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2019 წლის 17 იანვრის №MIA 5 19 00125976 ბრძანებაში მითითებული ჩანაწერი „განაცდურის ანაზღაურების გარეშე“ დანიშვნასთან დაკავშირებით გამორიცხავს ზ. ხ-ას სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

რაც შეეხება ასანაზღაურებელი განაცდურის ოდენობას, საკასაციო

სასამართლო, პირველ რიგში, მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ...ის სამმართველოს უფროსის 2022 წლის 12 იანვრის № MIA 8 22 00080461 წერილზე და დაადგინა, რომ 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით ზ. ხ-ა, მის მიერ დაკავებული თანამდებობის (განყოფილების ...) გაუქმებამდე, ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 1170 ლარს (მათ შორის, თანამდებობრივი სარგო – 915 ლარი, წოდებრივი სარგო – 60 ლარი, წელთა ნამსახურეობის დანამატი – 195 ლარი), ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან – 717 ლარსა და 10 თეთრს (ახალ სამტატო ნუსხაში, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობების ტოლფას თანამდებობაზე (უფროსი ინსპექტორი) დარიცხული ხელფასის ოდენობა განისაზღვრა სწორედ 717 ლარით და 10 თეთრით). სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზ. ხ-ა გათავისუფლების ბრძანების გამოუცემლობის და შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის შემთხვევაში, 2017 წლის 20 იანვრიდან – 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში, დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 717 ლარსა და 10 თეთრს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ მოსარჩელე რეალურად ითხოვს 2 წლის, 6 თვისა და 6 დღის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. იძულებითი განაცდურის ზუსტი ოდენობის ანაზღაურების მიზნით, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლის წესი. დადგენილია, რომ 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით ზ. ხ-ა, მის მიერ დაკავებული თანამდებობის (განყოფილების ...) გაუქმებამდე, ყოველთვიური დარიცხული ხელფასის სახით მიიღებდა – 1170 ლარს, ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან – 717 ლარსა და 10 თეთრს.

2016 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით (6 თვე და 8 დღე) მოსარჩელე მიიღებდა ჯამში 7332 ლარს (1170 ლარი \square 30 დღეზე = 39 ლარს დღეში; 6 თვე * 1170 ლარზე = 7020 ლარს; 8 დღე * 39 ლარზე = 312 ლარს).

ხოლო 2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში (23 თვე და 28 დღე) იგი მიიღებდა 17162.5 ლარს (2017 წლის 20 იანვრიდან 2018 წლის 20 იანვრამდე (12 თვე), 2018 წლის 20 იანვრიდან 2018 წლის 20 დეკემბრამდე (11 თვე) – 23 თვე). 2018 წლის 20 დეკემბრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე – 28 დღე. 717.1 ლარი \square 30 დღეზე = 23.90 ლარს; 23 თვე * 717.1 ლარზე = 16493.3 ლარს; ხოლო 28 დღე * 23.9 ლარზე = 669.2 ლარს).

7332 ლარს (2016 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 19 იანვრის ჩათვლით პერიოდი) + 17162,50 ლარი (2017 წლის 20 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდი) = 24494.5 ლარს.

ამდენად, 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე პერიოდში იძულებითი განაცდურის სახით ზ. ხ-ას დარიცხული ხელფასი შეადგენს 24494.5 ლარს.

რაც შეეხება კასატორის მითითებას მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების კასატორისათვის დაკისრებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. ხ-ას სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნია, რის გამოც არსებობდა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯების მოპასუხე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დეპარტამენტის მითითება დაკისრებული თანხის არაპროპორციულობის შესახებ და განმარტა, რომ საქმის სირთულის, სპეციფიკის, განხილვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მოპასუხისათვის ზ. ხ-ას სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯის სახით 500 ლარის დაკისრება არის გონივრული და არ არსებობდა აღნიშნულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი. აღნიშნულ მსჯელობას იზიარებს საკასაციო პალატა და მიუთითებს, რომ წინამდებარე საქმეზე მოსარჩელის ინტერესებს იცავდა ადვოკატი, ხოლო სარჩელი დაკმაყოფილდა რა ნაწილობრივ, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც აღნიშნულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს უნდა დაეკისროს მოსარჩელე ზ. ხ-ას სასარგებლოდ 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე დარიცხული ხელფასის სახით 24494.5 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით,

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის ზ. ხ-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ზ. ხ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაევალოს მოსარჩელე ზ. ხ-ას სასარგებლოდ 2016 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 17 იანვრამდე დარიცხული ხელფასის სახით 24494.5 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 24 თებერვლის განჩინება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge